# სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 13 თებერვალი 2001 №23 (1296) | ფასი 50 თეთრი



ბადრი კეთილაძის ფოტო

## ფიფას წესები არამოყვარულთათვის

### განზე რჩებათ: ლოკომოტივს ფულები! ხიზანიშვილს ფულემი?

სად არის ზურაბ ხიზანიშვილი?

აი, კითხვა, რომლის გაჩენაც ბოლო ხანს გავრცელებული ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაციების ფონზე სავსებით სწორი და ლოგიკურია.

საქართველოს ნაკრების 19 წლის მცველი თბილისშია. 60-დღიანი განშორების შემდეგ ზურაბ ხიზანიშვილი სამშობლოს და ოჯახს წუხელ დაუბრუნდა, სულ რაღაც სამიოდ დღით:

— ოთხშაბათს, მატჩის დამთავრებისთანავე ლონდონში უნდა დავბრუნდე — გვითხრა წუხელ თბილისში ჩამოფრენილმა ხიზანიშვილმა.

ალბათ მოგეხსენებათ, ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელებმა ხიზანიშვილი უკრაინის ნაკრებთან საზვალიო მატჩისთვის გამოიძახეს და ზურაც ასე ნაადრევად შინ მხოლოდ ამიტომ დაბრუნდა.

ნაადრევად, ცხადია, გაზვიადებული ნათქვამია. ორი თვით, თუნდ შუქ-წყლიან და გამთბარ, მაგრამ მაინც უცხო ლონდონში გაძლება იოლი როდია. ეს იმის მიუხედავადაც, რომ ხიზანიშვილით ერთდროულად რამდენიმე ლონდონური კლუბია დაინტერესებული. ერთ-ერთმა, პირველდივიზიონელმა „ფულემმა“ ის ორი კვირის წინ ჩამოართვა თანაქალაქელ პრემიერლიგელს, „ვესტ ჰემ იუნაიტედს“.

— ორი კვირაა, „ფულემში“ ვვარჯიშობ. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ „ვესტ ჰემმა“, სადაც მანამდე თვენახევარი დავყავი, ჩემს მიმართ ინტერესი დაკარგა. მოგეხსენებათ, ჩემს საქმეს ფიფას ლიცენზირებული აგენტი, ინგლისელი ათოლ სტილი წარმართავს. სწორედ მისი რჩევით და სურვილით აღმოვჩნდი პირველი დივიზიონის ლიდერ კლუბში, რომელსაც პრემიერლიგაში გადასვლა ფაქტობრივად განაღდებული აქვს.

დიახ, ცოტა ხნის წინ ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ „ფულემის“ ოფიციალური მიმართვის საფუძველზე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას ერთმატჩიანი სატრანსფერო სერტიფიკატი თხოვა, რათა ახალგაზრდა ქართველს „ოქსფორდთან“, სარეზერვო გუნდების მატჩში ეთამაშა.

თბილისიდან, არც მეტი, არც ნაკლები, ექვსთვიანი სერტიფიკატი აფრინეს. ეს ამბავი კი სფფ-მ ოფიციალური საინტერნეტო გვერდის საშუალებით 9 თებერვალს ქვეყანას ამცნო:

იხილეთ მეოთხე გვერდი

# არც ლეგიონი, არც ლობანოვსკი
## ქართველებს — რევანშის შანსი

დღეს უკრაინის ნაკრები მეორედ ეწვევა თბილისს საქართველოს ეროვნულ გუნდთან ამხანაგურად გასაჯიბრებლად და ისევ უმთავარმწვრთნელოდ. ვალერი ლობანოვსკიმ ახლაც თავის თანაშემწეებს, ლეონიდ ბურიაკს და ვლადიმირ ვერემეევს ანდო ულეგიონერებო ნაკრები. ქართველთა ორივე მესაჭე, რევაზ ძოძუაშვილი და დავით ყიფიანი კი თბილისში არიან და გუშინ ძოძუაშვილმა დიღმის ბაზაზე პირველი ვარჯიშიც ჩაატარა, თუმცა...

...მხოლოდ ნაკრებში წვეულ ქუთაისელებთან, რომელთაც ბელგიური შეკრებიდან ორიოდ დღით მოვლინებულებს დიღმის ბაზამდე თმა არ მოჰყოლიათ, სამ მეკარესთან, რამდენიმე დებიუტანტთან და ახალგაზრდული ნაკრების წევრებთან ერთად. ამათი საქმეც ერთობ საფიქრალია. მურთაზ ხურცილავას გუნდს თამაში კარს მოსდგომია და ვარჯიში რაა, ისიც კი ვერ მოუხერხებია, არადა, ხურცილავას კოლეგას ვლადიმირ ონიშჩენკოს თურმე რჩეული ბიჭები მოჰყავს საქართველოში.

ჩვენებურთა და უკრაინელთა მატჩისწინა სამზადისზე რეპორტაჟ-ინფორმაციები მეორე გვერდზე იხილეთ.



ბადრი კეთილაძის ფოტო

გუშინ დიღმის ბაზაზე: საქართველოს ნაკრები ჯერ სრულად არ შეკრებილა

# მილანმა კალაძე გამოუშვა



გუშინ იტალიურმა გაზეთმა „ტუტოსპორტმა“ გაავრცელა ცნობა, „მილანის“ ქართველმა მცველმა კახა კალაძემ უკრაინული პასპორტი აიღო, რაც მას სამომავლოდ ევროკავშირელის სტატუსის მიღებაში დაეხმარებაო. გუშინვე „მილანის“ სელექციონერ რევაზ ჭოხონელიძეს შევეხმიანეთ და ამ ინფორმაციის კომენტარი ვთხოვეთ, რასაც, ბუნებრივია, კალაძის „მილანში“ თამაშის თაობაზეც მოჰყვა ორიოდ სიტყვა:

— ჯერ ადრეა კალაძის ევროკავშირელობაზე ლაპარაკი. „მილანი“ არ ჩქარობს, ეს ყოველივე ჩვენთვის მეორეხარისხოვანია, მთავარია, კახამ კარგად ითამაშოს. დღესდღეობით კლუბში კალაძის ევროკავშირელობაზე სიტყვაც არავის უთქვამს. ერთი კი ნაღდია, უკვე გითხარით, „მილანი“ ჯერჯერობით არ არის დაინტერესებული, კალაძემ ევროპასპორტი მიიღოს. სამაგიეროდ, ყველას გვსურს, ქართველმა მცველმა თამაშს კიდევ უფრო მოუმატოს, თუმც უკვე კახა „მილანის“ ერთ-ერთ საუკეთესო მოთამაშედ ითვლება, მწვრთნელი ალბერტო ძაკერონი ძალიან კმაყოფილია და სულ მის ქებაშია. კალაძემ ტიფოზებსაც შეაყვარა თავი, ეს კი ახალწვეულისთვის დიდი საქმეა. რაც შეეხება საქართველოს ნაკრებში კახას გამოძახებას, პრობლემა არ არის, ის სამშაბათს, დილით თბილისში მოფრინავს და უკრაინის ნაკრების წინააღმდეგ ითამაშებს — გვითხრა რევაზ ჭოხონელიძემ.

კობა ინასარიძე

# კახა თარგამაძე: დინამოს წილში პოლიცია არავის ჩაისვამს
## რაღაა ვალი: 50 ათასი კომუნალური ლარი

„დინამო“ ჩვენია, ჩვენი სიამაყეა, „დინამოს“ წილს არავის გავუყოფთ“ — განაცხადა შაბათს „დინამოს“ დიღმის ბაზაზე მისულმა შინაგან საქმეთა მინისტრმა კახა თარგამაძემ.
მანამდე კი იქვე არქიტექტორ-მშენებლებს და ქალაქის კომუნალურ სამსახურთა წარმომადგენლებს შეხვდა და ბაზის გარემონტების, ვალების გადავადების თაობაზე ესაუბრა.
კლუბის მევალეებმა თქვეს, „დინამოს“ ეშველოს და ვალს, რა თქმა უნდა, გადროვებთ, თანაც დიღმის ბაზასაც გავარემონტებთო.
არქიტექტორ-მშენებლებმა, „დინამოს“ საკეთილდღეოდ ჩვენც დიდ შეღავათს გავიწევთო.
შინაგან საქმეთა მინისტრმა ყველას დიდი მადლობა გადაუხადა და იმედიანად განაცხადა, ცოტა ხანში „დინამო“ ისევ „დინამოს“ დაემსგავსებაო...

იხილეთ მესამე გვერდი



ბადრი კეთილაძის ფოტო

კახა თარგამაძე

**ხვალ** თამაშია... მართალია, უკრაინა შესუსტებული შემადგენლობით, მაგრამ მაინც დაწყობილ-დალაგებული მოდის. ჩვენი ეროვნული და ახალგაზრდული გუნდები კი...

კი შეგვიძლია ასეც ვთქვათ, საქართველოს ეროვნულმა და ახალგაზრდულმა ნაკრებებმა გუშინ დილმის ბაზაზე შეკრება დაიწყესო, თუმცა ყველაფერი ნაკრების წევრების თავმოყრა-მოგროვებას უფრო წააგავს.

ვალერი ლობანოვსკი გუნდს, ცხადია, კიევშიც ავარჯიშებდა, უკრაინელები წვრთნას თბილისში დღესაც მოასწრებენ, ჩვენებურები კი სრული შემადგენლობით ალბათ მხოლოდ ხვალ, მატჩამდე შეიკრიბებიან.

გაურკვეველია, ჩამოვა თუ არა შოთა არველაძე, ხვალ სალამოს შეუერთდება ნაკრებს კაპიტანი გიორგი ნემსაძე, რომელმაც გუშინ შოტლანდიის თასზე ითამაშა. შვეიცარიელი, გერმანელი და ბალტიისპირელი ლეგიონერები გუშინ გვიან ღამით და დღეს დილით შეუერთდებოდნენ ნაკრებს.

ქინქლაძე ტრავმირებულია, თემურ ქეცბაიაც წუხელვე გამოჩნდებოდა...

ეროვნულ ნაკრებში ერთი ფეხბურთელიც არ არის თასის მფლობელი „ლოკომოტივიდან“. რკინიგზელები შეკრებაზე არიან კვიპროსში. ბელგიაში მყოფმა „ტორპედომ“ ორივე მწვრთნელი, ზოიძე, გვარამაძე, სილაგაძე, ქემოკლიძე, აბრამიძე, თოდუა, ასათიანი, იმედაძე და აშვეთია ორი დღით გამოუშვა თბილისში. ისინი 15 თებერვალს ისევ ბელგიაში გაბრუნდებიან.

გუშინ შუადღისას მოადგნენ ტორპედოელები დილმის საწვრთნელ ბაზას. უხასიათოდ არ იყვნენ, მაგრამ მგზავრობას თავისი კვალი დაეტყო ფეხბურთელებისთვის. მოსულებს გრიშიკაშვილი, ჩივაძე, სირაძე და ძამსაშვილი შეუერთდნენ და რევაზ ძოძუაშვილმა ოთარ გაბელიასა და ფიზმომზადების სპეციალისტ გენადი გორგაძის დახმარებით 13 ფეხბურთელი ავარჯიშა. სამი მეკარე და ახალგაზრდული გუნდის ხუთი მოთამაშე ეროვნული ნაკრების ხუთეულთან ერთად საათნახევარს ვარჯიშობდნენ.

# საქართველო — უკრაინა. 14 თებერვალი

# ნაკრებია თუ საკრებულო?

ჩვეულებრივი მზადება იყო, ზედმეტი დატვირთვის გარეშე. მანამდე ფეხბურთელებმა ისადილეს, დაისვენეს, ხოლო წვრთნის დასრულებისთანავე საშხაპეს მიაშურეს. მერე ვახშამი და სასტუმრო „მესაზღვრეში“ დაბინავება.

ვერ გეტყვით, რატომ, მაგრამ ეროვნულ-ახალგაზრდულის შერეულ ვარჯიშს დავით ყიფიანი არ დასწრებია.

დღეს კი უკრაინა ჩამოდის...

**მამუკა ძგანტალიანი**



გუშინ ნაკრების ნაწილი რევაზ ძოძუაშვილმა ავარჯიშა



დავით გვარამაძე, ირაკლი ზოიძე და სოსო გრიშიკაშვილი: ამათგან ერთი ხვალ ითამაშებს

## უკრაინის 65 ლობანოვსკი თბილისს შემოსწყრა

**საქართველოს** ეროვნული გუნდის სახვალიო მეტოქე, უკრაინის ნაკრები თბილისს დღეს ჩარტერული რეისით, 65-კაციანი დელეგაციით ესტუმრება და „შერატონში“ დაბინავდება.

უკრაინელთა მწვრთნელმა ვალერი ლობანოვსკიმ და მისმა თანაშემწეებმა საქართველოსთან ამხანაგური მატჩისთვის ვისი გამოძახებაც საჭიროდ ჩათვალეს, გუშინ დილით ყველა კიევში „დინამოს“ ბაზაზე, კონჩა ზასპაში შეიყარა. უკრაინის ნაკრებმა, რომელიც მხოლოდ კიევის „დინამოსა“ და დონეცკის „შახტარის“ ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული, ლეონიდ ბურიაკისა და ვლადიმირ ვერემეევის ხელმძღვანელობით ორჯერ, დილა-საღამოს ივარჯიშა. მწვრთნელები ფეხბურთელების მომზადების დონით კმაყოფილნი არიან და ჩვენი უკრაინელი კოლეგებისთვის უთქვამთ, მიუხედავად ულეგიონერებოდ თამაშისა, ქართველებს არ ეგონოთ, უბრძოლველად რამე დავუთმოთ. ვისაც ნაკრებში დამკვიდრება სურს, საამისოდ თბილისში კარგი შანსი ეძლევაო. თავად ვალერი ლობანოვსკი თბილისს არც ამჯერად ჩამოვა. ისევე როგორც ორი წლის წინ, ჩვენს ხვალინდელ მეტოქეებს მისი თანაშემწეები ბურიაკი და ვერემეევი უხელმძღვანელებენ.

უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის ნაკრებებთან ურთიერთობის კომიტეტის უფროსს ოლეგ ბაზილევიჩს კი თურმე პირდაპირ განუცხადებია — ეს ბიჭები, რომლებიც ნაკრების დებიუტანტები არიან, საქართველოსთან თამაშისას ყველაფერს გააკეთებენ, რათა მწვრთნელებს თავი მოაწონონ. მე გამარჯვების დიდი იმედი მაქვსო.

რაც შეეხება სამი უძლიერესი უკრაინელი ლეგიონერის საქართველოსთან მატჩისთვის გამოუძახებლობას, ამის მიზეზი დღეს და ხვალ გასამართი ჩემპიონთა ლიგის მატჩებია. ანდრეი შევჩენკოს „მილანი“ პსჟ-ს მასპინძლობს, ოლეგ ლუჟნის „არსენალი“ ლიონს სტუმრობს. ინგლისის „ტოტენჰემის“ ფორვარდ სერგეი რებროვის ნაკრებში მიწვევა კი უეფას მიერ ნაკრებში ფეხბურთელთა გამოძახების ლიმიტის გამო მწვრთნელებმა საჭიროდ არ ჩათვალეს.

უკრაინაში ხვალინდელ მატჩს თურმე დიდი ინტერესით ელიან. რაც უნდა იყოს, ეროვნულ გუნდს უკვე კარგა ხანია, აღარ უთამაშიაო, გვითხრეს იქაურმა კოლეგებმა. ასეთ ინტერესს კი, რა თქმა უნდა, ისიც განაპირობებს, რომ ამ მატჩის პირდაპირი რეპორტაჟი უკრაინაშიც გადაიცემა.

**კობა ინასარიძე**



1999 წლის 20 მარტი. კობა წიტაიშვილის ის გოლი „შევარდენზე“, რომელიც უკრაინელ ახალგაზრდებს ხვალ წააქეზებს

# მთელი უკრაინა აქ არის

**ხვალ**, 12 საათზე, „შევარდენის“ სტადიონი საქართველოსა და უკრაინის ახალგაზრდული ნაკრებების მატჩს უმასპინძლებს.

სტუმრები დღეს, ნაშუადღევს ჩამოფრინდებიან კიევიდან ჩარტერული რეისით და სასტუმრო „მონოპოლში“ დაბინავდებიან, ხვალ კი რევანშის აღებას შეეცდებიან. შეგახსენებთ, ჩვენმა ახალგაზრდულმა ნაკრებმა 1999 წლის 20 მარტს სწორედ „შევარდენზე“ დაამარცხა უკრაინელი თანატოლები. მაშინ მატჩის ერთადერთი გოლი წიტაიშვილმა გაიტანა. ამ გუნდებს 3 წლის წინაც უთამაშიათ. 1998 წლის 18 აგვისტოს შეხვედრა კიევში 1:1 დამთავრდა.

უკრაინის ახალგაზრდების მთავარმა მწვრთნელმა ვლადიმირ ონიშჩენკომ თბილისში 17 ფეხბურთელი ჩამოიყვანა:

*მეკარეები: ვიტალი რუდენკო (ჩერნომორეცი), მაქსიმ სტარცევი (დნიპრო); მცველები: ბოგდან შერშუნი, სერგეი მატიუხინი, რომან პასიჩნიჩენკო (დნიპრო), ვიაჩესლავ შევჩუკი (შახტარი), სერგეი ბილაზორი (ცსკა), არტიომ ფედორჩენკო (სტალი); ნახევარმცველები და თავდამსხმელები: სერგეი ტკაჩენკო, სერგეი დიტკოვსკი, ალექსანდრ ალექსიენკო (ცსკა), არტიომ აკოფიანი (ზაპოროჟიე), ევგენი ტარანი (მარიუპოლი), იგორ სკობა (დინამო), სერგეი ხომუტოვი (პოლიგრაფტეხნიკა), ალექსეი ბიელიკი (შახტარი), დენის პოიდა (ობოლონი).*

უკრაინის ახალგაზრდული ნაკრები, ეროვნულისგან განსხვავებით, საკმაოდ წარმომადგენლობითია. თუ ვალერი ლობანოვსკიმ მხოლოდ ორი კლუბის — „დინამოს“ და „შახტარის“ ბაზაზე დააკომპლექტა სათბილისო ნაკრები, ვლადიმირ ონიშჩეკომ პირველი და მეორე ლიგების 10 კლუბის ფეხბურთელებს უხმო.

**ბაატა ძგანტალიანი**

# შორი გზიდან ბიჭებს ველი...

**მოდი** და თქვი, რომ ხვალ, 12 საათზე საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები უკრაინისას „შევარდენზე“ დაუხვდება. ყველაფერი პირიქითაა, უკრაინელები დაუხვდებიან ქართველებს. უცნაურია? სულაც არა...

ხვალინდელი მატჩისთვის მართლაც დიდი პრობლემები აქვს მურთაზ ხურცილავასა და მის გუნდს. პრობლემაა, აბა რა, როდესაც მწვრთნელმა არ იცის, თუ ვის ათამაშებს უკრაინელებთან. ის კი არა, ხურცილავას გუნდი სულაც უვარჯიშებელი ხვდება ხვალინდელ შეხვედრას. ახალგაზრდული ნაკრების ძირითად ბირთვს „ვიტ ჯორჯია“ შეადგენს. გუნდი, რომელიც დღეს ბრუნდება იტალიური შეკრებიდან. დაღლილ-დაქანცული ვიტელები შუადღით ჩამოდიან თბილისში, ბუნებრივია, დასვენებაც სჭირდებათ, ისიც შესაძლებელია, ზოგ ფეხბურთელს ტრავმაც ჰქონდეს, ამდენად მათი ვარჯიში, ფაქტობრივად, გამორიცხულია.

ხურცილავას მეორე თავისტკივილი ლაშა ჯაკობიას ტრავმაა, გაურკვეველია მამუკა წერეთლის საკითხიც. წერეთელი ხურცილავას კი დაჰპირებია, უკრაინასთან ვითამაშებო, მაგრამ გუშინ „ალანიას“ შეუერთდა მოსკოვში და ვლადიკავკაზური გუნდის მორიგი შეკრებისთვის ემზადება. რაღა გასაკვირია, რომ ამის შემდეგ ერთობ შეფიქრიანებულია ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელი:

„არც კი ვიცი, რა გავაკეთო. ცხადია, გამარჯვებისთვის ვიბრძოლებთ, მაგრამ ჯერჯერობით შემადგენლობასაც კი ვერ ვასახელებ. იმასაც ვერ გეტყვით, ლეგიონერთაგან ვინ ჩამოვა, მომსვლელებსაც მატჩის წინადღეს ველით. ოთხ საათზე „შევარდენზე“ უკრაინელები ვარჯიშობენ, ამ დრომდე ჩვენი ლეგიონერებისა და ვიტჯორჯიელების შეკრებაც სათუოა, ისევე როგორც უკრაინელების მერე „შევარდენზე“ ვარჯიში. ერთის თქმა კი დანამდვილებით შემიძლია — იძულებული ვარ, გამოუცდელი, ახალგაზრდა ფეხბურთელები ვათამაშო. ამაში საგანგაშო არაფერია. მომავლისთვის გარკვეულ პრაქტიკას შეიძენენ“ — გვითხრა მურთაზ ხურცილავამ.



მურთაზ ხურცილავა

გუშინ ხურცილავას განკარგულებაში ახალგაზრდულ ნაკრებში გამოძახებულთაგან ხუთი ფეხბურთელი იყო, მათ ცალკე ვარჯიშს აზრი არ ჰქონდა და ახალგაზრდულის მესაჭემ ხუთეული დილმის ბაზაზე გააგზავნა, სადაც ეროვნული ნაკრები შეთხელებული შემადგენლობით ვარჯიშობდა.

**ბაატა ძგანტალიანი**

ექიმი კარდიოლოგი
გია მაზავრაშვილი
◆ სუ ჯოკ აკუპუნქტურა
◆ სუ ჯოკ ჰომეოპათია და ფიტოთერაპია
◆ კვებისადა ფიზიკური რეჟიმის კორექცია
(აპრობირებულია სპორტულ მედიცინაში)
მკურნალობის მოსალოდნელი შედეგის
განსაზღვრა უფასო კონსულტაციით
თბილისი. ვაჟა-ფშაველას 83/11. სუ ჯოკ თერაპიის ცენტრი.
ტელეფონი: 31-55-35; 38-67-56; 8 99 107 109

## ინგლისი

პრემიერლიგა. XXVII ტური

ვესტ ჰემი 1:1 ქოვენთრი

1:0 ჯ. კოული (83), 1:1 დეილი (90ს.კ.)

## გერმანია

II ბუნდესლიგა. XXI ტური

დუისბურგი 4:0 ალემანია

## პორტუგალია

თასის მეოთხედფინალი

ფამალიკაუ (II) 1:3 სპორტინგი

1:0 ფერეირა (22), 1:1 აკოსტა (80), 1:2, 1:3 შჩეპანი (83, 90)

## შოტლანდია

ასოციაციის თასი

1/16 ფინალი

ქუინ ოფ საუთი (III) 1:3 ეირდრი (II)

0:1 მორი (14), 1:1 პუკი (20), 1:2 პილჯი (50), 1:3 ხესუს გარსია (89პ)

1/16 ფინალი. გადათამაშება

ფალკირკი (II) 0:2 დანდი

0:1 სარა (72), 0:2 კანიჯა (84)

## იტალია

სერია B. XXII ტური

ვენეცია 1:0 ტორინო

# პოლიცია წილში არავის ჩაისვამს

## დინამოს ვალი: 50 ათასი კომუნალური ლარი

**ითქვა** და შეხვედრაც შედგა. თბილისის „დინამოს“ დიღმის საწვრთნელ ბაზაზე შაბათსაც ხალხმრავლობა იყო.

დათქმულ დროს, ორ საათზე ბაზას შინაგან საქმეთა მინისტრი კახა თარგამაძე და მისი მოადგილე ზურაბ ჩხაიძე, სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე ირაკლი მეძმარიაშვილი, სპორტსაზოგადოება „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნიკა ივანიშვილი, „წყალკანალტრესტის“ უფროსი იუზა ცარციძე, თელასის, თბილგაზის, სამშენებლო ფირმა „თბილისის“ წარმომადგენლები ესტუმრნენ და საათნახევარს „დინამოს“ ოფისში, საფეხბურთო კლუბის მომავალზე, დიღმის ბაზის გარემონტებაზე ლაპარაკობდნენ.

სათამადო ადგილი კახა თარგამაძემ დაიკავა, მაგიდას სხვებიც შემოუსხდნენ და სჯა-ბაასიც დაიწყო. პირველად იმ ვალებზე ითქვა, უპატრონობისას „დინამოს“ თბილგაზის, თელასის, წყალკანალის და სხვადსხვა ორგანიზაციისა რომ დაუგროვდა. ბაზაზე დასაწყები სამუშაოები კი ამ უწყებების შესასრულებელიც არის. შს მინისტრმა ჯერ თბილგაზისა და თელასის წარმომადგენლებს სთხოვა, ეგებ გვადროვოთ, კლუბს რეგისტრაციაში გავატარებთ და, რაღა თქმა უნდა, დავალიანებასაც დავფარავთო. მინისტრმა ისიც დაამატა, თქვენი თანადგომის იმედი მაქვს და რასაც ბაზაზე გააკეთებთ, ყველაფერი ხარისხიანი იყოსო. მერე წყალკანალის უფროს იუზა ცარციძეს მიმართა, ეგებ წყლის პრობლემა მოგვიგვაროთ და უახლოეს მომავალში თქვენც გაგისტუმრებთო. მინისტრისათვის პასუხი სამივე უწყებიდან ერთნაირი იყო — შინაგან საქმეთა სამინისტრო ერთ-ერთი ყველაზე კარგი გადამხდელია, დარწმუნებულები ვართ, ჩვენსას არ დაგვიკარგავთ, ოღონდ თბილისის „დინამოს“ ეშველოს და ჩვენც ყველანაირად დაგეხმარებითო. თარგამაძემ მადლობა გადაუხადა, მერე თავისიანებს, სტუმრები გააცილეთო დაავალა და არქიტექტორ-მშენებლებს მიუბრუნდა. მინისტრს არქიტექტორმა გია კარტოზიამ და სამშენებლო ფირმა „თბილისის“ პრეზიდენტმა თემურ ჩარკვიანმა თავიანთი უთხრეს, რა, როგორ, სად აჯობებს, ამოალაგეს ფანჯრის ჩარჩოს, ხალიჩისა და ბაზაზე რაც კი შესაცვლელია, თითქმის ყველაფრის ნიმუშები. კახა თარგამაძემ თქვა: „ჩვენი პრინციპი ასეთია, სწრათად, იაფად, ხარისხიანად. ამხელა საქმე წამოვიწყეთ და რემონტიც ისეთი გავაკეთოთ, აქაურობა ერთ-ორ თვეში ხელახლა შესაკეთებელი არ გახდეს. ხუთშაბათს ჩემთან გელით, ხარჯთაღრიცხვა შეადგინეთ და სამუშაოთა დაწყების დღეზე შევთანხმდეთ. თუ საჭირო გახდა, ჩემს თურქ კოლეგასაც ვთხოვ და საჭირო მასალები ეგებ პირდაპირ ქარხნიდან გამოგვატანინოს, გაცილებით იაფი დაგვიჯდება“.

შემდეგ მინისტრის მოადგილე ზურაბ ჩხაიძემ იკითხა, რემონტი დაახლოებით რამდენ ხანს გასტანსო. მშენებლებმა, ალბათ, სამ თვესო, და ისიც დაუმატეს, „დინამოს“ საკეთილდღეოდ ჩვენც ბევრ შეღავათს გაგიწევთ, ოღონდ, მუშებს ხელფასები მივცეთო. ამ საუბარმა ნახევარ საათამდე დრო წაიღო, მერე კი კახა თარგამაძემ სხვებთან ერთად ბაზის შენობას შემოუარა, ფასადის თაობაზე თავისი შენიშვნებიც თქვა და ჟურნალისტებსაც გაგვესაუბრა.

— ყველაფერზე მოვილაპარაკეთ. „დინამოს“ სამსახურში მყოფთ სხვანაირად არც შეგვეძლო. მევალეებს ვუთხარი, როცა რემონტს დავიწყებთ, კლუბი რეგისტარციას გაივლის და ყველა იურიდიულ საკითხს მოვაგვარებთ, ვალების გასტუმრებასაც დავიწყებთ-მეთქი. ეს ბაზა ევროპული სტანდარტებისა არა, მაგრამ ხუთ-ექვს თვეში ისეთი იქნება, ფეხბურთელებმა ვარჯიშისა და დასვენების პირობებზე არ დაიჩივლონ, აქაურობა ნორმალურად გარემონტდება, რისი შესაძლებლობაც გვაქვს, იმის მაქსიმუმს გავაკეთებთ. აქ მე ყოველ კვირას მოვალ, შეიძლება უფრო ხშირადაც და სამუშაოს მიმდინარეობას თვალყურს მივადევნებ. რემონტი გუნდის ვარჯიშს ხელს არ შეუშლის. ახლა ვცდილობთ, ჩემპიონატის განახლებამდე „დინამოს“ ათდღიანი შეკრება გავუხერხოთ ქალაქგარეთ და ამ დროს მშენებლები სათავისოდ გამოიყენებენ. ისედაც, აქ ცხოვრება მაინც შეუძლებელია. როცა ფეხბურთელები დაინახავენ და იგრძნობენ, რომ მათ ყურადღებას აქცევენ, მათზე ზრუნავენ, გარწმუნებთ, აქედან აღარავინ გაიქცევა. მათი კარიერისთვისაც აჯობებს, რომ „დინამოში“ ითამაშონ. სხვა კლუბებს არ ეწყინებათ, მაგრამ რად უნდა თქმა, „დინამოს“ ევროპაში მეტი ავტორიტეტი აქვს. ეს მართლაც მამულიშვილური საქმეა. კარგი იქნებოდა, ყოველივე ადრე დაგვეწყო და რადგანაც ახლა ყველაფერი გადაწყვეტილია, ჩვენ „დინამოს“ საწილო პროცენტის მიცემას არავისთვის ვაპირებთ. „დინამო“ ჩვენია, ჩვენი სიამაყეა. „დინამოს“ სტადიონის გარემონტებაზე კი ჯერჯერობით ვერაფერს ვიტყვი, „დინამო“ რესპუბლიკური საბჭოს სტადიონის აქციათა 35 პროცენტი აქვს, დანარჩენი მერიისა და ფეხბურთის ფედერაციისაა, თუმც, როცა კი ამის საშუალება მექნება, ეროვნული სტადიონის საკითხსაც დავაყენებ. სამწუხაროდ, კაცი უამრავ პრობლემას ერთ დღეში ვერ გადაწყვეტ. კახა კალაძის კიევის „დინამოდან“ „მილანში“ ტრანსფერის 50 პროცენტზე კი ახალი არაფერია, დღესდღეობით არაფერი მიგვიღია...

კახა თარგამაძემ ბაზის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ შენობას, ხელოვნურსაფარიან მოედანსაც შეავლო თვალი, მერე საჭეს თავად მიუჯდა და იმედიანად დაგვემშვიდობა. ყველა იქ მყოფიც იმედიანი ჩანდა — „დინამოს“ ეშველება. ყოველ შემთხვევაში, დღეს საქმეს ასეთი პირი უჩანს.

და კიდევ. სპორტსაზოგადოება „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ნიკა ივანიშვილის თქმით, „დინამოს“ ზემოაღნიშნული სამი უწყების ვალი 50 ათასი ლარი აქვს. წყალკანალის — 30 000, თბილგაზის — 8 000, თელასის — 12 000. ამ ფულის გადახდას „დინამოს“ საბჭო ბანკიდან აღებული კრედიტით აპირებს.

**ბონა ინასარიძე**



გაიოზ ქოთოლაშვილის ფოტო

ერთ დროს სანაქებო დიღმის ბაზას ლამის ჭერი და კედლები ჩამოეშალოს



გაიოზ ქოთოლაშვილის ფოტო

დიღმის ბაზაზე კახა თარგამაძეს მეგზურობას ნიკა ივანიშვილი უწევდა



გაიოზ ქოთოლაშვილის ფოტო

ამ ბოლო ხანს „დინამოს“ ოფისში ხშირი და დიდი სჯა-ბაასია


**ჰერბალ-ვი ვიაგრას მცენარეული ალტერნატივა**

**სექსუალური აქტივობის გაუმჯობესების აბსოლუტურად უსაფრთხო, მაღალეფექტური მცენარეული საშუალება**




**HERBAL VY — მამაკაცებისთვის** — აბსოლუტურად უსაფრთხო მათთვისაც კი, ვინც დაავადებულია მაღალი წნევით, გულის დაავადებით ან სხვა დაავადებებით, — აუმჯობესებს ლიბიდოს, ასტიმულირებს ნევრო-სექსუალურ ფუნქციას, როგორც ფიზიკურ, ასევე ფსიქოლოგიურ ასპექტში; — წარმატებით ხსნის სექსუალური დარღვევებით გამოწვეულ ტკივილებს წელისა და მუცლის არეში, მატებს ენერგიას და სიცოცხლის ხალისს; — რთული, ორგანული მიზეზებით განვითარებული იმპოტენციის დროს, აუცილებელი სერიოზული მედიკამენტოზური სამკურნალო კურსის განსაზღვრულ ეტაპზე „ჰერბალ ვი“ ქმნის შესანიშნავ ფონს და ახანგრძლივებს მათ ეფექტს;

*„ჰერბალ ვი“-ს უკომპლექსოდ იყენებენ აბსოლუტურად ჯანმრთელი მამაკაცებიც, რომლებსაც ნერვული დაძაბულობისა და გადაღლილობის გამო დროდადრო დაქვეითებული აქვთ სექსუალური აქტიურობა, აგრეთვე სპორტსმენები, საუკეთესო სპორტული შედეგების მისაღწევად!*

**HERBAL VY** — „ვიაგრა“ — უაღრესად პოპულარული, უსაფრთხო მცენარეული ალტერნატივა მსოფლიოს ელიტარულ საზოგადოებაში!

*ინგლისურ-შვეიცარიული კომპანია „სვისჰელსის“ ნაწარმი.*

**აიღეთ ცხოვრებისგან საუკეთესო!**

მოიკითხეთ სააფთიაქო ბაზებსა და აფთიაქებში

„სვისჰელსის“ ექსკლუზიური დისტრიბუტორი კომპანია „ფლორენტი“ ტ. 99-87-37

# ფიფას წესები არამოყვარულთათვის

**დასაწყისი პირველ გვერდზე**

„საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ინგლისის საფეხბურთო ასოციაციას გაუგზავნა საქართველოს ეროვნული გუნდის მცველის, ზურაბ ხიზანიშვილის დროებითი ტრანსფერი, რომელიც მას ინგლისის პირველი დივიზიონის ლიდერ „ფულემში" 1 აგვისტომდე თამაშის უფლებას აძლევს. სფფ-მ დროებითი ტრანსფერი იმ პირობით გააგზავნა, რომ თუ „ფულემი" მოთამაშეს არ დაიტოვებს, ინგლისის ასოციაციამ დროებითი ტრანსფერი 6 თვეში უნდა დააბრუნოს. დროებითი ტრანსფერი ხიზანიშვილის ყოფილი კლუბის, თბილისის „ლოკომოტივის" მოთხოვნის საფუძველზე გაიგზავნა."

ფიფა ქართულ მხარეს მოთამაშეთა ტრანსფერისა და სტატუსის წესების მეხუთე პარაგრაფში კარგად ჩახედვას ურჩევს. იქ კი გარკვევით წერია: „ეს კონტრაქტები უნდა იყოს ფინანსური ხელშეკრულებები წინასწარ განსაზღვრული ვადით."

ციურიხში 23 თებერვლამდე ქართველთა უფრო სერიოზულ არგუმენტს ელიან. ეს ხიზანიშვილის ტრანსფერის მოშურნეთა კიდევ ერთი შანსია, ფეხბურთის მმართველი მსოფლიო ორგანიზაციისგან უფრო ზრდილობის გამონაბოძები, ვიდრე რეალურად გამოსაყენებელი.

ვერ გეტყვით, ყურად იღებს თუ არა



ზურაბ ხიზანიშვილი დროებით ისევ თბილისშია

ბის, თბილისის „ლოკომოტივის" მოთხოვნის საფუძველზე გაიგზავნა."

სწორედ ეს ცნობა გახდა იმის საფუძველი, რომ ზურაბი უკვე ფულემელად მოენათლათ, მაგრამ ნამდვილად საქმე ამაზე შორს არც წასულა: ხიზანიშვილს „ფულემში" არ უთამაშია და გამორიცხული არ არის, არც ითამაშოს.

— როგორც ვიცი, ჩემით სხვა კლუბებიც არიან დაინტერესებულნი და თუ მათი პირობები უკეთესი იქნა, არ გამოვრიცხავ, „ფულემში" არც დავრჩე — გვითხრა წუხელვე უმცროსმა ხიზანიშვილმა.

კეთილი და პატიოსანი. ესეც უმცროსი ხიზანიშვილის ნათქვამი, მაგრამ აქვე თქვენ შეგიძლიათ, უფროსი ხიზანიშვილის, ბატონი ნოდარის მოწოდებულ, ფიფას ფაქსის ასლსაც გაეცნოთ.

ვინც ხიზანიშვილ — „ლოკომოტივის" სადავო კონტრაქტის თაობაზე საქმის კურსშია, კარგად მოეხსენება, ეს საკითხი განსახილველად ფიფამდე მივიდა. ჯერ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ, მერე კი თბილისის „ლოკომოტივმა" ხიზანიშვილის აგენტ ათოლ სტილს ფიფაში უჩივლა, ქართულ კლუბთან შეუთანხმებლად ფეხბურთელს ევროპულ კლუბებში მოუწყო გასინჯვაო.

აგენტმა თავი ასე იმართლა: ჩემს კლიენტს თბილისურ კლუბთან კონტრაქტის ვადა ამოწურული ჰქონდაო და ფიფას ქართული მხარისგან სადავო, უვადო კონტრაქტის ასლის გამოთხოვა ურჩია.

როგორც ახლა ირკვევა, „ლოკომოტივს" და ფედერაციას საოცარი პედანტობა გამოუჩენიათ, პასუხი სწორედ დათქმული ვადის ბოლომდე ორი დღით ადრე გაუგზავნიათ. დიდად ოპერატიულად არც ფიფა მოქცეულა (მოუცლელობისთვის ბოდიშსაც იხდის), მაგრამ, ეს საქმე როგორც იქნა, განუხილავს და პასუხი ერთი კვირის წინ მოუწერია.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრესატაშემ გუშინაც კი არაფერი იცოდა ამ ფაქსის არსებობის შესახებ, სამაგიეროდ მისი ასლი თავაზიანად გადმოგვცა თავად ფეხბურთელის მამამ.

ფიფას წერილს სრულად აქვე იხილავთ. მოკლედ კი ერთის თქმა შეიძლება. უმთავრესი სადავო საკითხი და ქართველთა არგუმენტი უვადო ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე გავაფორმეთო, გაბათილებულია.

ფიფას რჩევას საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია, რომელიც გულდაგულ მალავდა ამ ფაქსსა და „მოთამაშეთა სტატუსის და ტრანსფერის წესების" თარგმანს, მაგრამ ჩვენ კი სწორედ საჭირო კვალზე დაგვაყენა ამ წერილმა.

ჩვენი ფედერაცია ხიზანიშვილ — „ლოკომოტივის" დავიდან მშრალად გამოსვლას ცდილობდა. ფედერაციის გენმდივანი ვალერი ჩოლარია ხელებს ასე იბანდა, კლუბსა და ფეხბურთელს შორის დადებულ კონტრაქტში ჩახედვა რა ჩვენი საქმეა, მოთამაშეთა კონტრაქტები ფედერაციაში მხოლოდ იმიტომ დევს, კლუბს თუ ფეხბურთელს რომ არ გაებნეს, თორემ მათი შეგროვება სულაც არ გვევალება და, მითუმეტეს, არც ის გვაინტერესებს შიგ რა წერიაო.

მეხუთე პარაგრაფის მომდევნო მუხლი სწორედ რომ საწინააღმდეგოს ამტკიცებს: „ამ კონტრაქტების ასლები წარდგენილი უნდა იყოს ეროვნულ ასოციაციებში, რათა გადაეგზავნოს ფიფას შესაძლო მოთხოვნის შემთხვევაში".

ეს კი საკმარისი საფუძველია საიმისოდ, რომ ფედერაციის გენმდივნისა თუ მისი შესაბამისი სამსახურის კომპეტენტურობაში ეჭვი შევიტანოთ. ეს საუკეთესო ვარიანტში, რადგან სხვაგვარად მათ პატიოსნებაში მოგვიწევს დაეჭვება.

ფედერაცია რომ ფიფას წესებს მისდევდეს და ყველა კონტრაქტის მიმართ სათანადო ინტერესს იჩენდეს, ეს კონკრეტული საქმეც არ მივიდოდა აქამდე. ახლა კი რა გამოდის, ფედერაციამ, რომ არა ვთქვათ, ქართულ კანონმდებლობაზე თვალდაბინდულად შეყვარებულ „ლოკომოტივზე", თავი სასაცილოდ გაიხადა.

ჩვენში იშვიათია ასეთი რამ, მაგრამ ხიზანიშვილ — „ლოკომოტივის" მთელი საქმე, უკვე შეიძლება ითქვას, უმეცრებაზე სამართლიანობის გამარჯვების საუკეთესო მაგალითია.

**ვახტანგ ბზიკაძე**

---

*საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალურ მდივანს, ბატონ ვალერი ჩოლარიას*

*ციურიხი, 2001 წლის 5 თებერვალი*

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია/**
**მოთამაშეთა აგენტი ათოლ სტილი, ინგლისი**
**(კლუბი თბილისის „ლოკომოტივი", საქართველო;**
**მოთამაშე ზურაბ ხიზანიშვილი)**

ძვირფასო ბატონო,

ვადასტურებთ, რომ მივიღეთ 2000 წლის 25 დეკემბრით დათარიღებული თქვენი წერილი, რომელიც შეეხებოდა ზემოთ ხსენებულ საქმეს და ბოდიშს გიხდით პასუხის ასე დაგვიანებისთვის. შესაბამისი დოკუმენტაციის ასლი გასაცნობად გაეგზავნა მოთამაშეთა აგენტ ათოლ სტილს.

ჩვენ ყურადღებით შევისწავლეთ გადმოცემული დასაქმების კონტრაქტი მოთამაშე ზურაბ ხიზანიშვილსა და თქვენთან გაწევრიანებულ კლუბ თბილისის „ლოკომოტივს" შორის და შევნიშნეთ, რომ ხელშეკრულების ვადა განუსაზღვრელია.

ამასთან დაკავშირებით გირჩევთ, მიმართოთ მოთამაშეთა ტრანსფერისა და სტატუსის წესების მეორე პარაგრაფის მეხუთე მუხლს, რომელშიც მითითებულია, რომ წერილობითი კონტრაქტები არამოყვარულ მოთამაშეებსა და კლუბებს შორის უნდა იყოს ფინანსური ხელშეკრულებები დადებული წინასწარ განსაზღვრული ვადით.

რაც შეეხება მოთამაშეთა აგენტ ათოლ სტილის ვითომდა არასწორ ქცევას, როგორც გვესმის, თქვენი კლუბი ამტკიცებს, რომ აგენტმა მისი თანხმობის გარეშე შესთავაზა მოთამაშე რამდენიმე ევროპულ, ძირითადად ინგლისურ კლუბს. მიუხედავად ამისა, კლუბს ჩვენი სამსახურისთვის ბრალდების დამადასტურებელი არანაირი საბუთი არ წარმოუდგენია.

ასე რომ, გთხოვთ, კიდევ ერთხელ დაუკავშირდეთ თქვენთან გაწევრიანებულ კლუბს და შეატყობინოთ, რომ სამომავლო ნაბიჯთა განსახილველად ფიფას სჭირდება თქვენი კლუბის პრეტენზიების დამადასტურებელი გარკვეული დოკუმენტები. სხვაგვარად, უნდა გაცნობოთ, რომ ახლანდელ დოკუმენტებზე დაყრდნობით და მხარეთა განცხადებების გათვალისწინებით არ გაგვაჩნია სხვა არჩევანი, თუ არა, თავი შევიკავოთ ამ საქმეში მეტად ჩარევისგან.

მადლიერნი ვიქნებით, თუ საჭირო ინფორმაციას მივიღებთ არაუგვიანეს 2001 წლის 23 თებერვლისა.

მადლობას გიხდით ყურადღებისთვის და იმისთვის, რომ ამ საქმეში ჩართულ კლუბს შესაბამისად მიაწვდით ინფორმაციას.

*ფეხბურთის ასოციაციათა საერთაშორისო ფედერაცია*

**ჯანპაოლო მონტენერი**

*მოთამაშეთა სტატუსისა და იურიდიული სამსახურის ხელმძღვანელი*

*ასლი: ბატონ ათოლ სტილს*

---

## არამოყვარული მოთამაშეები

1. საკუთარი ეროვნული ასოციაციის მიერ არამოყვარულად მიჩნეულ ყველა მოთამაშეს უნდა ჰქონდეს წერილობითი კონტრაქტი ამ ასოციაციაში განევრიანებულ კლუბთან.
2. ეს კონტრაქტები უნდა იყოს ფინანსური ხელშეკრულებები წინასწარ განსაზღვრული ვადით.
3. ამ კონტრაქტების ასლები წარდგენილი უნდა იყოს ეროვნულ ასოციაციებში, რათა გადაეგზავნოს ფიფას შესაძლო მოთხოვნის შემთხვევაში.
4. ეროვნულ ასოციაციებს შეუძლიათ გაითვალისწინონ დამატებითი პირობები, ჩართული ყველა კონტრაქტში, რომლებიც გაფორმებულია კლუბსა და ამ ასოციაციის მიერ რეგისტრირებულ არამოყვარულ ფეხბურთელს შორის.



Status and Transfer of Football Players - Microsoft Internet Explorer

File Edit View Favorites Tools Help

Back Forward Stop Refresh Home Search Favorites History Mail

Address Status and Transfer of Football Players.htm Go

**II. Non-Amatuer Players**

**Art. 5**

1. Every player designated as non-amateur by his national association shall have a written contract with the club employing him.
2. Such contracts shall be financial contracts concluded for a predetermined period.
3. A copy of these contracts shall be provided to the national association concerned and, upon demand, made available to FIFA.
4. National associations may stipulate additional provisions to be included in every contract concluded between a club and a non-amateur player registered with the association.

Copyright © 1994-2000 FIFA. All rights reserved.
Copyright © 1994-2000 En-Linea, Inc. All rights reserved.

Done Local intranet

---



ლაშა ჯაყობიას საქმე სასაცილოდ აღარა აქვს

# გაწყდა და გადაწყდა: ჯაკობიას კუნთი და ბელგიაში დარჩენა

**ნალდად** არ უმართლებს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების და ბელგიური „აალსტის" ფორვარდს. ჯაკობია ექვს თვეს მკურნალობდა საზარდულს, ფეხზე დადგა, ორი კვირის წინ მოედანსაც დაუბრუნდა და ის იყო, ძირითად შემადგენლობაში ადგილი უნდა დაემკვიდრებინა, რომ...

— „ლოკერენთან" მე-60 წუთზე შევედი შეცვლაზე, ხეირიანად გახურებულიც არ ვიყავი, რომ მარცხენა ფეხში საშინელი ტკივილი ვიგრძენი. მოგვიანებით ექიმებმა მითხრეს, რომ ბარძაყის კუნთი სამ სანტიმეტრზე გამწყვეტოდა. მეგონა, უიღბლობას წერტილი დავუსვი და ახალი სატკივარი გამიჩნდა — გვითხრა გუშინ ჯაკობიამ სატელეფონო საუბრისას.

ამ ფაქტით ერთობ დამწუხრებულია საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელი მურთაზ ხურცილავა. ბუნებრივიცაა, ჯაკობია ხომ გუშინ თბილისში უნდა ჩამოსულიყო უკრაინელებთან სათამაშოდ.

„ისევ ვერაფრით დავეხმარები ახალგაზრდულ ნაკრებს, არადა, სულმოუთქმელად ველოდი თბილისში ჩამოსვლა. მგზავრობა კი არა, ექიმებმა ჯერჯერობით ფეხზე ადგომაც ამიკრძალეს".

ჯაკობიას დღეს ბელგიელი ექიმები ყოველმხრივ გამოიკვლევენ და რამდენი ხნით მოუწევს უქმობა ქართველ ფეხბურთელს მაშინ გაირკვევა. წინასწარი ინფორმაციით კი „აალსტის" ქართველი ლეგიონერი ვარჯიშის განახლებას ექვსი კვირის შემდეგ შეძლებს.

**ბაატა ძგანტალიანი**

---


# იყიდება

☎ (231) 7 17 58

ბინა ინდივიდუალური პროექტით აშენებული რვაბინიანი სახლის მესამე სართულზე. საცხოვრებელი ფართი 250 მ². დამხმარე ფართი 80 მ² პირველ სართულზე.



# ქუთაისში

ირაკლი აბაშიძის გამზირი, 18. კინოთეატრ "სულიკოსთან"

# ფრეები

## ინგლისი

### XXVII ტური

**ჩელსი 1:1 მანჩესტერ იუნაიტედი**

1:0 ჰასელბაინკი (24), 1:1 კოული (69)
ჩელსი: კუდიჩინი, ბაბაიარო, ლებეფი, დესაი, ტერი, ფერერი (ლამპარდი 87), უაიზი, დალა ბონა, გრონკიერი (იოკანოვიჩი 70), ჰასელბაინკი, ძოლა (გუდიონსენი 90)
მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი
მანჩესტერ იუნაიტედი: ვან დერ გოუ, გ. ნევილი, სტამი, უესლი ბრაუნი, სილვესტრი, როი კინი, ბექჰემი, სქოულზი, გიგზი, სოლსკიერი, ენდი კოული
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
გაფრთხილება: სქოულზი, კოული
34 960 მაყურებელი

**ლიდსი 0:0 დერბი ქაუნთი**

ლიდსი: მარტინი, რ. ფერდინანდი, რადებე, მატეო, ბოიერი (ბაკე 69), დაკური, ბეტი, უილკოქსი (კოუელი 63), ჰარტი, რობი კინი, ვიდუკა (ა. სმიტი 69)
მწვრთნელი: დევიდ ოლირი
დერბი ქაუნთი: ოუქსი, რიგოტი, ვესტი, ბ. ონილი (ჰიგინბოთემი 11), კარბონარი, შტრუპარი, ბარლი, ერანიო (ბრაგსტადი 46), დ. პაუელი, დ. ბარტონი, კრისტი (ლ. მორისი 90)
მწვრთნელი: ჯიმ სმიტი
გაფრთხილება: ბაკე, სმიტი, ბარტონი, ერანიო, კარბონარი, რიგოტი, პაუელი
38 789 მაყურებელი

**ჩარლტონი 2:0 ნიუკასლი**

1:0 სვენსონი (37), 2:0 ბარტლეტი (43)
ჩარლტონი: ილიჩი, რუფუსი, ტოდი, ფიში, კიშიშევი (ჯ. რობინსონი 83), პარკერი (კინსელა 90), იენსენი, გ. სტიუარტი, კ. პაუელი, სვენსონი, ბარტლეტი (იოჰანსონი 77)
მწვრთნელი: ალან კურბიშლი
ნიუკასლი: გივენი, უ. ბარტონი, მარსელინიო, ა. ჰიუზი, ბ. ქუინი, სოლანო (ლუა ლუა 73), აკუნია (გალაჰერი 59), ლი (ბასედასი 72), სპიდი, დაიერი, ამეობი
მწვრთნელი: ბობი რობსონი
გაფრთხილება: პარკერი, სვენსონი, ბარტონი
20 043 მაყურებელი

**არსენალი 1:0 იფსვიჩი**

1:0 ანრი (67)
არსენალი: სიმენი, დიქსონი, ეშლი კოული, ადამსი, სტეპანოვსი, გრიმანდი, პირესი, ლორენი (ანრი 57), პარლოუ, ბერგკამპი, ვილტორდი (ლიუნგბერგი 70)
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
იფსვიჩი: რ. რაიტი, კლაპამი, ვენუსი, კროფტი (უეინ ბრაუნი 38), ბრემლი, ჰოლანდი, ჯ. რაიტი, მეჯილტონი, როიზერი (ნეილორი 78), სკოუკროფტი, მ. სტიუარტი
მწვრთნელი: ჯორჯ ბარლი
გაფრთხილება: გრიმანდი, ლიუნგბერგი, სტიუარტი
38 011 მაყურებელი

**ასტონ ვილა 1:1 მიდლსბრო**

1:0 სტოუნი (38), 1:1 ეჰიოგუ (49)
ასტონ ვილა: ჯეიმსი, დილანი, ა. რაიტი, ალფაი, სტონტონი, ს. სტოუნი, ბოატენგი, ლ. ჰენდრი (ტეილორი 66), მერსონი, ჯოუჩიმი, პაბლო ანხელი (დაბლინი 75)
მწვრთნელი: ჯონ გრეგორი
მიდლსბრო: შვარცერი, ფლემინგი, ფესტა, ეჰიოგუ, კუპერი, კარამბუ (სტამპი 46), ინსი, ოკონი, კ. ონილი (გორდონი 73), რიკარდი, ბოკშიჩი (დინი 66)
მწვრთნელი: ტერი ვენეიბლზი
გაფრთხილება: ალფაი, სტამპი
28 912 მაყურებელი

**ევერტონი 2:1 ლესტერი**

1:0 ჯეფერსი (8), 2:0 კემბელი (43), 2:1 სტარიჯი (79)
ევერტონი: ჟერარი, უოტსონი, ნეისმიტი, ბოლი, გაფი (ანსუორთი 36), ვეირი, ს. ჰიუზი (მური 80), ჯემილი, გრაველსენი, ჯეფერსი (კადამარტერი 83), კ. კემბელი
მწვრთნელი: უოლტერ სმიტი
ლესტერი: როისი, როუეტი, მ. ელიოტი, ტაგარტი (გ. სინკლერი 46), იმპი, მ. ჯოუნსი (მანჩინი 46), სევიჯი, იზეტი, ლუისი, გაპი (იდი 46), სტარიჯი
მწვრთნელი: პიტერ ტეილორი
გაფრთხილება: ჯემილი, ანსუორთი, მური, იმპი, როუეტი
30 409 მაყურებელი

**მანჩესტერ სიტი 0:1 ტოტენჰემი**

0:1 რებროვი (89)
მანჩესტერ სიტი: ვივერი, ვიკენსი (გრანტი 85), გრენვილი, ჰაუი, ტიატო, დანი, ჰაალანდი, უიტლი, კანჩელსკისი (ოსტენსტადი 60), ჰაკერბი, გოტერი
მწვრთნელი: ჯო როილი
ტოტენჰემი: სალივანი, იანგი, ს. კემპბელი, პერი (ე. ბუთი 46), კინგი, ფრიონდი, ანდერტონი (კარი 60), შერვუდი, ლეონარდსენი, დოჰერტი, რებროვი
მწვრთნელი: ჯორჯ გრემი
34 399 მაყურებელი

**საუთჰემპტონი 2:0 ბრედფორდი**

1:0 პახარსი (60), 2:0 ბიტი (63)
საუთჰემპტონი: პ. ჯოუნსი, პეტრესკუ (ბლეიდელისი 84), ლუნდეკვამი, რიჩარდსი, დოდი (ელ ხალეჯი 80), ოკლი, ტესემი, ბრიჯი, მარსდენი (დრეიპერი 59), პახარსი, ბიტი
მწვრთნელი: გლენ ჰოდლი
ბრედფორდი: გ. უოლში, ობრაიენი, მიერსი, მოლენაარი, ლოუკი, მაკკოლი (უორდი 84), მაკკინლი, ბიგრი (რ. ბლეიქი 79), სონდერსი (ჰოპკინი 73), უინდასი, ჯესი
მწვრთნელი: ჯიმ ჯეფერისი
გაფრთხილება: უინდასი
14 651 მაყურებელი

**სანდერლენდი 1:1 ლივერპული**

1:0 ჰაჩისონი (51), 1:1 ლიტმანენი (79პ)
სანდერლენდი: სორენსენი, დ. უილიამსი, გრეი, ვარგა, მაკინი, ჰაჩისონი, შ. შვარცი, მაკკენი, არკა (კილბეინი 69), ნ. ქუინი, ფილიპსი
მწვრთნელი: პიტერ რიდი
ლივერპული: ვესტერველდი, ბაბელი, ჰიპია, ენჩოსი, ვინალი, ჰამანი, ჯერარდი (ოუენი 56), მაკალისტერი, ბისკანი (ს. რაიტი 86), ჰესკი (ლიტმანენი 27), ფაულერი
მწვრთნელი: ჟერარ ულიე
გაფრთხილება: გრეი, ჰაჩისონი, ვარგა, უილიამსი, ფილიპსი, ვინალი, ლიტმანენი, ბისკანი
47 553 მაყურებელი

**ვესტ ჰემი — ქოვენთრი**

წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მეორე გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა

**პირველსა** და მის მდევრებს შორის ქულათა სხვაობა შემცირდა, თუმცა მაინც გვარიანი დარჩა. „მანჩესტერ იუნაიტედი“ 13 ქულით უსწრებს „არსენალს“, რომელიც იგებს და იგებს, თუმცა, წლევანდელი პრემიერლიგის დარჩენილ ასევე 13 ტურში ძნელი მოსაძებნი იქნება ის თარიღი, მეთოფენი რომ „მანჩესტერზე“ მაღლა დადგებიან ცხრილში.

ამ უქმეებზე ჩემპიონთა ლიგის მატჩებისთვის გამზადებულმა მოწინავე ევროპულმა გუნდებმა ბევრი ვერაფერი მოაგროვეს საკუთარ ჩემპიონატებში. ამ საერთოევროპულ ამბავს თავიანთი ფრეებით შეუერთდნენ „მანჩესტერი“ და „ლიდსიც“. იორკშირელებმა შინ ვერაფერი მოუხერხეს გაურჩებულ „დერბის“, თუმცა ოლივიე დაკურსა და ჰარი კიუელს პირველსავე ტაიმში შეეძლოთ გატანა. ამ ქულით დერბელები ხუთი ქულით ასცდნენ გავარდნის ჯგუფს.

მეტი ხმაური იყო „სტემფორდ ბრიჯზე“, სადაც „ჩელსი“ „მანჩესტერ იუნაიტედს“ მასპინძლობდა. შარშან, ამ სტადიონზე „ჩელსიმ“ 5:0 მოუგო ჩემპიონს, წლეულს კი ფრე გამოვიდა. თამაში იმგვარი იყო, რომ ბურთი „მანჩესტერს“ ეჭირა, მასპინძლებს კი მახვილგონიერი და სწრაფი შეტევები გამოსდიოდათ. სტუმართაგან რაიან გიგზი და როი კინი გამოირჩეოდნენ, პოლ სქოულზი კი კარგი თამაშის მიუხედავად, ის კაცი გამოდგა, რომელმაც გამოზომილი თავურით კარის წინ მდგომი ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკი გაახარა და „ჩელსიც“ დაწინაურდა. კლაუდიო რანიერის ფეხბურთელებს კიდევ შეეძლოთ გატანა. მეორე ტაიმში სტუმართა მეკარე რაიმონდ ვან დერ გოუ აიჭრა — საჯარიმოდან გამოვარდნილმა ბურთით ცეკვა აუტეხა ჯანფრანკო ძოლას, ეს ცეკვა წააგო და მანჩესტერელთა კარში გოლიც გავიდა, მაგრამ ჩემპიონები გვერდითმა მსაჯმა იხსნა — ამ ორთა ძიძგილაობაში ბურთი პირით ხაზს გადაცდა და ძოლამ იქედან მოაბრუნაო. იუნაიტედმა კი 69-ე წუთზე შეაგდო საპასუხო, გიგზის გამჭოლი პასი ენდი კოულმა გადაგზავნა კარში.

ალექს ფერგიუსონმა ხოტბა შეასხა რანიერის და თქვა: „ეს იყო ჩვენი საუკეთესო მატჩი ბოლო კვირეებში. ბურთი ძალიან კარგად გვეჭირა.“

დიდი ამბები დატრიალდა სანდერლენდის „ლაითზე“, სადაც „ლივერპულმა“ ქულა და მესამე ადგილი გამობდღვნა „სანდერლენდს“. მასპინძლებს მძიმე პრესის ქვეშ ჰყავდათ მერსისაიდელები და დონ ჰაჩისონმა კაცური, მუშა ინგლისური გოლიც გაიტანა. „სანდერლენდს“ 42 წელიწადია არ მოუგია „ლივერპულისთვის“ და ამ გოლმა „ლაითზე“ შეკრებილი ხალხი ალაფრთოვანა. შეხვედრის დასრულებამდე 11 წუთი რჩებოდა, როცა გარი მაკალისტერის გარღვევა მასპინძელთა სლოვაკმა გოლიათმა სტანისლავ ვარგამ სარმით შეწყვიტა და იარი ლიტმანენმა პენალტის ნიშნულიდან გაათანაბრა ანგარიში. არადა, ვარგამ საჯარიმოს ხაზამდე ერთი მეტრით წინ დაარღვია წესი. მსაჯთა თათბირმა მაინც მასპინძელთა საზარალოდ გადაჭრა საქმე. მსაჯთა შეცდომებით ტანჯული „სანდერლენდის“ მენეჯერი პიტერ რიდი, რომელიც ორი კვირაა მღელვარედ უტევს მსაჯებს, ამ ჯერზე სიტყვაუხვი არ ყოფილა: „შორს ვიდექი და არაფერი დამინახავს“.

ამ დიდი ჭიდილის პარალელურად, მომჯობინებულმა ტიერი ანრიმ შეძლო და დენის ბერხკამპის საუცხოო პასი გამოიყენა, რითაც მეთოფენი მეორე ადგილზე დაამკვიდრა. წაგებულმა „იფსვიჩმა“ თავი დადო, მეკარე რიჩარდ რაიტმა საუცხოო ბურთები დაიჭირა, მაგრამ შედეგი ნული ქულა იყო. არსენ ვენგერმა კი თქვა: „ანრის გამოჯანმრთელება ძალიან წაგვადგა. უმისოდ ერთი გუნდი ვართ, მასთან ერთად, სხვა“.

ამასობაში კი, როგორც იქნა მოიგო „ევერტონმა“, „მიდლსბრომ“ კი კვლავ არ წააგო. ტერი ვენეიბლზმა ფრეების გუნდად აქცია „ბორო“ და ბირმინგემშიც ასე იყო — „ვილელ“ სტივ სტოუნის სეზონში პირველ გოლს, ყოფილი „ვილელის“ უგო ეჰიოგუს თავური მოჰყვა ათიოდ წუთში. „საუთჰემპტონმა“ წყალწალებულ „ბრედფორდს“ აჯობა — 2:0, გოლები იმათ გაიტანეს, ვისაც ჩვეულებრივ გააქვს ხოლმე „დელის“ სტადიონზე. მარიან პახარსმა და ჯეიმს ბატიმ მეორე ტაიმში, სამწუთიან მონაკვეთში მოათავეს საქმე. სეზონის პირველი გასვლითი გამარჯვება იზეიმა „ტოტენჰემმა“ — მანჩესტერის „მეინ როუდზე“ სერგეი რებროვმა მაშინ გაიტანა, როცა შეხვედრის დასრულებამდე ერთი წუთი რჩებოდა. ბოლო ოთხ შეხვედრაში „ტოტენჰემს“ გოლი არ გაეტანა, ბედკრულმა „სიტიმ“ კი მერვედ წააგო შინ და „ბრედფორდს“ გაუამხანაგდა.

ტურის ყველაზე პოპულარული ანგარიში კი 1:1 იყო.

**ირაკლი გამყრელიძე**



REUTERS

ჩელსი — მანჩესტერ იუნაიტედი 1:1. მანჩესტერელები დამარცხებისგან ენდი კოულის ამ დარტყმამ იხსნა

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 მანჩესტერი | 27 | 19 | 6 | 2 | 59:17 | 42 | 63 | 13 | 11 | 1 | 1 | 34:6 | 28 | 34 | 14 | 8 | 5 | 1 | 25:11 | 14 | 29 |
| 2 არსენალი | 27 | 14 | 8 | 5 | 43:23 | 20 | 50 | 14 | 11 | 3 | 0 | 34:8 | 26 | 36 | 13 | 3 | 5 | 5 | 9:15 | -6 | 14 |
| 3 ლივერპული | 26 | 13 | 6 | 7 | 47:28 | 19 | 45 | 13 | 10 | 2 | 1 | 28:8 | 20 | 32 | 13 | 3 | 4 | 6 | 19:20 | -1 | 13 |
| 4 სანდერლენდი | 27 | 12 | 8 | 7 | 32:25 | 7 | 44 | 14 | 8 | 5 | 1 | 17:7 | 10 | 29 | 13 | 4 | 3 | 6 | 15:18 | -3 | 15 |
| 5 ლიდსი | 27 | 11 | 7 | 9 | 39:35 | 4 | 40 | 14 | 7 | 2 | 5 | 22:18 | 4 | 23 | 13 | 4 | 5 | 4 | 17:17 | 0 | 17 |
| 6 იფსვიჩი | 26 | 12 | 4 | 10 | 37:33 | 4 | 40 | 13 | 6 | 4 | 3 | 20:12 | 8 | 22 | 13 | 6 | 0 | 7 | 17:21 | -4 | 18 |
| 7 ჩარლტონი | 27 | 11 | 7 | 9 | 36:38 | -2 | 40 | 14 | 9 | 4 | 1 | 23:9 | 14 | 29 | 13 | 2 | 3 | 8 | 13:29 | -16 | 9 |
| 8 ლესტერი | 26 | 11 | 6 | 9 | 27:29 | -2 | 39 | 13 | 7 | 4 | 2 | 18:13 | 5 | 25 | 13 | 4 | 2 | 7 | 9:16 | -7 | 14 |
| 9 ჩელსი | 26 | 10 | 8 | 8 | 48:33 | 15 | 38 | 14 | 10 | 3 | 1 | 37:13 | 24 | 33 | 12 | 0 | 5 | 7 | 11:20 | -9 | 5 |
| 10 ნიუკასლი | 26 | 11 | 4 | 11 | 32:37 | -5 | 37 | 12 | 7 | 2 | 3 | 18:12 | 6 | 23 | 14 | 4 | 2 | 8 | 14:25 | -11 | 14 |
| 11 ტოტენჰემი | 27 | 9 | 9 | 9 | 31:34 | -3 | 36 | 13 | 8 | 5 | 0 | 22:9 | 13 | 29 | 14 | 1 | 4 | 9 | 9:25 | -16 | 7 |
| 12 საუთჰემპტონი | 26 | 9 | 8 | 9 | 31:34 | -3 | 35 | 14 | 8 | 2 | 4 | 21:15 | 6 | 26 | 12 | 1 | 6 | 5 | 10:19 | -9 | 9 |
| 13 ასტონ ვილა | 25 | 8 | 9 | 8 | 28:27 | 1 | 33 | 12 | 4 | 5 | 3 | 16:13 | 3 | 17 | 13 | 4 | 4 | 5 | 12:14 | -2 | 16 |
| 14 ვესტ ჰემი | 25 | 7 | 10 | 8 | 32:30 | 2 | 31 | 12 | 4 | 5 | 3 | 17:11 | 6 | 17 | 13 | 3 | 5 | 5 | 15:19 | -4 | 14 |
| 15 ევერტონი | 27 | 8 | 7 | 12 | 30:40 | -10 | 31 | 14 | 4 | 6 | 4 | 19:19 | 0 | 18 | 13 | 4 | 1 | 8 | 11:21 | -10 | 13 |
| 16 დერბი ქაუნთი | 27 | 6 | 10 | 11 | 27:43 | -16 | 28 | 13 | 5 | 6 | 2 | 16:16 | 0 | 21 | 14 | 1 | 4 | 9 | 11:27 | -16 | 7 |
| 17 მიდლსბრო | 27 | 5 | 12 | 10 | 31:34 | -3 | 27 | 13 | 3 | 5 | 5 | 15:17 | -2 | 14 | 14 | 2 | 7 | 5 | 16:17 | -1 | 13 |
| 18 სიტი | 27 | 5 | 8 | 14 | 30:46 | -16 | 23 | 14 | 3 | 3 | 8 | 17:21 | -4 | 12 | 13 | 2 | 5 | 6 | 13:25 | -12 | 11 |
| 19 ქოვენთრი | 26 | 5 | 6 | 15 | 23:45 | -22 | 21 | 13 | 2 | 4 | 7 | 9:19 | -10 | 10 | 13 | 3 | 2 | 8 | 14:26 | -12 | 11 |
| 20 ბრედფორდი | 26 | 3 | 7 | 16 | 16:48 | -32 | 16 | 12 | 2 | 4 | 6 | 10:20 | -10 | 10 | 14 | 1 | 3 | 10 | 6:28 | -22 | 6 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| მ. სტიუარტი (იფსვიჩი) | 15 |
| ჰასელბაინკი (ჩელსი) | 14 |
| ანრი (არსენალი) | 14 |
| შერინგემი (მანჩესტერ იუნ.) | 13 |
| ვიდუკა (ლიდსი) | 12 |
| ჰესკი (ლივერპული) | 11 |
| ბიტი (საუთჰემპტონი) | 11 |

**XXVIII ტური**

24 თებერვალი

ბრედფორდი — ვესტ ჰემი
ქოვენთრი — ჩარლტონი
დერბი ქაუნთი — ასტონ ვილა
იფსვიჩი — ევერტონი
ლესტერი — სანდერლენდი
ლივერპული — ჩელსი
მანჩესტერი — არსენალი
მიდლსბრო — საუთჰემპტონი
ნიუკასლი — სიტი
ტოტენჰემი — ლიდსი

## პირველი დივიზიონი

### XXXI ტური

**ბარნსლი 0:0 ფულემი**

ფულემი: ტეილორი, ფინანი, მელვილი, საიმონსი, ტროლოპი, კლარკი, გოლდბეკი, დევისი, ფერნანდესი (რიდლე 63), საჰა, ბოა მორტე
მწვრთნელი: ჟან ტიგანა
14 654 მაყურებელი

**ტრანმერი 0:2 ვულვერჰემპტონი**

0:1 ფლინი (21ს.კ.), 0:2 პრუდლოკი (47)
ვულვერჰემპტონი: ოუქსი, მუსკატი, ბატლერი, პოლეტი (ლესკოტი 46), ნეილორი, ბრენი (ძიცაიძე 90), დინინგი, ენდრიუსი, რობინსონი, სინტონი, პრუდლოკი
მწვრთნელი: დევიდ ჯოუნსი
9 678 მაყურებელი

**ბოლტონი 2:2 ჰადერსფილდი**

0:1 სმიტი (6), 0:2 გალენი (23), 1:2 ბერგსონი (60), 2:2 ფრანდსენი (90)

**ბარნლი 1:2 კრისტალ პალასი**

1:0 კუკი (13), 1:1 ფორსელი (75), 1:2 მორისონი (90)

**ჯილინგემი 1:0 გრიმსბი**

1:0 კინგი (62)

**ნორვიჩი 1:1 ქრიუ**

0:1 ჯეკი (52), 1:1 ლეველინი (88)

**ნოტინგემი 2:1 ბლეკბერნი**

1:0 ბარტ-უილიამსი (52), 2:0 ედვარდსი (66), 2:1 იანსენი (89)

**პრესტონი 5:0 ქუინზ პარკი**

1:0, 2:0 მაკენი (51, 61), 3:0 მაკბრაიდი (68), 4:0 ჰეილი (71), 5:0 ანდერსონი (87)

**შეფილდ იუნ. 3:1 ბირმინგემი**

1:0 მერფი (31), 2:0 ლეველინი (40პ), 3:0 პეშისოლიდო (64), 3:1 ჰორსფილდი (89)

**უოტფორდი 2:2 პორტსმუთი**

1:0, 2:0 სმიტი (13, 17), 2:1 ქეოში (39), 2:2 კლარიჯი (45)

**ვესტ ბრომვიჩი 1:1 სტოკპორტი**

1:0 რობერტსი (44), 1:1 კუპერი (78)

**უიმბლდონი 4:1 შეფილდ უენსდი**

1:0 ანდერსენი (5), 2:0 იუელი (9), 2:1 ეკოკუ (17), 3:1 ბერესფორდი (70ს.კ.), 4:1 ანდერსენი (83)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფულემი | 31 | 22 | 6 | 3 | 68:22 | 72 |
| ბოლტონი | 31 | 18 | 8 | 5 | 52:26 | 62 |
| ბლეკბერნი | 30 | 16 | 8 | 6 | 46:30 | 56 |
| ვესტ ბრომვიჩი | 31 | 16 | 7 | 8 | 42:35 | 55 |
| უოტფორდი | 30 | 16 | 5 | 9 | 54:42 | 53 |
| ბირმინგემი | 29 | 16 | 5 | 8 | 41:31 | 53 |
| ნოტინგემი | 30 | 15 | 5 | 10 | 40:34 | 50 |
| შეფილდ იუნ. | 31 | 13 | 8 | 10 | 35:31 | 47 |
| პრესტონი | 30 | 14 | 5 | 11 | 41:39 | 47 |
| ბარნლი | 29 | 12 | 6 | 11 | 31:36 | 42 |
| უიმბლდონი | 29 | 11 | 8 | 10 | 46:34 | 41 |
| ვულვზი | 30 | 9 | 10 | 11 | 32:33 | 37 |
| ჯილინგემი | 30 | 8 | 12 | 10 | 39:40 | 36 |
| კრ. პალასი | 30 | 9 | 9 | 12 | 45:47 | 36 |
| ნორვიჩი | 31 | 9 | 9 | 13 | 28:38 | 36 |
| პორტსმუთი | 31 | 7 | 14 | 10 | 32:37 | 35 |
| ბარნსლი | 31 | 8 | 8 | 15 | 30:41 | 32 |
| სტოკპორტი | 31 | 6 | 13 | 12 | 40:50 | 31 |
| გრიმსბი | 29 | 8 | 6 | 15 | 27:41 | 30 |
| ქრიუ | 29 | 8 | 5 | 16 | 27:40 | 29 |
| ჰადერსფილდი | 29 | 6 | 10 | 13 | 30:37 | 28 |
| ტრანმერი | 29 | 7 | 6 | 16 | 29:48 | 27 |
| ქუინზ პარკი | 30 | 4 | 14 | 12 | 30:48 | 26 |
| უენსდი | 31 | 7 | 5 | 19 | 33:58 | 26 |

## მეორე დივიზიონი

31-ე ტური: სუონსი — მილუოლი 0:0; ბრენტფორდი — რედინგი 1:2; როვერსი — ნოთსი 0:0; კოლჩესტერი — უიგანი 0:2; ნორთჰემპტონი — ლუთონი 0:1; ოლდემი — რექსჰემი 5:1; ოქსფორდი — უიკომბი 1:2; პიტერბორო — სტოკი 0:4; პორტველი — ბორნმუთი 2:1; როტერჰემი — კემბრიჯი 3:0; სუინდონი — ბრისტოლი 1:1; უოლსოლი — ბერი 1:2

## მესამე დივიზიონი

31-ე ტური: ჩესტერფილდი — ჩელტენემი 2:0; ბრაიტონი — კარდიფი 1:0; დარლინგტონი — შრიუსბერი 0:0; ექსეტერი — მაკლსფილდი 0:0; ჰალიფაქსი — მენსფილდი 3:4; ჰარტლპული — ბლექპული 3:1; ჰალი — ლეიტონი 1:0; კიდერმინსტერი — ბარნეტი 2:1; ლინკოლნი — ტორკი 1:2; სკანთორპი — იორკი 4:0.
პლიმუთი — საუთენდი და როჩდეილი — კარლაილი გადაიდო

# მათეუსით? მაშინ უჩვენოდ!

## გერმანია

### XXI ტური

### ფრაიბურგი 0:0 ჰანზა

ფრაიბურგი: გოლცი, შ. მიულერი (დორნი 78), დიარა, კონდე, ცქიტიშვილი, ა. ცაიერი, კობიაშვილი, ბაია (რამდანე 62), ვ. ბუტი, სელიმი (ბრუნსი 86), იაშვილი
მწვრთნელი: ფოლკერ ფინკე
ჰანზა: პიკენჰაგენი, ოსვალდი, იაკობსონი, ბენკენი, ლანგე, ემარა, ვიბრანი, ლანცი, რიდლევიჩი, ბაუმგარტი (სალუ 77), აგალი (მაიაკი 90)
მწვრთნელი: ფრიდჰელმ ფუნკელი
გაფრთხილება: რამდანე, ცქიტიშვილი, აგალი, ლანცი, ბაუმგარტი, მაიაკი
25 000 მაყურებელი

### ლევერკუზენი 4:1 კიოლნი

0:1 ლოტნერი (8პ), 1:1 ლუსიო (57), 2:1 ბალაკი (65), 3:1 ნოივილი (78), 4:1 ლუსიო (90)
ლევერკუზენი: ცუბერბიულერი, ლუსიო, ნოვოტნი, ჟივკოვიჩი, პლასენტე, რ. კოვაჩი, რამელო, ბალაკი, ზე რობერტო (ბ. შნაიდერი 84), კირსტენი (ბერბატოვი 75), ნოივილი (პონტე 86)
მწვრთნელი: ბერტი ფოგტსი
კიოლნი: ბადე, სიხონე, ჩიკონი, კელერი, კულმანი, ჟივიორი (ბულაიჩი 81), შპრინგერი, ლოტნერი (დონკოვი 81), შერცი, ტიმი, ა. არველაძე
მწვრთნელი: ევალდ ლინენი
გაფრთხილება: რამელო, კირსტენი, კელერი, შერცი, სიხონე, არველაძე, ჟივიორი
22 500 მაყურებელი

### ლაუტერნი 4:0 უნტერჰახინგი

1:0 მ. კოხი (8), 2:0 ჰაბერი (18ს.კ.), 3:0 კლოსე (22), 4:0 შტრასერი (79)
კაიზერსლაუტერნი: გ. კოხი, რამზი, მ. კოხი, კლოსი (შონბერგი 77), ბასლერი, ხრისტოვი (ლოკვენცი 81), შტრასერი, ბიელიცა, რატინიო (აჯიჩი 77), კლოსე, მარშალი
მწვრთნელი: ანდრეას ბრემე
უნტერჰახინგი: ტრემელი, ჰაბერი (ზაიფერტი 82), შტრემელი, გრასოვი, შტრაუბე, დ. ნოვაკი (მაიზაკი 58), დ. შვარცი, ციმერმანი, ობერლაიტნერი, ბრაიტენრაიტერი, რაკლი (ჰირში 25)
მწვრთნელი: გიუნტერ ლორანც კოსტნერი
გაფრთხილება: მ. კოხი, ჰაბერი, ჰირში
გაძევება: გრასოვი (20)
36 276 მაყურებელი

### შალკე 2:0 მიუნხენი

1:0, 2:0 მპენზა (50, 64)
შალკე: რეკი, ჰაიტო, ნემეცი, ჰაჯე (ბიუსკენსი 64), ვან ჰუგდალემი, ლატალი, ვან კერკჰოვენი, მიოლერი, ასამოა, სანდი (მულდერი 76), ე. მპენზა (მიკოლაიჩაკი 85)
მწვრთნელი: ჰუუბ სტევენსი
მიუნხენი: იენჩი, ზელიჩი, რისეტი, ჰფუდერერი, კურცი, შტრანცლი, ჩერნი, ბაიროდვკა (ტაისი 46), ჰესლერი (ვოტავა 74), აგოსტინო (ელერსი 46), მაქსი
მწვრთნელი: ვერნერ ლორანტი
გაფრთხილება: ნემეცი, ასამოა
გაძევება: რისეტი (41)
33 705 მაყურებელი

### ბაიერნი 1:0 შტუტგარტი

1:0 ელბერი (8)
ბაიერნი: კანი, კუფური, იერემისი, ლინკე, სანიოლი, ლიზარაზუ, ფინკი, ეფენბერგი, პაულო სერჟიო, ციკლერი (შოლი 69), ელბერი (იანკერი 74)
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
შტუტგარტი: ჰილდებრანდი, მარკეში, ბორდონი, თ. შნაიდერი (ზაიფერტი 67), კარნელი, სოლდო, ტიამი, გერბერი (ადემარი 66), პინტუ, ბალაკოვი, განია
მწვრთნელი: რალფ რანგნიკი
გაფრთხილება: ლიზარაზუ, ეფენბერგი, სანიოლი, შოლი, გერბერი
41 000 მაყურებელი

### აინტრახტი 1:0 კოტბუსი

1:0 ჰელდტი (65)
აინტრახტი: ნიკოლოვი, კუჩერა, რადა, ბინდევალდი, ლიომში (ჰროისი 61), მუტცელი, გუიემიენი (ბრანკო 80), გებჰარდტი (ვიმერი 83), ჰელდტი, ფიორტოფტი, კრიჟალოვიჩი
მწვრთნელი: რალფ დომენი
კოტბუსი: პიპლიცა, ვატა (ვავრჟიჩეკი 85), ჰუჯოროვიჩი, ბეეკი, ტიელმანი, აკპაროვიჩი (მიჩევსკი 71), რეგეკამპფი, კობილანსკი, მირიუტა, ს. ილიე (ლატუნდი 69), ლაბაკი
მწვრთნელი: ედუარდ გაიერი
გაფრთხილება: გებჰარდტი, მუტცელი, ტიელმანი, ვატა
20 000 მაყურებელი



REUTERS ფრანკფურტიდან

### დორტმუნდი 0:0 ვერდერი

დორტმუნდი: ლაუქსი, ვიორნსი, კოლერი, ევანილსონი, დედე, ოლისე, ჰაინრიხი, როსიცკი (ნერლინგერი 82), ადო (სორენსენი 78), რეინა (იკპება 85), ბობიჩი
მწვრთნელი: მათიას ზამერი
ვერდერი: ფ. როსტი, ვერლაატი, ფრინგსი, კრსტაიჩი, სტალტერი, ბილტსი, ფ. ერნსტი (ტრარესი 59), ა. ჰერცოგი, პიზარო, აილტონი, ბოდე (ვიდნერი 47)
მწვრთნელი: თომას შაფი
გაფრთხილება: ვიორნსი, რეინა, ფრინგსი, სტალტერი, ვერლაატი
62 000 მაყურებელი

### ჰერტა 1:3 ვოლფსბურგი

0:1, 0:2 იუსკოვიაკი (37, 50), 0:3 შნური (55), 1:3 ტრეჩოკი (74პ)
ჰერტა: კირალი, სიმუნიჩი, ვან ბურიკი (ზილიჩი 46), სვერისონი, დარდაი, ტრეჩოკი, სანე (მაიდტი 57), ჰარტმანი, ვოში, პრეეცი, დაეი
მწვრთნელი: იურგენ რიობერი
ვოლფსბურგი: რაიტმაიერი, ჰენგენი, იფეიაგვა, შნური, აკონორი, სებესკენი, ვაისერი, კუჰბაუერი, მუნტიანუ (კ. ნოვაკი 79), იუსკოვიაკი (ვოსი 82), ტ. მარიჩი (რიშე 67)
მწვრთნელი: ვოლფგანგ ვოლფი
გაფრთხილება: ზილიჩი, იუსკოვიაკი, სებესკენი, ვოსი
36 957 მაყურებელი

### ჰამბურგი 3:0 ბოხუმი

1:0 იებოა (16), 2:0 ბუტი (34პ), 3:0 ბარბარესი (38)
ჰამბურგი: ჰ. ბუტი, ჰერჩი, ჰოოგმა (ფუკალი 83), იუფფალუში, ნ. კოვაჩი, გროთი, ჰოლერბახი, ბარბარესი (მეიერი 70), მაჰდავიკია (პრეგერი 57), ჰაინცი, იებოა
მწვრთნელი: ფრანკ პაგელსდორფი
ბოხუმი: ვან დუინოვენი, რაისი, კოლდინგი, მილინოვიჩი, ბემბენი, ფარენჰორსტი (სუნდერმანი 46), ჰეშლი, ფრაიერი, შინდციელორცი, დრონჩიჩი (კოვიჩი 65), ბაკლი
მწვრთნელი: რალფ ცუმდიკი
გაფრთხილება: გროთი, ფარენჰორსტი, ვან დუინოვენი, მილინოვიჩი, შინდციელორცი, კოვიჩი
31 827 მაყურებელი

**მეტისმეტიაო**, უთხრა იღბალმა კვირას „ფრაიბურგს“ და ქართველთა გუნდი „ჰანზასთან“ საშინაო მატჩში მხოლოდ ერთ ქულას დააჯერა: მიუხედავად ამისა, ფრაიბურგელებს ბედთან დასამდური არაფერი აქვთ. ფოლკერ ფინკეს შეგირდებმა გუშინწინ საკლუბო რეკორდი დაამყარეს, წაუგებელი მატჩების სერია ცხრამდე გაზარდეს.

„ფრაიბურგმა“ თავიდანვე შეუტია. „გვინდოდა, სწრაფი გოლი გაგვეტანა და მეტოქე გაგვეტეხა“ — ახსნა ფინკემ ნამატჩევს.

33-ე წუთამდე სელიმის და კობიაშვილს ორ-ორჯერ, იაშვილს და ცქიტიშვილს კი თითოჯერ შეეძლოთ გატანა, მაგრამ პიკენჰაგენი შეუდარებელი გახლდათ. სელიმის დარტყმული ბურთები მიზანს ასცდა, ქართველებს კი სწორედ მეკარემ შეუშალათ ხელი. საწყისი ნახევარი საათის შემდეგ მინდორზე ვითარება შეიცვალა. „ჰანზა“ გონს მოეგო და მეტოქეს თუ არ აჯობა, არც არაფრით ჩამოუვარდა, მაგრამ გოლი ვერ გაიტანა და არც გაუშვა. ასე შეწყვიტა „ჰანზამ“ უიღბლო სერია — აქამდე ფრაიბურგში ოთხჯერ ჩასულიყო, მაგრამ ქულაც ვერ წამოეღო.

იაშვილმა, კობიაშვილმა და ცქიტიშვილმა მთელი მატჩი შეუცვლელად ითამაშეს და კარგი შეფასებებიც მიიღეს, კობიაშვილი „კიკერმა“ სულაც მატჩის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელა, თუმც ტურის სიმბოლურში აღარ შეუყვანია.

ასევე 90 წუთი დაჰყო მინდორზე არჩილ არველაძემ, რომელიც თამაშამდე სავარაუდო შემადგენლობაში მოხსენიებული არ იყო. აჩიკო ბოლო დროს ევალდ ლინენს შეცვლაზე შეჰყავდა, ახლა კი როგორც იქნა, ენდო და ძირითადშიც დააყენა. ბერტი ფოგტსმა ქართველს იენს ნოვოტნი მიუჩინა და არველაძეც თამაშიდან „გაითიშა“. იგივე ბედი ეწია თავდასხმაში ჩვენებურის პარტნიორს, კრისტიან ტიმს, თუმც სანამ ეს მოხდებოდა, მე-8 წუთზე ტიმმა პენალტი მოინადირა, რომელიც ლოტნერმა გამოიყენა. ამ გოლის წყალობით „კიოლნი“ 1:0-ს ამარცხებდა სტუმრად „ლევერკუზენს“. 57-ე წუთიდან კი ყველაფერი შეიცვალა, უფრო სწორად, მასპინძლებს გარჯა დაუფასდათ და რამდენიმე რეალური მომენტის გაფუჭების შემდეგ მიზანს მიაღწიეს. მატჩის უდავო გმირმა, ბრაზილიელმა ლუსიომ, ამპლუით მცველმა, წონასწორობა აღადგინა. ამის შემდეგ ბადეს კარის ბადე კიდევ სამჯერ შეირხა — ბალაკმა, ნოივილმა და იმავე ლუსიომ „კიოლნს“ წირვა გამოუყვანეს და ზედიზედ მეორე მარცხი აწვნიეს.

„თავიდან გაგვიმართლა, დავწინაურდით კიდეც, მაგრამ ლევერკუზენელთა ზეწოლას ვერ გავუძელით. ფოგტსმა ჩინებული გუნდი შექმნა. დღეს ვინც არ უნდა ყოფილიყო ჩვენს ადგილას, იგივე ბედი ეწეოდა“ — თავი იმართლა „კიოლნის“ თავკაცმა ევალდ ლინენმა მატჩის შემდეგ.

„ლევერკუზენის“ მსგავსად მოიგო „შალკემაც“. გელზენკირხენელებს ძირითადის სამი კაცი არ ჰყავდათ, თუმცა, სტუმარი „მიუნხენ 1860“ მაინც დაამარცხეს — 2:0. შეხვედრის გმირი შავკანიანი ბელგიელი ემილ მპენზა გახდა, რომელმაც დუბლი შეასრულა. შალკელთა გამარჯვებაში ლომის წილი კიდევ ერთმა ფეხბურთელმა დაიდო. 41-ე წუთზე „მიუნხენის“ ნორვეგიელი მცველი ვიდარ რისეტი ბოლო იმედის ჯარიმისთვის გააძევეს, რითაც „შალკემ“ კარგად ისარგებლა.

მიუხედავად „შალკეს“ და „ლევერკუზენის“ წარმატებისა, ლიდერი კვლავ მიუნხენის „ბაიერნია“, რომელმაც შაბათს „შტუტგარტის“ წინააღმდეგობა ელბერის გოლით დაძლია. თამაშის წინ ხმა გავრცელდა, ეფენბერგს ტრავმა აწუხებს და ალბათ არ ითამაშებსო. ჰიცფელდმა გარისკა და გაუმართლა — ელბერმა სწორედ „ეფეს“ პასით გაიტანა. თამაში საგოლე მომენტებით უხვი არ იყო, სიტუაცია იშვიათად თუ მწვავდებოდა. საბოლოოდ „ბაიერნმა“ 1:0 მოიგო და ისევ პირველია.

დორტმუნდის „ბორუსიამ“ შინ ძვირფასი ქულები დაკარგა, ამაში მთავარი დამნაშავე კი „ვერდერის“ მეკარე ფრანკ როსტია. ბრემენელთა კარის დარაჯმა განსაკუთრებით ფრედი ბობიჩი გაამწარა, რომელსაც ხუთჯერ აუღო ძნელად მოსაგერიებელი ბურთი. „ვერდერს“ ყველაზე კარგი შანსი მე-10 წუთზე ჰქონდა, როცა აილტონი და ბოდე „დორტმუნდის“ ახალწვეულმა, ექს-ულმელმა ლაუქსმა დაამწუხრა, რომელიც კარში ტრავმირებული იენს ლემანის ნაცვლად იდგა.

მეორე წრეში კარგად დაწყებული საქმე ცუდად გააგრძელა ბერლინის „ჰერტამ“, თანაც სად, არ იკითხავთ? საკუთარ „ოლიმპიაშტადიონზე“. იურგენ რიობერმა „ჰერტა“ სამი თავდამსხმელით ათამაშა, მაგრამ საქმეს ფორვარდთა რაოდენობა რომ შველოდეს...

წინა ტურში „ვერდერთან“ 1:6 შერცხვენილ „კაიზერსლაუტერნს“ „უნტერჰახინგთან“ ჯორკაეფი, რაისი, გრამოცისი, ბუკი, პეტერსონი და გაბრიელი არ ჰყავდა, მაგრამ ნამუსი მაინც ჩამოიწმინდა — 4:0.

წლეულს თავისი მესამე გოლი შეაგდო „ჰამბურგის“ მეკარე ჰანს იორგ ბუტმა, რომლის შედეგიანობაც მიმდინარე სეზონში წინასთან შედარებით აშკარად შემცირდა, რაც იმის ბრალია, რომ „ჰამბურგის“ სასარგებლოდ პენალტები იშვიათად ინიშნება. შაბათს ბუტმა იმ დროს გაიტანა, როცა მისი გუნდი შინ წყალწაღებულ „ბოხუმს“ იებოას გოლით 1:0-ს ამარცხებდა, საბოლოო ანგარიში კი ბარბარესმა დააფიქსირა.

მიმოხილვა ტურის გამხსნელი მატჩით დავამთავროთ. „აინტრახტმა“ სპორტული დირექტორის რალფ დომენის ხელმძღვანელობით მეორე მატჩი ჩაატარა და კვლავ მოიგო. „კოტბუსს“ ერთადერთი გოლი ჰელდტმა გაუტანა.

თავიდან ისე ითქვა, „აინტრახტმა“ ეს თამაში თუ მოიგო გუნდს ლოთარ მათეუსი ჩაიბარებსო. კლუბის უფროსობას მათეუსის მისვლის ეიმედებოდა, ეგებ გვეშველოსო, მაგრამ მაგრამ გუშინ საღამოს ლეგენდარულმა ფეხბურთელმა თითქმის დადებითად გადაწყვეტილი საქმე ჩაშალა და ფრანკფურტელებს უარი უთხრა. ვინ იცის, ეგებ ქომაგების გამო...

„მათეუსით? მაშინ უჩვესოდ“ — ასეთი შინაარსის ტრანსპარანტი გადმოეფინათ პარასკევს სტადიონზე „აინტრახტის“ გულშემატკივრებს.

**განო ოქროპირიძე**


REUTERS ფრანკფურტიდან

ფრაიბურგი — ჰანზა 0:0. მასპინძელთა ძირითადში ლევან ცქიტიშვილმაც (მარჯვნივ) ითამაშა

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ბაიერნი | 21 | 13 | 3 | 5 | 44:23 | 21 | 42 | 11 | 9 | 0 | 2 | 28:12 | 16 | 27 | 10 | 4 | 3 | 3 | 16:11 | 5 | 15 |
| 2 შალკე | 21 | 12 | 4 | 5 | 42:23 | 19 | 40 | 10 | 8 | 2 | 0 | 21:6 | 15 | 26 | 11 | 4 | 2 | 5 | 21:17 | 4 | 14 |
| 3 ლევერკუზენი | 21 | 12 | 4 | 5 | 38:23 | 15 | 40 | 10 | 8 | 1 | 1 | 23:5 | 18 | 25 | 11 | 4 | 3 | 4 | 15:18 | -3 | 15 |
| 4 დორტმუნდი | 21 | 11 | 4 | 6 | 31:26 | 5 | 37 | 10 | 6 | 1 | 3 | 14:10 | 4 | 19 | 11 | 5 | 3 | 3 | 18:15 | 3 | 18 |
| 5 ჰერტა | 21 | 11 | 1 | 9 | 43:39 | 4 | 34 | 11 | 6 | 1 | 4 | 27:20 | 7 | 19 | 10 | 5 | 0 | 5 | 16:19 | -3 | 15 |
| 6 ლაუტერნი | 21 | 10 | 4 | 7 | 31:29 | 2 | 34 | 11 | 6 | 3 | 2 | 16:8 | 8 | 21 | 10 | 4 | 1 | 5 | 15:21 | -6 | 13 |
| 7 ვოლფსბურგი | 21 | 8 | 7 | 6 | 40:28 | 12 | 31 | 11 | 5 | 4 | 2 | 26:14 | 12 | 19 | 10 | 3 | 3 | 4 | 14:14 | 0 | 12 |
| 8 ფრაიბურგი | 21 | 8 | 7 | 6 | 28:21 | 7 | 31 | 10 | 5 | 3 | 2 | 19:5 | 14 | 18 | 11 | 3 | 4 | 4 | 9:16 | -7 | 13 |
| 9 კიოლნი | 21 | 8 | 5 | 8 | 39:35 | 4 | 29 | 11 | 6 | 3 | 2 | 26:13 | 13 | 21 | 10 | 2 | 2 | 6 | 13:22 | -9 | 8 |
| 10 ვერდერი | 21 | 7 | 7 | 7 | 28:30 | -2 | 28 | 10 | 6 | 3 | 1 | 19:10 | 9 | 21 | 11 | 1 | 4 | 6 | 9:20 | -11 | 7 |
| 11 მიუნხენი | 21 | 7 | 6 | 8 | 25:35 | -10 | 27 | 10 | 5 | 2 | 3 | 13:14 | -1 | 17 | 11 | 2 | 4 | 5 | 12:21 | -9 | 10 |
| 12 აინტრახტი | 21 | 8 | 2 | 11 | 26:36 | -10 | 26 | 10 | 6 | 1 | 3 | 18:13 | 5 | 19 | 11 | 2 | 1 | 8 | 8:23 | -15 | 7 |
| 13 ჰამბურგი | 21 | 7 | 3 | 11 | 40:39 | 1 | 24 | 10 | 6 | 1 | 3 | 22:12 | 10 | 19 | 11 | 1 | 2 | 8 | 18:27 | -9 | 5 |
| 14 კოტბუსი | 21 | 7 | 2 | 12 | 26:36 | -10 | 23 | 11 | 7 | 0 | 4 | 19:14 | 5 | 21 | 10 | 0 | 2 | 8 | 7:22 | -15 | 2 |
| 15 ჰანზა | 21 | 6 | 4 | 11 | 19:33 | -14 | 22 | 10 | 3 | 3 | 4 | 11:15 | -4 | 12 | 11 | 3 | 1 | 7 | 8:18 | -10 | 10 |
| 16 შტუტგარტი | 21 | 5 | 6 | 10 | 31:36 | -5 | 21 | 11 | 5 | 5 | 1 | 25:14 | 11 | 20 | 10 | 0 | 1 | 9 | 6:22 | -16 | 1 |
| 17 უნტერჰახინგი | 21 | 5 | 6 | 10 | 20:35 | -15 | 21 | 11 | 4 | 4 | 3 | 13:11 | 2 | 16 | 10 | 1 | 2 | 7 | 7:24 | -17 | 5 |
| 18 ბოხუმი | 21 | 5 | 3 | 13 | 19:43 | -24 | 18 | 11 | 4 | 1 | 6 | 14:19 | -5 | 13 | 10 | 1 | 2 | 7 | 5:24 | -19 | 5 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| სანდი (შალკე) | 14 |
| ბარბარესი (ჰამბურგი) | 13 |
| ელბერი (ბაიერნი) | 13 |
| პრეეცი (ჰერტა) | 12 |
| აგოსტინო (მიუნხენ 1860) | 11 |
| ნოივილი (ლევერკუზენი) | 11 |

### XXII ტური

16 თებერვალი
მიუნხენ 1860 — აინტრახტი
17 თებერვალი
უნტერჰახინგი — ბაიერნი
ჰანზა — ლევერკუზენი
კოტბუსი — ფრაიბურგი
ვერდერი — შალკე
ვოლფსბურგი — ბოხუმი
დორტმუნდი — ჰამბურგი
18 თებერვალი
კიოლნი — ლაუტერნი
შტუტგარტი — ჰანზა

## მეორე ბუნდესლიგა

### XXI ტური

### როიტლინგენი 3:2 ნიურნბერგი

0:1 მიოკელი (32), 1:1 ჰოფაკერი (49), 2:1 ჰოფმანი (60), 2:2 გომისი (70), 3:2 მალხოვი (76პ)
როიტლინგენი: კურკო, მალხოვი, ლაპაჩინსკი, ტრაუბი, ვილდმანი (ჰოფაკერი 46), ადუბე, იანიჩი, ლექსა (ფრომერი 88), ბეკერი, სუმიალა (ჰოფმანი 46), დიბაბა
მწვრთნელი: რალფ ვე
12 300 მაყურებელი

### ფიურტი 1:0 ულმი

1:0 გორა (53ს.კ.)
ფიურტი: რეიხოლდი, შკარაბელა, სბორდონე, რაიტერი, სურმანი, ჰასა, რაიხელი, აზუზი, რუმანი (ვალტერი 64), ამანატიდისი (ელბერფელდი 75), კიოიო (ჰასენჰუტლი 71)
მწვრთნელი: გიუნტერ ერკენბრეხერი
5 051 მაყურებელი

### კიკერსი 0:2 ზანქტ პაული

0:1 ველაგე (34), 0:2 რატი (55)

### ჰანოვერი 3:0 ზაარბრიუკენი

1:0 ტიკუ (41ს.კ.), 2:0 შტეფული (49), 3:0 ლალა (69)

### გლადბახი 1:0 ობერჰაუზენი

1:0 დემო (31პ)

### ქემნიცი 1:2 ოსნაბრუკი

0:1 პეტრი (60), 0:2 კლაასენი (68), 1:2 ანდერსი (80)

### არმინია 4:1 მაინცი

1:0 ვაისენბერგერი (3), 2:0 ვიშნიარეკი (23), 3:0 ვან დერ ვენი (56), 3:1 ნკუფო (86), 4:1 არაჩიჩი (90)

### ვალდჰოფი 0:3 ალენი

0:1 ფაინბერი (67), 0:2 არნოლდი (81), 0:3 ფაინბერი (88)

### დუისბურგი — ალემანია

წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მეორე გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნიურნბერგი | 21 | 15 | 3 | 3 | 43:19 | 48 |
| ზანქტ პაული | 20 | 10 | 6 | 4 | 45:31 | 36 |
| გლადბახი | 20 | 9 | 8 | 3 | 35:19 | 35 |
| როიტლინგენი | 20 | 10 | 5 | 5 | 45:35 | 35 |
| ჰანოვერი | 21 | 9 | 6 | 6 | 36:23 | 33 |
| ფიურტი | 21 | 9 | 5 | 7 | 30:23 | 32 |
| ვალდჰოფი | 21 | 9 | 5 | 7 | 29:27 | 32 |
| დუისბურგი | 19 | 8 | 5 | 6 | 30:23 | 29 |
| ობერჰაუზენი | 20 | 9 | 2 | 9 | 27:29 | 29 |
| ზაარბრიუკენი | 20 | 8 | 4 | 8 | 27:39 | 28 |
| ალენი | 21 | 7 | 6 | 8 | 32:35 | 27 |
| არმინია | 20 | 6 | 5 | 9 | 29:26 | 23 |
| ალემანია | 19 | 6 | 5 | 8 | 28:37 | 23 |
| ულმი | 20 | 5 | 5 | 10 | 23:29 | 20 |
| კიკერსი | 20 | 4 | 8 | 8 | 17:25 | 20 |
| ოსნაბრუკი | 21 | 5 | 5 | 11 | 19:34 | 20 |
| მაინცი | 20 | 4 | 7 | 9 | 19:28 | 19 |
| ქემნიცი | 20 | 2 | 4 | 14 | 15:47 | 10 |

# მზეო, ჩადი, ჩადი...

## ესპანეთი

### XXII ტური

### დეპორტივო 4:1 სოსიედადი

1:0 დიეგო ტრისტანი (5), 2:0 დონატო (26), 3:0, 4:0 დიეგო ტრისტანი (41, 62), 4:1 დე პედრო (67)
დეპორტივო: ხ. მოლინა, ნაიბეტი, რომერო, მანუელ პაბლო, ვალერონი, დონატო, სკალონი (დუშერი 79), ფრანი, ჯალმინია (პანდიანი 65), მაურო სილვა, დიეგო ტრისტანი (ვიქტორი 75)
მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა
სოსიედადი: ასპერი, ლოპეს რეკარტე, ჟულიო სეზარი, კორინო, ლორენი, აუგუსტინ არანსაბალი (ტაიფური 54), ხაბი ალონსო, ლუის ალბერტო, ხოხლოვი, ლორენტე (დე პაულა 46), იდიაკესი (დე პედრო 67)
მწვრთნელი: ჯონ ტოშაკი
გაფრთხილება: კორინო, ლუის ალბერტო, ლორენტე, ნაიბეტი, ჟულიო სეზარი
30 000 მაყურებელი

### ბილბაო 1:0 რეალი

1:0 ალკისა (3)
ბილბაო: ლაფუენტე, ი. ლარაინსარი, ლაკრუსი, ლარასაბალი, ორბაისი, ალკისა (იქსტე 71), ოსკარ ვალესი, ი. გერერო, ურუტია (ფელიპე 11), ურსაისი, ხ. ეჩებერია (კუელიარი 90)
მწვრთნელი: ფრანსისკო ჩიჩი როხო
რეალი: კასილიასი, კარანკა, იერო, რობერტო კარლოსი, სალგადო, მაკელელე (სოლარი 74), ელგერა, გუტი (მორიენტესი 56), მაკმანამანი, მუნიტისი, რაული
მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე
გაფრთხილება: ორბაისი, ფელიპე, ლარაინსარი, გერერო
39 000 მაყურებელი

### რასინგი 4:0 ბარსელონა

1:0 რეგუერო (35), 2:0 რამისი (47), 3:0 არსენო (55), 4:0 მაცონი (74)
რასინგი: სებალიოსი, რამისი (ნერუ 89), ხუანმა, მელბერგი, არსენო, რეგუერო, მაცონი (მაგალიანეში 79), ხულიო ალვარესი, ამავისკა (მანზარინი 85), ისმაელი, ესპინია
მწვრთნელი: გრეგორიო მანსანო
ბარსელონა: რეინა, ფ. დე ბური, სერხი, აბელარდო, პეტი, ხერარდი (ზენდენი 56), გაბრი, ხავი (ალფონსო 46), ლუის ენრიკე, რივალდო, კლუივერტი
მწვრთნელი: ლორენს სერა ფერერი
გაფრთხილება: არსენო, გაბრი, ლუის ენრიკე, დე ბური, აბელარდო
20 000 მაყურებელი

### ვალენსია 3:0 ნუმანსია

1:0 ხუან სანჩესი (17), 2:0 მენდიეტა (40პ), 3:0 დიეგო ალონსო (80)
ვალენსია: კანისარესი, პელეგრინო, ანგლომა, კარბონი, ჯუკიჩი, ბარახა, ანგულო, მენდიეტა, კარეუ (დიეგო ალონსო 66), კილი გონსალესი, ხუან სანჩესი (ვისენტე 87)
მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი
ნუმანსია: ნუნიესი, ანტია (კაკო მორანი 62), მანელი, სორია, ნაგორე, ხოსე მანუელი (პირი 56), მარინი, ოქტავიო (კურო მონტოია 87), ივან პერესი, რუბენ ნავარო, ინიაკი
მწვრთნელი: მარიანო გარსია რემონი
გაფრთხილება: კილი გონსალესი, კარბონი, ხუან სანჩესი, პელეგრინო, მარინი
გაძევება: კილი გონსალესი (85)
40 000 მაყურებელი

### ვალიადოლიდი 1:0 ლას პალმასი

1:0 კამინერო (47)
ვალიადოლიდი: ბიზარი, ტორეს გომესი, გარსია კალვო, მარკოსი, პაინცე, ხესუსი, ანტონიო ლოპესი, ფერნანდო, კამინერო (ფერნანდო სალესი 73), ეუსებიო (რიკეტი 81), პაჩონი (ალბერტო 90)
მწვრთნელი: ფრანსისკო ფერარო
ლას პალმასი: ნაჩო გონსალესი, მ. მოლინა, პაკუი, შურერი, ედუ ალონსო, იარნი, სემვისი, ხოსიკო (გიარე 65), ულარე, ანხელი (ხორხე 63), ელოი (ტურდო 72)
მწვრთნელი: სერჯიო კრესიჩი
გაფრთხილება: პაკუი, კამინერო, შურერი, ხორხე
გაძევება: შურერი (90)
16 000 მაყურებელი

### ოვიედო 1:3 ვილიარეალი

1:0 ტომიჩი (45პ), 1:1 პალერმო (59), 1:2 უნაი (62), 1:3 ხორხე ლოპესი (70)
ოვიედო: ესტებანი, დანჯუ, ონოპკო, რაბარივონი (ივო 68), გასპარი, ი. ტომიჩი, კეიტა, ივანაია (რუბენი 76), ამიევა (კოლიმორი 58), პაუნოვიჩი, ოლი
მწვრთნელი: რადომირ ანტიჩი
ვილიარეალი: ლოპეს ვალეხო, კიკე ალვარესი, უნაი, ტასევსკი, გალვანი, კანია, ხავი გარსია, ხორხე ლოპესი, ვიქტორი (კრაიოვიანუ 88), კალეხა (ხაიმე 61), პალერმო (მოიზესი 90)
მწვრთნელი: ვიქტორ მანრიკე
გაფრთხილება: რაბარივონი, ხავი გარსია, ტომიჩი, ივო
გაძევება: ხავი გარსია (45)
25 000 მაყურებელი

### ალავესი 1:0 სარაგოსა

1:0 კრუიფი (17)
ალავესი: ერერა, ჟელი, ტელიესი, ეგენი, კონტრა, ჯ. ტომიჩი, ასტუდილიო, დესიო, პაბლო (ასკოიტია 75), კრუიფი (ივან ალონსო 75), ხავი მორენო (იბონ ბეგონია 88)
მწვრთნელი: ხოსე მანუელ ესნალ პარდო
სარაგოსა: ხუანმი, პაკო ხემესი, აგუადო, ლანა, გურენკო (კუარტერო 82), აკუნია, ხოსე იგნასიო, ჟამელი (ფერონი 64), მარტინ ველისკა, მონტენეგრო (იორდი 61), ხუანელე
მწვრთნელი: ლუის კოსტა
გაფრთხილება: კონტრა, აკუნია, ჟელი
13 920 მაყურებელი

### მალაგა 0:1 მალიორკა

0:1 რაფა (31ს.კ.)
მალაგა: რაფა, დ. ლარაინსარი, ვალკარსე (ისნატა 19), როტეტა, როხასი (კანაბალი 68), დელოს სანტოსი, ზარატე (აგოსტინიო 61), რუფეტე მოვილია, დელი ვალდესი, დარიო სილვა
მწვრთნელი: ხოაკინ პერირო ლუკასი
მალიორკა: ლეო ფრანკო, ნადალი, ოლაიზოლა, ფერნანდო ნინიო, მიგელ სოლერი, ფინიდი, მარკოსი, ნოვო (არმანდო 70), ენგონგა, კარერასი (სივიერო 80), ლუკე (კარლოსი 89)
მწვრთნელი: ლუის არაგონესი
გაფრთხილება: მარკოსი, დარიო სილვა, ლუკე, ფერნანდო ნინიო
13 000 მაყურებელი

### ესპანიოლი 0:1 სელტა

0:1 კატანია (90)
ესპანიოლი: მორა, ტოლედო, როტჩენი, კრისტობალი, სოლდევილა, ოსკარი (მარტინ პოსე 59), როხერი (ლარდინი 79), გალკა, სერხიო, ველამასანი, ტამუდო
მწვრთნელი: ფრანსისკო პაკო ფლორესი
სელტა: კავალიერო, იაგო, ბერიზო, კასერესი, ველასკო, ტომასი (მოსტოვოი 69), ხაიო, ედუ, ვაგნერი (ჯოვანელა 84), კატანია, გუსტავო ლოპესი (ხესული 79)
მწვრთნელი: ვიქტორ ფერნანდესი
გაფრთხილება: კასერესი, გალკა, ხაიო, სოლდევილა
13 800 მაყურებელი

### რაიო ვალეკანო 2:1 ოსასუნა

1:0 კევედო (22), 1:1 ალფონსო (63), 2:1 სემბრანოსი (90)
რაიო ვალეკანო: კელერი, მაური, ბალესტეროსი, დე კინტანა, ალკასარი, ივანი (მელდერი 46), პოშნერი (გლაუჩიო 80), კევედო, მიჩელი, ბოლო, ბოლიჩი (სემბრანოსი 46)
მწვრთნელი: ხუანდე რამოსი
ოსასუნა: ნუნო, ალფონსო, ხოსუე, ვიდაკოვიჩი, ივან პერესი, ლორენსი, პალასიოსი (საბინო 46), ალექს ფერნანდესი, ლეკუმბერი (განჩედო 72), ალფრედო (არპონი 79), ივან როსადო
მწვრთნელი: მიგელ ანხელ ლოტინა
გაფრთხილება: პოშნერი, ალკასარი, მაური, ალფონსო, ვიდაკოვიჩი
გაძევება: დე კინტანა (70)
6 000 მაყურებელი



რასინგი — ბარსელონა 4:0. რივალდოს და „ბარსელონას" 18-მატჩიანი წაუგებელი სერია სანტანდერში შეაწყვეტინეს

AP სანტანდერიდან

**ტურის** დაწყებას ესპანურ სტადიონებზე წუთიერი დუმილი უძღოდა — ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ 69 წლისა გარდაიცვალა ანტონიო ბარო, საფეხბურთო ლიგის პრეზიდენტი და ერთ დროს „ესპანიოლის" თავკაცი.

ტური დასრულდა, კატალონიელთა ერთმა ნაწილმა ბაროს ადგილას ლორენს სერა ფერერის ყოფნა ისურვა...

ყველაფერი, მათ შორის წაუგებელი სერიებიც, ოდესმე სრულდება. „ბარსელონას" სერიამ კი 18-მატჩიან გამოცდას გაუძლო და მეცხრამეტეზე ჩაიჭრა. თავისთავად ჩაჭრა არაფერია, აკი ვთქვით, ოდესმე ყველა აგებსო, მაგრამ ვისთან და როგორ, საქმეც ესაა.

მატჩის წინ ვწერდით, „ბარსასთვის" ოვერმარსის, კოკუსა და გვარდიოლას არყოლა განსაკუთრებით საგანგაშო არ უნდა იყოს, რაკი „რასინგი" მეტად სუსტი გუნდიაო. სხვაგვარად კი მოხდა. ამათ და სიმაოს გარეშე დარჩენილმა კატალონიელებმა ნახევარდაცვა მთლიანად სანტანდერელებს ჩააბარეს, იქიდან კარამდე კი ერთი ნაბიჯიღა რჩება. ჰოდა, მასპინძლებიც უტევდნენ, თუმცა ისიც სათქმელია, რომ მათი გარჯა არ დაფასდებოდა, რომ არა სტუმართა შეცდომები. ჯერ აბელარდომ უხერხულად მოიგერია ბურთი და მარიო რეგუეროს ჩააბარა. იქ სერხიმაც ვერ ივარგა დაზღვევაზე — 1:0. მერე ხოსე ემილიო ამავისკამ ჩააწოდა საჯარიმო და უმეთვალყურეო ლუის რამისმა თავურით მინდორზე ასხლეტილი ბურთი შეაგდო — 2:0. ისევ სტანდარტული მდგომარეობა, ამჯერად კუთხური და კვლავ სტუმართა უსუსურობა — კლაუდიო არსენოს მესამე. ბოლოს კი სერხის მიერ ბურთის ვითომ გამოტანა საჯარიმოდან, ვითომ, რადგან ბურთი იქვე მდგომ ხავიერ მაცონის მიუგორდა და 4:0. საბოლოოდ კი თავჩაქინდრულმა ბარსელონელებმა ტაშის გრიალში დატოვეს მოედანი — რა თქმა უნდა, ეს ტაში მათ არ ეკუთვნოდათ.

„ბარსელონასთვის" ნუგეშად ოდენ „რეალის" მარცხი თუ იქნება.

თქმაც არ უნდა, ბობოლათა წინააღმდეგ ყველა განსაკუთრებული მონდომებით იბრძვის, მით უმეტეს, ბასკური გუნდი, რომლისთვისაც ფეხბურთი მხოლოდ თამაში არაა და თუ ბასკურ გუნდს წინა მატჩში არნახული სირცხვილი აქვს ნაჭამი, მონდომება უათმაგდება.

არც ერთი ნაბიჯი უკან, პრესინგი მთელ მოედანზე, მაღალი ტემპი — ალბათ, ასეთი დარიგებით გაუშვა ფრანსისკო ჩიჩო როხომ ფეხბურთელები მოედანზე. ყოველ შემთხვევაში, ბასკები სწორედ ამგვარად ირჯებოდნენ. შედეგმაც არ დააყოვნა. ისმაელ ურსაისმა ბურთი მადრიდელთა საჯარიმომდე მიიტანა, უკან ხოსება ეჩებერიას დაუგორა, ამან კიდევ ბიტორ ალკისა მოძებნა, ალკისამ კი — ძელებს შორის თავისუფალი დერეფანი.

მოგვიანებით მადრიდელები გონს მოეგნენ და რამდენიმე მწვავე მომენტიც შექმნეს, თუმცა ფიგუს დისკვალიფიკაციამ თავისი გააკეთა — რაულის პასებით მომარაგება ჭირდა. საუკეთესო შანსი ვერ გამოიყენეს გუტიმ და მაკმანამანმა, თამაშის დასრულებამდე ათი წუთით ადრე კი სტუმრები მსაჯმაც დაალალატა — პენალტი არ დაუნიშნა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ბილბაოელებმა დამსახურებულად მოიგეს და ბარსელონური 0:7 დაივიწყეს.

რა კარგი ყოფილა, კაცს რომ გაგიძევებენ. აი, „ვილიარეალს" ხავიერ გარსია გაუგდეს და გუნდიც ამის შემდეგ ათამაშდა — „ოვიედოს" სამი გოლი გაუტანა. ამათგან პირველი მარტინ პალერმომ შეაგდო და პრიმერადივიზიონში პირადი ანგარიში გახსნა.

ვიტორიაში დისკვალიფიკაციამოხდილმა ხავი მორენომ ბომბარდირულ მარაგს გოლი ვერ შემატა, თუმცა სწორედ მისი პასით გაიტანა ხორდი კრუიფმა. „სარაგოსას" ხუან ესნაიდერი დამტვრეული ჰყავს და, ფაქტობრივად, ერთი ხეირიანი მომენტიც არ შეუქმნია. ალავესელები კი უეფას თასზე „ინტერის" მასპინძლობის წინ კარგ გუნებაზე არიან — სამი ქულაც მიითვალეს და მაინცდამაინც არ დაღლილან.

ორი მატჩის ბედი გადაწყდა წამატებულ დროში. სელტელმა კატანიამ ესპანიოლელთა საჯარიმოს სიახლოვეს დაკარგული ბურთი დაიგულა და ვიგოში სამი ქულა წაიღო.

„ესპანიოლზე" უარესი რამ შეემთხვა „ოსასუნას". აბა, როგორი საქმეა, ჯერ ახალწვეული ხუსუეს ფეხიდან ბურთი მისსავე კარში გავიდა (თუმცა ის დამრტყმელ კევედოს ჩაეთვალა), მერე გამოცდილმა ივან როსადომ პენალტი გააფუჭა, ბოლოს კი კაცნაკლული მასპინძლებისგან ბოლო წამებზე დამარცხებისა გაუშვა. „რაიოს" ამბავიც გასაკვირია, პრიმერადივიზიონში ამ სეზონში გადასულ გუნდებთან შინ თამაში უჭირს — „ლას პალმასთან" წააგო, „ვილიარეალთან" ფრეს დასჯერდა და „ოსასუნასთან" იშვიათი იღბლიანობის წყალობით იმარჯვა.

„ოსასუნას" უბედურებისა არ იყოს, „მალაგამაც" უაზროდ დაუთმო გამარჯვება „მალიორკას". ალბერტო ლუკეს, ყოფილი „მალაგელის" სრულიად უხიფათო ჩაწოდებული სეზონში პირველად მოთამაშე მეკარე რაფაელ გონსალეს რაფას იოლი ლუკმა უნდა გამხდარიყო, მაგრამ მზემ მას თვალები მოსჭრა და ბურთს ისე უხერხულად მიარტყა ხელი, რომ საკუთარ კარში შეაგდო. ზოგი გაიძახის, მზეო, ამოდი, ამოდიო.

**გიორგი დარჯანია**

## მეორე დივიზიონი

### XXIV ტური

### სევილია 1:1 ელჩე

0:1 პარი (60), 1:1 ოლივერა (82)

### კორდობა 1:3 უელვა

0:1 ბარახასი (27), 1:1 გალეგო (59), 1:2 ხისკო (66), 1:3 ბოდიპო (90)

### უნივერსიდადი 2:2 ლევანტე

1:0 ჯონათანი (9), 1:1 მიგელი (20), 2:1 ალექსისი (22პ), 2:2 მოა (55)

### სალამანკა 2:0 ლეიდა

1:0 ბარბარა (37), 2:0 კიკე მარტინი (52)

### მურსია 2:2 ლეგანესი

0:1 მაკულულა (30), 0:2 ალექსი (80), 1:2 ლამბეა (85), 2:2 ზარატე (89)

### ეიბარი 0:0 ალბასეტე

### ესტრემადურა 1:2 სპორტინგი

0:1 ალბერტო (52), 1:1 მანუელი (54), 1:2 მანელი (78)

### ატლეტიკო 5:0 ხაენი

1:0 ნიეგესი (13), 2:0 უგო ლეალი (57), 3:0 კორეა (61), 4:0 სალვა (68), 5:0 ნიეგესი (85)

### ბადახოსი 2:1 კომპოსტელა

1:0 პეპინი (13), 2:0 ბაუსა (24), 2:1 გუდელი (68პ)

### ფეროლი 0:1 ბეტისი

0:1 ამატო (6)

### ტენერიფე 3:0 ხეტაფე

1:0 მისტა (28), 2:0 ლუის გარსია (65), 3:0 მისტა (80)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბეტისი | 24 | 13 | 7 | 4 | 24:13 | 46 |
| ტენერიფე | 24 | 13 | 6 | 5 | 37:19 | 45 |
| სევილია | 24 | 13 | 6 | 5 | 36:21 | 45 |
| სალამანკა | 24 | 12 | 5 | 7 | 28:22 | 41 |
| უელვა | 24 | 8 | 13 | 3 | 20:13 | 37 |
| სპორტინგი | 24 | 9 | 8 | 7 | 31:24 | 35 |
| ლევანტე | 24 | 7 | 13 | 4 | 30:25 | 34 |
| ეიბარი | 24 | 8 | 10 | 6 | 20:16 | 34 |
| ბადახოსი | 24 | 7 | 13 | 4 | 23:20 | 34 |
| ატლეტიკო | 24 | 8 | 9 | 7 | 31:25 | 33 |
| მურსია | 24 | 8 | 9 | 7 | 33:29 | 33 |
| ალბასეტე | 23 | 8 | 9 | 6 | 19:17 | 33 |
| კორდობა | 24 | 9 | 6 | 9 | 24:25 | 33 |
| ლეგანესი | 24 | 5 | 13 | 6 | 31:27 | 28 |
| ხაენი | 24 | 7 | 7 | 10 | 15:26 | 28 |
| ესტრემადურა | 24 | 7 | 6 | 11 | 21:28 | 27 |
| ფეროლი | 23 | 6 | 7 | 10 | 26:28 | 25 |
| ელჩე | 24 | 5 | 10 | 9 | 25:33 | 25 |
| კომპოსტელა | 24 | 6 | 5 | 13 | 22:42 | 23 |
| ხეტაფე | 24 | 5 | 7 | 12 | 22:37 | 22 |
| ლეიდა | 24 | 3 | 8 | 13 | 21:34 | 17 |
| უნივერსიდადი | 24 | 2 | 11 | 11 | 17:32 | 17 |

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 რეალი | 22 | 15 | 3 | 4 | 51:25 | 26 | 48 | 10 | 9 | 0 | 1 | 31:9 | 22 | 27 | 12 | 6 | 3 | 3 | 20:16 | 4 | 21 |
| 2 დეპორტივო | 22 | 13 | 5 | 4 | 42:22 | 20 | 44 | 11 | 9 | 2 | 0 | 24:4 | 20 | 29 | 11 | 4 | 3 | 4 | 18:18 | 0 | 15 |
| 3 ბარსელონა | 22 | 12 | 4 | 6 | 46:31 | 15 | 40 | 10 | 8 | 1 | 1 | 28:10 | 18 | 25 | 12 | 4 | 3 | 5 | 18:21 | -3 | 15 |
| 4 ვალენსია | 22 | 11 | 6 | 5 | 34:16 | 18 | 39 | 12 | 9 | 1 | 2 | 23:5 | 18 | 28 | 10 | 2 | 5 | 3 | 11:11 | 0 | 11 |
| 5 ვილიარეალი | 22 | 10 | 5 | 7 | 29:23 | 6 | 35 | 10 | 4 | 4 | 2 | 11:10 | 1 | 16 | 12 | 6 | 1 | 5 | 18:13 | 5 | 19 |
| 6 მალიორკა | 22 | 9 | 8 | 5 | 31:29 | 2 | 35 | 10 | 6 | 3 | 1 | 19:13 | 6 | 21 | 12 | 3 | 5 | 4 | 12:16 | -4 | 14 |
| 7 რაიო ვალეკანო | 22 | 8 | 8 | 6 | 41:36 | 5 | 32 | 12 | 6 | 4 | 2 | 24:13 | 11 | 22 | 10 | 2 | 4 | 4 | 17:23 | -6 | 10 |
| 8 ლას პალმასი | 22 | 9 | 4 | 9 | 24:37 | -13 | 31 | 10 | 6 | 1 | 3 | 12:14 | -2 | 19 | 12 | 3 | 3 | 6 | 12:23 | -11 | 12 |
| 9 ესპანიოლი | 22 | 9 | 3 | 10 | 29:25 | 4 | 30 | 12 | 6 | 1 | 5 | 17:11 | 6 | 19 | 10 | 3 | 2 | 5 | 12:14 | -2 | 11 |
| 10 ალავესი | 22 | 9 | 3 | 10 | 31:29 | 2 | 30 | 12 | 7 | 1 | 4 | 16:10 | 6 | 22 | 10 | 2 | 2 | 6 | 15:19 | -4 | 8 |
| 11 ბილბაო | 22 | 8 | 6 | 8 | 30:34 | -4 | 30 | 11 | 7 | 2 | 2 | 23:14 | 9 | 23 | 11 | 1 | 4 | 6 | 7:20 | -13 | 7 |
| 12 ვალიადოლიდი | 22 | 6 | 11 | 5 | 25:25 | 0 | 29 | 12 | 6 | 6 | 0 | 16:7 | 9 | 24 | 10 | 0 | 5 | 5 | 9:18 | -9 | 5 |
| 13 მალაგა | 22 | 8 | 4 | 10 | 33:34 | -1 | 28 | 12 | 6 | 3 | 3 | 21:15 | 6 | 21 | 10 | 2 | 1 | 7 | 12:19 | -7 | 7 |
| 14 სარაგოსა | 22 | 6 | 9 | 7 | 30:30 | 0 | 27 | 10 | 5 | 4 | 1 | 23:11 | 12 | 19 | 12 | 1 | 5 | 6 | 7:19 | -12 | 8 |
| 15 სელტა | 22 | 7 | 6 | 9 | 26:32 | -6 | 27 | 11 | 5 | 5 | 1 | 17:11 | 6 | 20 | 11 | 2 | 1 | 8 | 9:21 | -12 | 7 |
| 16 ოვიედო | 22 | 8 | 3 | 11 | 27:37 | -10 | 27 | 12 | 8 | 2 | 2 | 27:15 | 12 | 26 | 10 | 0 | 1 | 9 | 0:22 | -22 | 1 |
| 17 ნუმანსია | 22 | 5 | 5 | 12 | 20:36 | -16 | 20 | 10 | 3 | 3 | 4 | 10:12 | -2 | 12 | 12 | 2 | 2 | 8 | 10:24 | -14 | 8 |
| 18 სოსიედადი | 22 | 4 | 6 | 12 | 24:46 | -22 | 18 | 11 | 1 | 5 | 5 | 12:23 | -11 | 8 | 11 | 3 | 1 | 7 | 12:23 | -11 | 10 |
| 19 რასინგი | 22 | 4 | 5 | 13 | 26:39 | -13 | 17 | 11 | 4 | 3 | 4 | 17:16 | 1 | 15 | 11 | 0 | 2 | 9 | 9:23 | -14 | 2 |
| 20 ოსასუნა | 22 | 3 | 8 | 11 | 22:35 | -13 | 17 | 11 | 2 | 5 | 4 | 12:15 | -3 | 11 | 11 | 1 | 3 | 7 | 10:20 | -10 | 6 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ხავი მორენო (ალავესი) | 16 |
| რივალდო (ბარსელონა) | 12 |
| რაული (რეალი) | 12 |
| კლუივერტი (ბარსელონა) | 10 |
| დელი ვალდესი (მალაგა) | 10 |
| მაკაი (დეპორტივო) | 10 |
| კატანია (სელტა) | 10 |

### XXIII ტური

17-18 თებერვალი

სოსიედადი — ესპანიოლი
სელტა — რაიო ვალეკანო
ოსასუნა — ალავესი
სარაგოსა — ოვიედო
ვილიარეალი — ვალიადოლიდი
ლას პალმასი — ვალენსია
ნუმანსია — მალაგა
მალიორკა — ბილბაო
რეალი — რასინგი
ბარსელონა — დეპორტივო

# სევდიანი ტური

## იტალია

### XVIII ტური

### ვიჩენცა 2:0 მილანი

1:0 დაბო (9), 2:0 ტონი (72)
ვიჩენცა: სტერჩელე, კარდონე (სალისკა 85), დალ კანტო, ტომასი, კომოტო, ფირმანი, დაბო (ბერნარდინი 74), ბეგეტო, ძაული, ტონი, კალონი (მაურიციო როსი 88)
მწვრთნელი: ედუარდო რეია
მილანი: აბიატი, ჰელვეგი, როკე ჟუნიორი, კალაძე, კოკო, პაბლო გარსია, ჯუნტი, სერჯინიო (შევჩენკო 59), ლეონარდო, ხოსე მარი (სალა 46), კომანდინი (ბირჰოფი 65)
მწვრთნელი: ალბერტო ძაკერონი
გაფრთხილება: აბიატი, კოკო, ფირმანი, კალაძე, კარდონე
15 000 მაყურებელი

### ბოლონია 1:2 რომა

0:1 ბატისტუტა (11პ), 0:2 ემერსონი (34), 1:2 ბრიოსკი (51)
ბოლონია: პალიუკა, კასტელინი (ბრიოსკი 46), ბია, პადალინო, ფალკონე, ბინოტო, ოლივე (ჩიპრიანი 40), ლიმა, ნერვო, ლოკატელი (ვიაჩენტინი 73), სინიორი
მწვრთნელი: ფრანჩესკო გვიდოლინი
რომა: ანტონიოლი, რინალდი (მანგონე 56), სამუელი, ძაგო, კაფუ, ემერსონი, ტომაზი, კანდელა, ნაკატა (გიგუ 73), დელვეკიო (მონტელა 46), ბატისტუტა
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
გაფრთხილება: რინალდი, სამუელი, ლიმა
გაძევება: ბინოტო (22)
37 000 მაყურებელი

### ლაციო 0:0 ატალანტა

ლაციო: პერუცი, ნეგრო, ნესტა, ფერნანდუ კოუტუ, ფავალი (პანკარო 14), პობორსკი (კასტრომანი 59), დ. ბაჯო, ნედვედი, ს. ვერონი, სალასი, კრესპო (ს. ინძაგი 73)
მწვრთნელი: დინო ძოფი
ატალანტა: პელიცოლი, სიცილია, პაგანინი, კარერა, ძაური, კ. ძენონი, დ. ძენონი, დონატი, დონი (ბერეტა 68), მორფეო (დუნდიერსკი 90), ვენტოლა (პინარდი 90)
მწვრთნელი: ჯოვანი ვავასორი
გაფრთხილება: პელიცოლი, ნედვედი, პაგანინი, დონი, მორფეო
42 000 მაყურებელი

### იუვენტუსი 3:0 ნაპოლი

1:0 კოვაჩევიჩი (11), 2:0 ინძაგი (62), 3:0 დელ პიერო (85)
ზიდანმა ვერ გაიტანა პენალტი (56, მეკარე)
იუვენტუსი: ვან დერ სარი, ბირინდელი, ფერარა, ტუდორი, პესოტო, ბრიგი (პარამატი 80; მონტერო 85), ტაკინარდი, ძამბროტა, ზიდანი, ფ. ინძაგი, კოვაჩევიჩი (დელ პიერო 67)
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
ნაპოლი: ფონტანა, კიროგა, ფრეზი, ბალდინი, მაგონი, საბერი, მატუზალემი (იანკულოვსკი 75), პეკია (სესა 47), ბაჩინი, ედმუნდო, ნ. ამორუზო (ბელუჩი 46)
მწვრთნელი: ემილიანო მონდონიკო
გაფრთხილება: პესოტო, მატუზალემი, პეკია
30 000 მაყურებელი

### ფიორენტინა 0:1 პარმა

0:1 სერჟიუ კონსეისაუ (6)
კიეზამ ვერ გაიტანა პენალტი (8, მეკარე)
ფიორენტინა: ტოლდო, ტორიჩელი, რეპკა, ადანი (როსიტო 71), ვანოლი, ბრეშანი, კ. ამორუზო (მარკო როსი 46), დი ლივიო, რუი კოშტა, კიეზა, ნუნო გომეში (ტალიალატელა 72)
მწვრთნელი: ფატიჰ თერიმი
პარმა: ბუფონი, ტურამი, ტორიზი, ფ. კანავარო, ფუზერი (ბოლანო 58), აპია, ლამუში, ფალსინი, სერჟიუ კონსეისაუ, მილოშევიჩი (მბომა 58), დი ვაიო (მიკუ 71)
მწვრთნელი: რენცო ულივიერი
გაფრთხილება: კანავარო, რეპკა
გაძევება: ტოლდო (72)
30 000 მაყურებელი

### ინტერი 1:1 რეჯინა

0:1 დიონიჯი (22), 1:1 ვიერი (41პ)
ინტერი: ფრეი, კორდობა, ბლანი, სიმიჩი, ხ. ძანეტი, იუგოვიჩი, დი ბიაჯო (ზეედორფი 74), დალმა, სერენა (ბროკი 46), ფერანტე (მაქან შუქური 54), ვიერი
მწვრთნელი: მარკო ტარდელი
რეჯინა: ტაიბი, ოშადოგანი, ვარგასი, სტოვინი, ვიკარი, მამედე, რ. ვერონი (მოცარტი 85), ძანჩეტა (კანეირა 73), მორაბიტო, კოცა (მარაზინა 78), დიონიჯი
მწვრთნელი: ფრანკო კოლომბა
გაფრთხილება: ოშადოგანი, ვერონი, ვიკარი, ბროკი
52 068 მაყურებელი

### ლეჩე 2:2 პერუჯა

1:0 ტონეტო (33), 1:1 ვრიზასი (35), 2:1 ჯორჯეტი (62), 2:2 საუდატი (78)
ლეჩე: კომენტი, ჟუარესი, ვიალი (მალუსკა 52), სავინო, ჯორჯეტი, პიანჯერელი, ინგესონი, ტონეტო, კოლონელო, ვუგრინეცი, ჯ. ლუკარელი (ოსორიო 40)
მწვრთნელი: ალბერტო კავაზინი
პერუჯა: მაცანტინი, რივალტა (პარიზი 46), მატერაცი, დი ლორეტო, ზე მარია (ბლაზი 65), ბაიოკო, ჯოვანი ტედესკო, ლივერანი, მილანეზე (გინაზუ 65), ვრიზასი, საუდატი
მწვრთნელი: სერსე კოზმი
გაფრთხილება: პიანჯერელი, ბაიოკო, პარიზი
გაძევება: ოსორიო (42)
12 791 მაყურებელი

### ვერონა 3:2 ბარი

0:1 ანდერსონი (31), 1:1 მუტუ (54), 2:1 კამორანეზი (60), 3:1 მუტუ (70), 3:2 საიდი (87)
ვერონა: ფერონი, კასეტი, ლაურსენი, გონელა, ტეოდორანი, კამორანეზი (ლანძარო 73), ჯ. კოლუჩი, იტალიანო (მუტუ 46), სალვეტი, ბონაცოლი, ჯილარდინო (დოარდო 30)
მწვრთნელი: ატილიო პეროტი
ბარი: ჟილე, ნექროიზი, ინოჩენტი, სიბილანო (მადსენი 71), ბელავისტა, მ. მარკოლინი, დ. ანდერსონი (პეროტა 90), საიდი, პოჯი, ენინაია (მასინგა 71), ოსმანოვსკი
მწვრთნელი: ეუჯენიო ფასკეტი
გაფრთხილება: სიბილანო, ანდერსონი, მარკოლინი, კასეტი
გაძევება: ფერონი (30)
12 000 მაყურებელი

### ბრეშა 3:1 უდინეზე

1:0, 2:0, 3:0 უბნერი (53პ, 68, 79), 3:1 მარჯოტა (84)
ბრეშა: კასტელაცი, პეტრუცი, კალორი, ბონერა (ფ. გალი 78), დიანა, ა. ფილიპინი, ილანა, ე. ფილიპინი (ბიზოლი 88), ბაკინი, პირლო, უბნერი
მწვრთნელი: კარლო მაცონე
უდინეზე: ტურჩი, ძამბონი (გაარდე 72), სოტილი, ბერტოტო, ალბერტო (მუსლიმოვიჩი 62), ფიორე, გარგო, ელგერა (იორგენსენი 54), დიასი, სოსა, მარჯოტა
მწვრთნელი: ლუიჯი დე კანიო
გაფრთხილება: ალბერტო, ე. ფილიპინი, უბნერი
12 000 მაყურებელი

**ბოლონიაში** თამაშის დაწყებას გლოვა უსწრებდა — ავტოკატასტროფაში 17 წლის ბიჭი, მცველი ნიკოლო გალი დაიღუპა. ტრაგედია პარასკევს დატრიალდა, მატჩი კი კვირას გაიმართა. ბოლონიელთა მეტოქე ლიდერი „რომა“ გახლდათ, რომელმაც 2:1 გაიმარჯვა და მდევარ „იუვენტუსს“ კვლავ 6 ქულით უსწრებს.

ნიკოლო გალი ლონდონის „არსენალის“ ინტერესის საგანს წარმოადგენდა. იგი იტალიის ნაკრების, „მილანისა“ და „ფიორენტინას“ ყოფილი მეკარის, ჯოვანი გალის ვაჟი გახლდათ. ჯოვანი გალის უკეთ გაგახსენებთ: ის იყო „სკუადრა ატურას“ გოლკიპერი 1986 წელს, მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატზე და სწორედ ის იდგა არიგო საკის დროინდელი ლეგენდად ქცეული „მილანის“ კარში.

„ბოლონიასა“ და „რომას“ მატჩის დაწყებამდე ტრიბუნებმა ემოციურად მიაგეს პატივი დაღუპულის ხსოვნას, „ბოლონიას“ მწვრთნელი ფრანჩესკო გვიდოლინი ქვითინებდა, ხოლო გალის ოჯახის ახლო მეგობარმა, „რომას“ თავკაცმა ფაბიო კაპელომ მატჩისშემდგომი ინტერვიუს დროს ვერ შეიკავა თავი.

თამაში დაიწყო და მოედანზე ფრანჩესკო ტოტის გარეშე გასული სტუმრები მე-11 წუთზე დაწინაურდნენ — ფაბიო ნერვომ დამიანო ტომაზი წააქცია საკუთარ საჯარიმოში, რისთვისაც მსაჯმა პენალტი დანიშნა. პენალტი გაბრიელ ბატისტუტამ ზუსტად დაარტყა.

22-ე წუთზე ბოლონიელები უმცირესობაში დარჩნენ, რადგან წაქცეული რომაელის, ემერსონის მიწიხვლისთვის წითელი ბარათი ჯონათან ბინოტომ იხილა. ემერსონი შარშან ზაფხულს გადაბარგდა რომში ლევერკუზენის „ბაიერიდან“, მაგრამ შემდეგ კარგა ხანს დაშავებული გახლდათ და საქმეში ახლახან ჩაერთო. ჩაერთო და 34-ე წუთზე გოლიც შეაგდო, მარჯვენა ფეხით მოხდენილად დაარტყა.

შესვენებიდან ოთხ წუთში მასპინძლებმა სხვაობა შეამცირეს — ემანუელე ბრიოსკიმ ჯუზეპე სინიორის ჩაწოდებულ ჯარიმას თავურით უთხრა ზუსტი მისამართი, მაგრამ შემდეგ რომაელებს ჰქონდათ გოლის გატანის რამდენიმე შესაძლებლობა. ჯერ ჰიდეტოში ნაკატამ გაარტყა ძელს, ხოლო მერე შეცვლაზე შესულმა ვინჩენცო მონტელამ ახლოდან ააცილა.

„იუვენტუსი“ „ნაპოლის“ მასპინძლობდა და სეზონში მეათე თამაშიც მოიგო. ანგარიში თავურით დარკო კოვაჩევიჩმა გახსნა — მას პასი ზინედინ ზიდანმა ჩააწოდა. ამის შემდეგ ფილიპო ინძაგიმ თავისი მერვე გოლი გაიტანა — ახლოდან დაამატა ასხლეტილი ბურთი. მესამე გოლი კი შეხვედრის დამთავრებამდე ხუთი წუთით ადრე ფორმააღდგენილმა ალესანდრო დელ პიერომ შეაგდო.

ცხრილში ტურინელთა ქვემოთ „ლაციო“ და ბერგამოს „ატალანტა“ არიან. ბერგამოელთა მისამართით მხოლოდ ქების სიტყვებს თუ იტყვის კაცი. მათ შაბათს მეტად სერიოზული გამოცდა ჰქონდათ — სწორედ რომში „ლაციოსთან“, რომელსაც მათი გადასწრების საუკეთესო შანსი ეძლეოდათ, მაგრამ „ატალანტამ“ ენითაუწერელი დაჟინება გამოიჩინა და ისე შეძლო, რომ „ლაციოს“ მთელი მატჩის განმავლობაში ფაქტობრივად მომენტი არ შეექმნევინა. ამით კიდევ ერთი ღირსშესანიშნავი ამბავი მოხდა: „ლაციოს“ ახალდანიშნულმა მწვრთნელმა დინო ძოფმა ზედიზედ მეხუთე მატჩში გამარჯვება ვერ მოახერხა.

შემდეგ „მილანია“... მასზე ასე ვთქვათ: ზედიზედ მეოთხე საგარეო შეხვედრა წააგო. მისმა დამმარცხებელმა „ვიჩენცამ“ კი შინ მხოლოდ მესამედ შეძლო გამარჯვება.

„მილანს“ მისდევს „პერუჯა“. გუნდი, რომელიც ლეჩეში იყო, ორი გაიტანა და ორიც გაუშვა. ორივეჯერ „ლეჩე“ იყო წინ, მაგრამ პერუჯელებმა მაინც მოახერხეს სეზონში მეორე საგარეო ფრის თამაში.

პირველი გოლი 33-ე წუთზე გავიდა, როდესაც მაქს ტონეტომ გამოიჩინა თავი, მაგრამ სტუმარმა თავდამსხმელმა ზისის ვრიზასმა ჩემპიონატში თავისი მეხუთე გოლით გაქვითა. შემდეგ ისევ „ლეჩემ“ გადადგა ნაბიჯი — რუდოლფო ჯორჯეტიმ — თუმცა, როგორც თავიდანვე მოგახსენეთ, ვერც ეს უპირატესობა შეინარჩუნა და ლუკა საუდატის დარტყმის შემდეგ ქულას დასჯერდა.

შემდეგ მოდიან „პარმა“ და „ფიორენტინა“. ისინი ფლორენციაში შეხვდნენ ერთმანეთს და „პარმამ“ გაიმარჯვა. ეს გახლდათ პარმელთა პირველი წარმატება ახალი მწვრთნელის, რენცო ულივიერის ხელმძღვანელობით.

შეხვედრის მეექვსე წუთი მიმდინარეობდა, როდესაც მასპინძელ მცველთა უხეიროდ მოგერიებულმა ბურთმა სერჟიუ კონსეისაუს დახმარებით მათ კარში შევარდნა არჩია. შემდეგ იყო პენალტი: ენრიკო კიეზამ დაარტყა, მაგრამ „პარმას“ გოლკიპერმა ჯან ლუიჯი ბუფონმა მოიგერია. ერთი სიტყვით, „ფიორენტინამ“ ჩემპიონატში ზედიზედ მესამედ წააგო, ხოლო პარმელებმა სტუმრად მეორედ გაიმარჯვეს.

ახლა მე-9 ადგილს და „უდინეზეს“ მივადექით. „უდინეზემ“ სტუმრად „ბრეშასთან“ 1:3 წააგო. ამ შეხვედრაში „ბრეშას“ ფორვარდმა, დარიო უბნერმა ჰეთ-თრიქი შეასრულა, ხოლო მასიმო მარჯოტამ შეხვედრის დამთავრებამდე ექვსი წუთით ადრეღა გასცა უდინელთა ერთადერთი პასუხი. ამრიგად, „ბრეშამ“ შინ ზედიზედ მეორედ გაიმარჯვა.

მეათე და, ვაი, სირცხვილო, „ინტერი“ — „სან სიროზე“ 1:1 „რეჯინასთან“. მილანელები 41-ე წუთზე ერთობ საეჭვო პენალტით, კრისტიან ვიერიმ გადაარჩინა, თორემ 22-ე წუთზე დავიდე დიონიჯის გატანილი გოლის გამო აგებდნენ. „რეჯინამ“ ამ სეზონში მხოლოდ მეორედ ითამაშა ფრე.

„ვერონა“ — „ბარი“ — 3:2. სეზონში მეოთხე გამარჯვება ვერონელებმა რუმინელი ადრიან მუტუს ორი და მაურო კამორანეზის ერთი გოლის წყალობით მოიპოვეს.

**ბაჩუნა ძიძია**

REUTERS ბოლონიიდან




ბოლონია — რომა 1:2. დარტყმა! არის! ბრაზილიელმა ემერსონმა (მარჯვნივ) ბოლონიელებს მეორე გაუტანა

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 რომა | 18 | 13 | 3 | 2 | 35:14 | 21 | 42 | 8 | 6 | 2 | 0 | 14:4 | 10 | 20 | 10 | 7 | 1 | 2 | 21:10 | 11 | 22 |
| 2 იუვენტუსი | 18 | 10 | 6 | 2 | 32:15 | 17 | 36 | 9 | 6 | 2 | 1 | 18:7 | 11 | 20 | 9 | 4 | 4 | 1 | 14:8 | 6 | 16 |
| 3 ლაციო | 18 | 10 | 4 | 4 | 33:20 | 13 | 34 | 10 | 6 | 2 | 2 | 16:7 | 9 | 20 | 8 | 4 | 2 | 2 | 17:13 | 4 | 14 |
| 4 ატალანტა | 18 | 8 | 6 | 4 | 22:15 | 7 | 30 | 9 | 4 | 3 | 2 | 10:6 | 4 | 15 | 9 | 4 | 3 | 2 | 12:9 | 3 | 15 |
| 5 მილანი | 18 | 7 | 6 | 5 | 27:26 | 1 | 27 | 9 | 5 | 3 | 1 | 19:12 | 7 | 18 | 9 | 2 | 3 | 4 | 8:14 | -6 | 9 |
| 6 პერუჯა | 18 | 7 | 5 | 6 | 25:22 | 3 | 26 | 9 | 4 | 3 | 2 | 14:9 | 5 | 15 | 9 | 3 | 2 | 4 | 11:13 | -2 | 11 |
| 7 პარმა | 18 | 7 | 5 | 6 | 21:18 | 3 | 26 | 9 | 4 | 2 | 3 | 12:9 | 3 | 14 | 9 | 3 | 3 | 3 | 9:9 | 0 | 12 |
| 8 ფიორენტინა | 18 | 6 | 7 | 5 | 30:25 | 5 | 25 | 9 | 5 | 1 | 3 | 19:14 | 5 | 16 | 9 | 1 | 6 | 2 | 11:11 | 0 | 9 |
| 9 უდინეზე | 18 | 8 | 1 | 9 | 31:30 | 1 | 25 | 9 | 5 | 0 | 4 | 21:15 | 6 | 15 | 9 | 3 | 1 | 5 | 10:15 | -5 | 10 |
| 10 ინტერი | 18 | 6 | 7 | 5 | 21:20 | 1 | 25 | 9 | 4 | 4 | 1 | 12:7 | 5 | 16 | 9 | 2 | 3 | 4 | 9:13 | -4 | 9 |
| 11 ბოლონია | 18 | 7 | 3 | 8 | 20:22 | -2 | 24 | 10 | 5 | 2 | 3 | 11:10 | 1 | 17 | 8 | 2 | 1 | 5 | 9:12 | -3 | 7 |
| 12 ლეჩე | 18 | 5 | 7 | 6 | 23:29 | -6 | 22 | 9 | 3 | 4 | 2 | 14:15 | -1 | 13 | 9 | 2 | 3 | 4 | 9:14 | -5 | 9 |
| 13 ბრეშა | 18 | 4 | 8 | 6 | 22:23 | -1 | 20 | 9 | 2 | 6 | 1 | 11:10 | 1 | 12 | 9 | 2 | 2 | 5 | 11:13 | -2 | 8 |
| 14 ვიჩენცა | 18 | 5 | 4 | 9 | 19:29 | -10 | 19 | 9 | 3 | 3 | 3 | 10:11 | -1 | 12 | 9 | 2 | 1 | 6 | 9:18 | -9 | 7 |
| 15 ვერონა | 18 | 4 | 6 | 8 | 21:31 | -10 | 18 | 9 | 4 | 3 | 2 | 14:14 | 0 | 15 | 9 | 0 | 3 | 6 | 7:17 | -10 | 3 |
| 16 ნაპოლი | 18 | 4 | 5 | 9 | 20:30 | -10 | 17 | 9 | 3 | 2 | 4 | 13:14 | -1 | 11 | 9 | 1 | 3 | 5 | 7:16 | -9 | 6 |
| 17 რეჯინა | 18 | 4 | 2 | 12 | 13:31 | -18 | 14 | 8 | 3 | 1 | 4 | 5:10 | -5 | 10 | 10 | 1 | 1 | 8 | 8:21 | -13 | 4 |
| 18 ბარი | 18 | 3 | 3 | 12 | 16:31 | -15 | 12 | 9 | 3 | 1 | 5 | 10:14 | -4 | 10 | 9 | 0 | 2 | 7 | 6:17 | -11 | 2 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ბატისტუტა (რომა) | 14 |
| უბნერი (ბრეშა) | 13 |
| შევჩენკო (მილანი) | 13 |
| კრესპო (ლაციო) | 11 |
| ტოტი (რომა) | 10 |

### XIX ტური

17 თებერვალი
უდინეზე — ვერონა
მილანი — ბოლონია
18 თებერვალი
პარმა — ბრეშა
რეჯინა — ფიორენტინა
ნაპოლი — ინტერი
ბარი — იუვენტუსი
პერუჯა — ლაციო
რომა — ლეჩე
ატალანტა — ვიჩენცა

## სერია B

### XXII ტური

### ტრევიზო 0:2 კიევო

0:1 მანფრედინი (53), 0:2 ფრანჩესკინი (88)

### ტერნანა 4:1 ჩიტადელა

0:1 ფერარეზე (7), 1:1 ფაბრისი (23), 2:1 ბორგობელო (30), 3:1, 4:1 გრაბი (57, 61)

### სალერნიტანა 2:0 მონცა

1:0 დი მიკელე (45პ), 2:0 პალმიერი (70)

### პისტოიეზე 3:1 სამპდორია

1:0 ბელოტო (33), 2:0 ამერინი (87), 2:1 ლუიზო (88), 3:1 რიკუტი (90)

### პიაჩენცა 1:0 რავენა

1:0 კაჩა (5)

### პესკარა 0:0 კალიარი

### ჯენოა 1:2 ემპოლი

0:1, 0:2 დი ნატალე (14, 73), 1:2 კარპარელი (78პ)

### კროტონე 1:2 კოზენცა

0:1 ძამპანა (11), 1:1 დეფლორიო (18), 1:2 პავონე (62)

### ანკონა 2:1 სიენა

1:0 მ. ვიერი (50), 2:0 პარენტე (57), 2:1 ტირიბოკი (89)

### ვენეცია — ტორინო

წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მეორე გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კიევო | 22 | 13 | 5 | 4 | 32:18 | 44 |
| პიაჩენცა | 22 | 12 | 4 | 6 | 29:16 | 40 |
| კოზენცა | 22 | 11 | 6 | 5 | 26:19 | 39 |
| ტერნანა | 22 | 10 | 7 | 5 | 33:23 | 37 |
| ტორინო | 21 | 11 | 4 | 6 | 27:22 | 37 |
| ვენეცია | 21 | 9 | 9 | 3 | 34:25 | 36 |
| კალიარი | 22 | 9 | 8 | 5 | 35:21 | 35 |
| სამპდორია | 22 | 8 | 10 | 4 | 30:21 | 34 |
| კროტონე | 22 | 10 | 4 | 8 | 27:28 | 34 |
| ანკონა | 22 | 9 | 6 | 7 | 26:23 | 33 |
| ემპოლი | 22 | 10 | 3 | 9 | 27:28 | 33 |
| სიენა | 22 | 7 | 8 | 7 | 29:27 | 29 |
| სალერნიტანა | 22 | 7 | 6 | 9 | 22:23 | 27 |
| ჩიტადელა | 22 | 6 | 9 | 7 | 27:33 | 27 |
| პისტოიეზე | 22 | 6 | 5 | 11 | 26:30 | 23 |
| ტრევიზო | 22 | 5 | 8 | 9 | 21:29 | 23 |
| ჯენოა | 22 | 4 | 8 | 10 | 20:27 | 20 |
| რავენა | 22 | 2 | 9 | 11 | 16:32 | 15 |
| პესკარა | 22 | 1 | 10 | 11 | 16:30 | 13 |
| მონცა | 22 | 3 | 3 | 16 | 20:48 | 12 |

## სერია C1/A

22-ე ტური: ალბინოლეფე — ალესანდრია 1:1; ალძანო — მოდენა 1:3; არეცო — სპალ 0:0; ჩეზენა — ლუკეზე 0:0; კომო — ვარეზე 1:0; ლოვორნო — ბრეშელო 4:0; ლუმეცანე — პიზა 2:0; რეჯანა — კარარეზე 0:1; სპეცია — ლეკო 0:1

## სერია C1/B

22-ე ტური: ასკოლი — დი სანგრო 2:0; ატლეტიკო — ჯულიანოვა 0:2; ფ. ანდრია — ბკილა 0:1; ნოჩერინა — აველინო 2:0; პალერმო — ლოდიჯანი 2:1; ტორესი — ფერმანა 0:0; სავოია — ბენევენტო 2:1; პეზარო — ვიტერბეზე 0:0. მესინა — კატანია წუხელ გვიან გაიმართა

იტალიის ჩემპიონატი
მეთვრამეტე ტურის მატჩი

VICENZA CALCIO 1902 — ACM 1899

## ვიჩენცა 2:0 მილანი

კახა კალაძე: 90 წუთი

# კალაძე და კიდევ სამი ექვსიანი

**„არ ვარგოდა.** მნიშვნელობა არ აქვს, რა კუთხით შევხედავთ ამ ამბავს. თამაშის შემდეგ გასახდელში ძალიან დიდხანს ვიდექით და ერთმანეთს ვეთანხმებოდით, რომ ასე გაგრძელება აღარ შეიძლება. ადრე მრავალჯერ დაგვიმტკიცებია, რომ თუნდაც ასეთი შემადგენლობით, გაცილებით უკეთ შეგვიძლია თამაში. „მილანი“ თავის ფეხბურთელებს ძალიან ფრთხილად და დიდი ყურადღებით არჩევს, ამიტომაც ის ფაქტი, რომ ბევრი დაშავებული გვყავს, ბევრს არაფერს ნიშნავს. ცხადია, მოთამაშეთა აბსოლუტურად ახალი ჯგუფით ბრძოლა იოლი არ არის, მაგრამ მაინც „ვიჩენცამ“ დღეს კარგი ფეხბურთი შემოგვთავაზა, მაგრამ ვიმეორებ, ჩვენ ვიყავით ძალიან სუსტნი“ — ამბობდა „ვიჩენცასთან“ სტუმრად 0:2 დამარცხების შემდეგ „მილანის“ მწვრთნელი ალბერტო ძაკერონი. შემდეგ განაგრძო:

„გალიანის ველაპარაკე, ის ძალიან გულნატკენი იყო. ფეხბურთელებმა კი მთხოვეს ვარჯიშები ისე დაგეგმე, ჩემპიონთა ლიგის მატჩისთვის საუკეთესოდ რომ ვიყოთ მზადო. როგორც ხედავთ, ჩვენ „ვიჩენცასთან“ შეხვედრას მთლად მობილიზებულნი ვერ შევხვდით“.

საქმე ის გახლავთ, რომ ძაკერონის რამდენიმე შეჯიბრებიდან მნიშვნელოვნის და შედარებით უმნიშვნელოს გამორჩევა არ უყვარს.

„მხოლოდ ერთ ფრონტზე ბრძოლა შეცდომა იქნებოდა. ჩვენ სერია A-ში ოთხეულში უნდა შევიდეთ და მიუხედავად იმისა, რომ ექვსი მძიმე მატჩი გადაგვხვდა, მიზანი ძალიან ახლოსაა“ — დასძინა მწვრთნელმა, რომელიც ტელეკომპანია „რაი უნოს“ ექსპერტებმა „ვიჩენცასთან“ შეხვედრის გამო 5,5 ქულით შეაფასეს.

ზემოთ ჩემპიონთა ლიგა ვახსენეთ და ბარემ დავაზუსტოთ: ოთხშაბათს „მილანს“ „პარი სენ ჟერმენთან“ ელის საშინაო შეხვედრა, მაგრამ მასში საქართველოს ნაკრების წევრი კახა კალაძე ვერ ითამაშებს, რადგან ამ სეზონში ლიგაში უკვე აქვს ნათამაშევი სხვა გუნდის, კიევის „დინამოს“ შემადგენლობაში.

გეხსომებათ, წინა შეხვედრაში კალაძემ ხსენებულ ექსპერტთაგან არცთუ ცუდი შეფასება მიიღო. იგივე განმეორდა ახლაც — მცველს 6 ქულა დაუწერეს, ისევე, როგორც კოკოს, ჯუნტისა და ლეონარდოს. უფრო მაღალი შეფასება დამარცხებულთაგან ვერავინ მიიღო.

აქ კიდევ ერთ გარემოებას გვინდა გავუსვათ ხაზი: მართალია ძაკერონის შეჯიბრებათა დახარისხება არ უყვარს, მაგრამ „ვიჩენცასთან“ მთავარი თავდამსხმელები, შევჩენკო და ბირჰოფი მხოლოდ მეორე ტაიმის შუაშიღა შეიყვანა მოედანზე.

„მილანის“ კარში პირველი გოლი „ინტერის“ ყოფილმა ფეხბურთელმა, ფრანგმა უსმან დაბომ ჯარიმით გაიტანა. ამბროზინის, ალბერტინის, შამოტის, კოსტაკურტას, გატუზოს, მალდინისა და რედონდოს გარეშე მოთამაშე მილანელებმა „ვიჩენცას“ გოლკიპერი ჯორჯო სტერკელე დიდად ვერც ამის შემდეგ შეაწუხეს. ასე განსაჯეთ, მათი შეტევა ვერც შევჩენკოსა და ბირჰოფის გამოჩენის შემდეგ გამწვავდა, რაც, საბოლოოდ, იმით დასრულდა, რომ ძაულის პასით ტონიმ საუცხოო მეორე გოლი გაიტანა.

**ბაჩუნა ძიძია**

# გახდა დუქინი, დარჩა დუქინი

## შოტლანდია

XXVIII ტური

**სელტიკი 1:0 რეინჯერსი**

1:0 ტომპსონი (17)
სელტიკი: დუგლასი, ბოიდი, მიალბი (ტებილი 54), ვეგა, აგატი, ტომპსონი, ლამბერტი, ლენონი, პეტა, ლარსონი, სატონი
მწვრთნელი: მარტინ ონილი
რეინჯერსი: კლოსი, კონტერმანი, მალკოლმი, უილსონი, ნუმანი, რიკსენი, ფერგიუსონი, ალბერტცი (ჯონსტონი 63), მაკკანი, ფლო, მილერი (თუგაი 46)
მწვრთნელი: დიკ ადვოკაატი
გაფრთხილება: პეტა, რიკსენი, კონტერმანი
გაძევება: რიკსენი (45)
59 496 მაყურებელი

**სენტ ჯონსტონი 1:2 კილმარნოკი**

0:1 დარგო (70), 1:1 კონოლი (88), 1:2 კანერო (90)

**დანფერმლაინი 3:1 დანდი იუნ.**

1:0 პემბერი (49), 1:1 ლილი (55), 2:1 დიკუიზენი (82), 3:1 მოსი (85)

**ჰიბერნიანი 4:2 სენტ მირენი**

1:0 სოზე (17), 1:1, 1:2 ჟილიე (44პ, 51), 2:2, 3:2 ზიტელი (59, 61), 4:2 ლატაპი (80)

**მოზერუელი 0:1 აბერდინი**

0:1 იანგი (88)

**დანდი — ჰარტსი**

გადაიდო



REUTERS

სელტიკი — რეინჯერსი 1:0. შეიყარა ორი სქოთი: პოლ ლამბერტი (№14) და სტუმარი ბარი ფერგიუსონი

**სქოთური** პრემიერლიგის დამთავრებამდე 12 ტურით ადრე „სელტიკსა“ და „რეინჯერსს“ შორის სხვაობა 12 ქულამდე გაიზარდა და ფაქტობრივად, ჩემპიონის ვინაობაც გაირკვა.

თუმცა ამაზე „სელტიკში“ ხმამაღლა ჯერ არ საუბრობენ. „თვალი ფხიზლად უნდა გვეჭიროს. გამოვითვალე, ახლა ზედიზედ რვა თამაშიც რომ მოვიგოთ, დე-იურე ჩემპიონობისთვის საკმარისი არც მაშინაა“ — ამბობს ლიდერის მწვრთნელი მარტინ ონილი. „ბრძოლა ჯერ არ დამთავრებულა“ — თავკაცს მხარს უბამს გლაზგოს ერთ ნაწილში გმირად ქცეული ინგლისელი ალან ტომპსონი.

სწორედ „ასტონ ვილადან“ მიმდინარე სეზონში ნაყიდი ამ ნახევარმცველის ზუსტმა დარტყმამ გადაწყვიტა მორიგი „ოლდ ფირმ“ დერბის ბედი: ჰენრიკ ლარსონი მეკარესთან პირისპირ დარჩა, თუმცა ბოლო მომენტში საიდანღაც გამომძვრალმა იორგ ალბერტცმა მოახერხა შვედის ფეხებში ჩახტომა და ბურთის მოგერიება, რომელიც ტომპსონს მიუვიდა. ამანაც ზუსტად დაარტყა. „გადასარევი შეგრძნებაა, როცა ასეთ მატჩში გოლი გაგაქვს“ — თქვა მატჩის შემდეგ გადამწყვეტი გოლის ავტორმა.

კელტებს შეეძლოთ ანგარიშის გაზრდა, თუნდაც იმავე ტომპსონს, შვეიცარიელმა რამონ ვეგამ გაიტანა კიდეც, მაგრამ, მანამდე მცველს ხელი ჰკარიო და, არ ჩაუთვალეს. საერთოდ, ლიდერის უპირატესობა თვალშისაცემი იყო. ეტყობოდა, რომ ტრავმებითა და დისკვალიფიკაციებით გატანჯულ „რეინჯერსზე“ შუა კვირაში ლიგის თასის ნახევარფინალში მარცხს დიდად ემოქმედა. მხოლოდ ერთხელ, 64-ე წუთზე შეეძლოთ „პარკჰედის“ სტუმრებს 60 ათასი კაცის დადუმება, მაგრამ კონტერმანის უძლიერესი დარტყმა მიზანს ოდნავ ასცდა.

და გაძევება? ცხადია იყო, აბა, გლაზგოური დერბი ისე როგორ ჩაივლიდა: რეინჯერსელმა ჰოლანდიელმა ფერნანდო რიკსენმა პირველივე ტაიმში მოასწრო ორი გაფრთხილების მიღება (ჯერ ვეგასთან, ტაიმის ბოლო წუთზე კი ტომი ბოიდთან უხეშობისთვის) და შესაბამისად, გასახდელის გზას სხვებზე ადრე გაუყვა.

და მაინც, ათკაციანმა „რეინჯერსმა“ ბოლომდე იბრძოლა. „მთელი 90 წუთი დანის წვერზე დავდიოდით. მეტოქე ვერაფრით ჩავკალით, მაშინაც კი, როცა რიცხვნაკლულნი დარჩნენ“ — შეაქო მეტოქე ონილმა.

მატჩი ასეც დამთავრდა — 1:0, ტომპსონი კი, ვინც მეორე წრის დერბიში გააძევეს და მაშინ მისმა გუნდმა 1:5 წააგო, გმირად შერაცხეს.

ისე, ჩემპიონობა ხელიდან საბოლოოდ გავუშვითო, არც „რეინჯერსის“ მწვრთნელ დიკ ადვოკაატს უთქვამს, მაგრამ ისეთი რამ წამოცდა, განუცხადებელი გაცხადდა — ჯერჯერობით მეორე ადგილი უნდა დავიპყროთ მყარადო.

რაც შეეხება გიორგი ნემსაძის „დანდის“, მოყინული მოედნის გამო მისი შეხვედრა „ჰარტსთან“ გადაიდო. შედეგად, დანდელებს დამატებით ორი დღე მიეცათ გუშინდელი სათასო მატჩისთვის მოსამზადებლად.

**გიგა ძოწენიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 26 | 22 | 3 | 1 | 70:21 | 69 |
| ჰიბერნიანი | 27 | 17 | 7 | 3 | 49:18 | 58 |
| რეინჯერსი | 26 | 18 | 3 | 5 | 53:25 | 57 |
| კილმარნოკი | 27 | 13 | 4 | 10 | 34:36 | 43 |
| ჰარტსი | 28 | 10 | 7 | 11 | 38:40 | 37 |
| დანფერმლაინი | 27 | 9 | 7 | 11 | 26:34 | 34 |
| მოზერუელი | 27 | 9 | 5 | 13 | 33:41 | 32 |
| დანდი | 26 | 8 | 7 | 11 | 37:33 | 31 |
| სენტ ჯონსტონი | 27 | 7 | 10 | 10 | 27:38 | 31 |
| აბერდინი | 25 | 5 | 9 | 11 | 25:40 | 24 |
| სენტ მირენი | 27 | 4 | 3 | 20 | 19:54 | 15 |
| დანდი იუნ. | 27 | 3 | 5 | 19 | 21:52 | 14 |

## ბელგია

XXII ტური

**სტანდარდი 2:0 მეხელენი**

1:0 აარსტი (43პ), 2:0 იობო (88)

**გენკი 1:0 ბევერენი**

1:0 ზანი (82პ)

**ლიერსი 2:0 შარლერუა**

1:0 ვან მეირი (15პ), 2:0 პიუსგემსი (62)
ლიერსი: დემანი, სმეეტსი, ვან მეირი, დაემსი, შიხილაძე, სნოექსი, კლაესი, სპიტერი (პიუსგემსი 57), კავენსი (პოფკენსი 72), მარდულიე, კარლოს ალბერტო (ლაერემანსი 77)
მწვრთნელი: ვალტერ მეუსი
7 200 მაყურებელი

**ლოკერენი 2:0 აალსტი**

1:0 ვონასეკი (60), 2:0 ბანგურა (77)
აალსტი: კუიოვიჩი, დე საედელერი, არტსი, ფილიპოვიჩი, ვან დენ ბოში, ტემერმანი, რეიჯელი, ქესტერსი (ვან ჰაუვერენი 64), ტიბო, დე ვილდე (ჯაკობია 64; ალბრეხტი 88), როჯერიო
მწვრთნელი: ვიმ დე კონინკი
გაფრთხილება: ჯაკობია
4 500 მაყურებელი

**მუსკრონი 1:0 სენტ ტრუიდენი**

1:0 მარჩინ ჟევლაკოვი (23)

**გენტი 3:1 ვესტერლო**

1:0 სხეპენსი (2), 2:0 პოსამი (12), 2:1 უილმსენი (30), 3:1 იოლი (70)

**ბეერსხოტი 2:1 ჰარელბეკე**

1:0 დაგანო (50), 2:0 კულინა (88), 2:1 ტომპსონი (89)

**ლუვიე 1:1 ბრიუგე**

0:1 მენდოსა (47), 1:1 ტურაჩი (52)

**ანდერლეხტი 2:0 ანტვერპენი**

1:0 რაძინსკი (23პ), 2:0 დეედენი (50)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ანდერლეხტი | 21 | 18 | 3 | 0 | 62:16 | 57 |
| ბრიუგე | 21 | 16 | 4 | 1 | 61:16 | 52 |
| სტანდარდი | 22 | 12 | 6 | 4 | 53:25 | 42 |
| გენტი | 21 | 12 | 5 | 4 | 42:30 | 41 |
| მუსკრონი | 22 | 11 | 4 | 7 | 45:30 | 37 |
| ვესტერლო | 21 | 11 | 4 | 6 | 41:31 | 37 |
| ბეერსხოტი | 22 | 11 | 2 | 9 | 40:31 | 35 |
| ლიერსი | 22 | 10 | 4 | 8 | 35:29 | 34 |
| ლოკერენი | 22 | 9 | 7 | 6 | 33:30 | 34 |
| შარლერუა | 22 | 10 | 3 | 9 | 36:40 | 33 |
| ბევერენი | 22 | 8 | 5 | 9 | 21:40 | 29 |
| გენკი | 22 | 7 | 6 | 9 | 27:32 | 27 |
| ანტვერპენი | 22 | 7 | 2 | 13 | 25:34 | 23 |
| აალსტი | 22 | 5 | 4 | 13 | 22:48 | 19 |
| ჰარელბეკე | 22 | 5 | 1 | 16 | 27:62 | 16 |
| სენტ ტრუიდენი | 22 | 3 | 4 | 15 | 20:41 | 13 |
| მეხელენი | 22 | 2 | 5 | 15 | 27:53 | 11 |
| ლუვიე | 22 | 1 | 7 | 14 | 15:44 | 10 |

## ჰოლანდია

XXI ტური

**ფეიენოორდი 1:0 გრონინგენი**

1:0 სხონმაკერსი (73ს.კ.)

**უტრეხტი 1:1 ნაიმეგენი**

1:0 გლუშკოვიჩი (60), 1:1 ხრისტოვი (70)

**ვალვაიკი 3:0 ვიტესი**

1:0 რიდენი (10), 2:0 ვან ლონჰუტი (58), 3:0 პუგენდორპი (87)

**როდა 2:1 როზენდალი**

1:0 ლიუპერსი (22), 2:0 ტორმა (38), 2:1 ვოსი (88)

**აიაქსი 1:1 ტილბურგი**

0:1 სესაი (23), 1:1 მატისენი (59ს.კ.)
აიაქსი: გრიმი, დე კლერი, პასანენი, კოფუ პ კანუ, ვან დერ გუნი, გალაშეკი, ვან დერ ვაარტი, ვამბერტო (პერსი 87), შ. არველაძე, მახლასი
მწვრთნელი: კო ადრიანსე
33 500 მაყურებელი

**პსვ ეინდჰოვენი 3:0 ალკმარი**

1:0 კეჟმანი (24), 2:0 ბრუგინკი (30პ), 2:1 ელ ბადრიუ (31), 3:1 კეჟმანი (78)
პსვ ეინდჰოვენი: ვატერეუსი, ოიერი, ნიკოდოროვი, ფაბერი, ჰაინცე (ბუმა 46), ვოგელი, ვან ბომელი, რომედალი, კოლკა (რამზი 73), ბრუგინკი (დე იონგი 71), კეჟმანი
მწვრთნელი: ერიკ გერეტსი
31 000 მაყურებელი

**გრააფსხაპი 2:1 სპარტა**

1:0 ფუხსი (36პ), 1:1 ელხატაბი (49), 2:1 პრომისი (51)

**ბრედა — ტვენტე**

მატჩი მე-60 წუთზე 0:0-ზე ჩაიშალა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფეიენოორდი | 21 | 17 | 1 | 3 | 47:17 | 52 |
| პსვ ეინდჰოვენი | 21 | 15 | 5 | 1 | 45:12 | 50 |
| ვიტესი | 21 | 11 | 5 | 5 | 40:34 | 38 |
| აიაქსი | 19 | 10 | 4 | 5 | 46:25 | 34 |
| როდა | 20 | 10 | 3 | 7 | 37:27 | 33 |
| ვალვაიკი | 20 | 9 | 6 | 5 | 25:16 | 33 |
| ტილბურგი | 21 | 8 | 7 | 6 | 33:27 | 31 |
| ნაიმეგენი | 21 | 6 | 11 | 4 | 29:25 | 29 |
| უტრეხტი | 19 | 8 | 4 | 7 | 35:31 | 28 |
| ბრედა | 19 | 8 | 3 | 8 | 28:32 | 27 |
| ტვენტე | 19 | 6 | 6 | 7 | 31:34 | 24 |
| ალკმარი | 20 | 6 | 5 | 9 | 28:38 | 23 |
| ჰერენვენი | 19 | 5 | 7 | 7 | 21:28 | 22 |
| გრონინგენი | 20 | 6 | 4 | 10 | 25:33 | 22 |
| გრააფსხაპი | 20 | 5 | 2 | 13 | 26:39 | 17 |
| სპარტა | 21 | 3 | 4 | 14 | 25:44 | 13 |
| როზენდალი | 21 | 4 | 1 | 16 | 27:58 | 13 |
| სიტარდი | 20 | 2 | 6 | 12 | 14:42 | 12 |

## პორტუგალია

თასის მეოთხედფინალი

**ფეირეირა 1:2დდ. (1:1) მარიტიმუ**

1:0 ზე მანელი (32), 1:1 ა. იოკანოვიჩი (69პ), 1:2 ბაკერო (106)

**მორეირენსე (II) 1:2 ბოავიშტა**

0:1 მარტელინიუ (22), 0:2 პედრუ სანტუში (34), 1:2 არმანდო (63)

**ბრაგანსა (II) 1:2 პორტუ**

0:1 შაინიუ (19), 0:2 კლეიტონ კრუზი (74), 1:2 ბრაგანჯა (30)

## თურქეთი

მე-20 ტური: ტრაბზონი — სამსუნი 3:2; ადანა — იეთფა 0:2; ანკარაგიუჯიუ — ისთანბული 1:1; გალათასარაი — ბურსა 2:1; გაზიანთეფი — ქოჯაელი 0:0; ანთალია — იოზგათი 1:1; რიზე — ბეშიქთაში 5:1; ერზერუმი — დენიზლი 2:2; ფენერბაჰჩე — გენჩლერბირლიგი 3:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გალათასარაი | 20 | 14 | 3 | 3 | 44:16 | 45 |
| ფენერბაჰჩე | 20 | 14 | 3 | 3 | 50:23 | 45 |
| ბეშიქთაში | 20 | 12 | 4 | 4 | 43:32 | 40 |
| გაზიანთეფი | 20 | 10 | 7 | 3 | 41:25 | 37 |
| ტრაბზონი | 20 | 10 | 5 | 5 | 41:28 | 35 |
| გენჩლერბირ. | 20 | 10 | 3 | 7 | 27:26 | 33 |
| სამსუნი | 20 | 8 | 5 | 7 | 33:30 | 29 |
| დენიზლი | 20 | 7 | 7 | 6 | 27:31 | 28 |
| ისთანბული | 20 | 7 | 6 | 7 | 27:28 | 27 |
| ანკარაგიუჯიუ | 20 | 6 | 8 | 6 | 27:33 | 26 |
| რიზე | 20 | 7 | 4 | 9 | 27:22 | 25 |
| იოზგათი | 20 | 6 | 7 | 7 | 27:25 | 25 |
| ანთალია | 20 | 6 | 6 | 8 | 28:34 | 24 |
| ბურსა | 20 | 4 | 6 | 10 | 25:41 | 18 |
| ადანა | 20 | 2 | 8 | 10 | 29:41 | 14 |
| ქოჯაელი | 20 | 2 | 8 | 10 | 22:37 | 14 |
| ერზერუმი | 20 | 3 | 4 | 13 | 23:49 | 13 |
| იეთფა | 20 | 2 | 6 | 12 | 23:43 | 12 |

## საფრანგეთი

თასის მერვედფინალი

ანჟერი (II) — სტად რეიმსი (III) 0:0 (პენ. 8:9); ბორდო — ნანტი 0:1; ლევალუა (IV) — ვასკუალი (II) 0:1; კლერმონი (III) — სტრასბური 0:1; შატორუ (II) — მარსელი 1:0; ბასტია — მეცი 4:1; პარი სენ ჟერმენი — ოსერი 0:4; ამიენი (II) — რენი 3:1; ფონტენეი (IV) — სედანი 1:0; სენი (მოყვ.) — ტრუა 1:3; კარკასონი (მოყვ.) — სეტი (IV) 2:1; სენტ ომერი (მოყვ.) — გრენობლი (III) 0:2დდ. (0:0); ვალანსი (III) — ბულონი (IV) 3:2დდ. (1:1); ლა როშ-სიურ-იონი (II) — ლე მანი (II) 1:3დდ. (1:1); ვანი (IV) — სენ ჟორჟი (მოყვ.) 1:0; ლიონი — სენტ ეტიენი 1:1 (პენ. 4:3)

## საბერძნეთი

მე-18 ტური: არისი — პანათინაიკოსი 1:0; ათინაიკოსი — პანაჰაიკი 3:1; ეთნიკოსი — აეკ 0:3; ქსანთი — იანინა 0:0; ოფი — პანილიაკოსი 2:2; ირაკლისი — კალამატა 1:0; იონიკოსი — ოლიმპიაკოსი 0:1; პანიონიოსი — პაოკ 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 18 | 15 | 2 | 1 | 56:14 | 47 |
| პანათინაიკოსი | 18 | 11 | 5 | 2 | 30:10 | 38 |
| აეკ | 18 | 11 | 3 | 4 | 36:24 | 36 |
| პაოკ | 18 | 9 | 6 | 3 | 41:29 | 33 |
| ირაკლისი | 18 | 10 | 3 | 5 | 27:18 | 33 |
| იონიკოსი | 18 | 7 | 7 | 4 | 28:25 | 28 |
| არისი | 18 | 8 | 4 | 6 | 21:19 | 28 |
| ქსანთი | 18 | 7 | 4 | 7 | 11:16 | 25 |
| პანიონიოსი | 18 | 4 | 10 | 4 | 20:21 | 22 |
| ეთნიკოსი | 18 | 6 | 3 | 9 | 20:34 | 21 |
| იანინა | 18 | 4 | 5 | 9 | 23:33 | 17 |
| პანილიაკოსი | 18 | 3 | 7 | 8 | 15:26 | 16 |
| ათინაიკოსი | 18 | 4 | 3 | 11 | 25:38 | 15 |
| პანაჰაიკი | 18 | 3 | 5 | 10 | 21:32 | 14 |
| კალამატა | 18 | 1 | 7 | 10 | 21:38 | 10 |
| ოფი | 18 | 1 | 6 | 11 | 17:35 | 9 |

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

## აზია

IV ჯგუფი. III ტური

**ქუვეითი 3:0 ყირგიზეთი**

1:0, 2:0 ალ უვაიდი (61, 85), 3:0 ალ მუტაირი (90)

**სინგაპური 1:2 ბაჰრეინი**

0:1, 0:2 ალ საიდი (15, 25), 1:2 ნურ ალი (65)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ქუვეითი | 3 | 2 | 1 | 0 | 6:2 | 7 |
| ბაჰრეინი | 3 | 2 | 0 | 1 | 4:3 | 6 |
| ყირგიზეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 1:4 | 3 |
| სინგაპური | 3 | 0 | 1 | 2 | 2:4 | 1 |

X ჯგუფი. II ტური

**ვიეტნამი 1:0 მონღოლეთი**

1:0 ჰონგ სონი (90პ)

**საუდეთი 3:0 ბანგლადეში**

1:0 ალ მეჰლი (30), 2:0 ალ ჯაბერი (63), 3:0 ალ მეჰლი (85)

III ტური

**ბანგლადეში 3:0 მონღოლეთი**

1:0, 2:0 ამადი (41, 60), 3:0 როკონუზანი (85)

**საუდეთი 5:0 ვიეტნამი**

1:0 ალ მეჰალი (17), 2:0, 3:0 ალ ჯაბერი (29პ, 70), 4:0 ალ მეჰალი (88), 5:0 ალ ჯაბერი (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საუდეთი | 3 | 3 | 0 | 0 | 14:0 | 9 |
| ბანგლადეში | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 |
| ვიეტნამი | 3 | 1 | 1 | 1 | 1:5 | 4 |
| მონღოლეთი | 3 | 0 | 0 | 3 | 0:10 | 0 |

## არგენტინა

კლაუსურა

1-ლი ტური: რივერ პლეიტი — ესტუდიანტესი 6:2; არგენტინოს ხუნიორსი — ბოკა ხუნიორსი 2:2; ხიმნასია (ლა პლატა) — სან ლორენსო 2:3; ნიუელს ოლდ ბოიზი — ლოს ანდესი 2:1; რასინგი — ტალერესი 0:1; ურაკანი — კოლონი 1:3; უნიონი — ჩაკარიტა ხუნიორსი 3:0; ბელგრანო — ინდეპენდიენტე 0:0; ლანუსი — ველეზ სარსფილდი 0:0

# ძოფის და ლიგის დაბრუნება

CHAMPIONS LEAGUE

## დღეს ჩემპიონთა ლიგა. II ეტაპი. III ტური

*„ლაციო" მადრიდში ჩავიდა. მას ჯგუფში ჯერ ერთი ქულაც არ მოუხვეჭია და უკან-დასახევი გზაც მოჭრილი აქვს. გუნდს ახალი მწვრთნელი ჰყავს, რომელსაც დამარცხების სიმწარე ჯერ არ უგემია. 19 წლის წინ ამ სტადიონზე მან მსოფლიოს თასი აღმართა. ამის შემდეგ დინო ძოფი „სანტიაგო ბერნაბეუზე" პირველად შეაბიჯებს, ხოლო ევროპას ჩემპიონთა ლიგა 69-დღიანი შესვენების შემდეგ უბრუნდება.*

### C ჯგუფი

**ბაიერნი — სპარტაკი**

რუსეთის ჩემპიონ „სპარტაკს" უკვე ორი თვეა ოფიციალური მატჩი არ ჩაუტარებია. დროის ამ მონაკვეთში „წითლები" რამდენიმე უცხოური შეკრებით, ამხანაგური შეხვედრებითა და ესენგეს თასის მოგებით შემოიფარგლნენ. სტატისტიკოსებმა ისიც დაითვალეს, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსულ გუნდს სეზონი ასე ადრე ჯერ არ დაუწყია.

ბოლო დღეები „სპარტაკმა" თურქეთში გაატარა, გუშინ შუადღისას კი ჩარტერული რეისით მიუნხენს ესტუმრა და იქაური დროით საღამოს ექვს საათზე მსუბუქადაც წაივარჯიშა.

„მოსკოველებს სახიფათო გუნდი ჰყავთ და მათი შეუფასებლობა დიდი შეცდომაა — ამბობს „ბაიერნის" მეკარე ოლივერ კანი — ვფიქრობ, ისინი ჩვენი ჯგუფის ფავორიტები არიან..."

„ბაიერნმა" ბუნდესლიგის ბოლო ტურში, სამხრეთულ დერბიში, ბრაზილიელი ჯოვანი ელბერის ადრეული გოლით „შტუტგარტს" 1:0 მოუგო. მწვრთნელმა ოტმარ ჰიცფელდმა სასტარტოში არ გამოიყვანა მეჰმეთ შოლი, მის მაგიერ მაყურებელმა პაულო სერჟიო იხილეს. დაასვენა ჰასან სალიჰამიჯიჩიც, რომელსაც მანამდე სეზონში მხოლოდ ერთი მატჩი გამოეტოვებინა. მის ადგილზე ბიქსენტე ლიზარაზუმ ითამაშა. ლიბეროდ კი ისევ იენს იერემისი გაამწესა.

„სპარტაკთან" გერმანელებს გრიპშეყრილი ალექსანდერ ციკლერი არ ეყოლებათ. სათადარიგოთა სკამზე იჯდება ჰიცფელდისგან ბოლო დროს ათვალწუნებული შვეიცარიელი ჩირიაკო სფორცაც. მოსკოველებს კი უკრაინელი დმიტრი პარფიონოვი, შემტევი ალექსანდრ შირკო, ნახევარმცველები მაქსიმ კალინიჩენკო და არტიომ ბეზროდნი დააკლდებათ. რუსებს განსაკუთრებით დისკვალიფიცირებული პარფიონოვის პრობლემა აღარდებთ, რადგან მისი სრულფასოვანი შემცვლელი არ ჰყავთ. სამაგიეროდ, თავდასხმის ხაზში, შესაძლოა „წითლების" ახალწვეული უზბეკი ჯაფარ ირისმეტოვივიხილოთ, რომელიც ამ ზამთარს „დუსტლიკიდან" გადაიბირეს და ესენგეს თასზეც ათამაშეს.

„ბაიერნთან" „სპარტაკს" ისე არ გაუჭირდება, როგორც „ლიონთან" — ამბობს მოსკოველთა მწვრთნელი ვიაჩესლავ გროზნი — ფრანგები უფრო სწრაფები არიან, მიუნხენლებს კი უკან იერემისი ეყოლებათ, რომელსაც შეტევაში ჩართვა უყვარს. ამით ჩვენმა ბიჭებმა უნდა ისარგებლონ. ასე ვიტყოდი: „ბაიერნი" გაცილებით მაღალი კლასის გუნდია, მაგრამ ჩვენთვის „ლიონი" უფრო უხერხული მეტოქე იყო."

შეგახსენებთ, რომ შარშან 5 დეკემბერს ამ ჯგუფის მეორე ტურის მატჩში, საფრანგეთში რიხით ჩასულ „სპარტაკს" „ლიონმა" შავი დღე აყარა, 3:0 მოუგო და მოსკოვში თავლაფდასხმული გაუშვა.

„შტუტგარტთან" მცველების თამაშით კმაყოფილი დავრჩი, შეტევაში კი გაგვიჭირდა — თქვა ოტმარ ჰიცფელდმა — თუმცა, მთავარია, რომ მოვიგეთ და „სპარტაკთან" მატჩს ჩინებული განწყობით ვხვდებით.



AP მადრიდიდან

მადრიდში ჩასული „ლაციოს" არგენტინელი ერნან კრესპო ჟურნალისტების ალყაში მოექცა

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ბაიერნი:** კანი, კუფური, იერემისი, ლინკე, სანიოლი, ლიზარაზუ, ფინკი, ეფენბერგი, სალიჰამიჯიჩი, შოლი, ელბერი

**სპარტაკი:** ფილიმონოვი, კოვტუნი, ჩუისე, ანანკო, ბარანოვი, ბულატოვი, ტიტოვი, კალინიჩენკო (ან ირისმეტოვი), მიტრეისკი, მარკაო, რობსონი

**მსაჯი:** კნუდ ერიკ ფისკერი (დანია)

**ლიონი — არსენალი**

„ფავორიტი, ალბათ „არსენალია", თუმცა ჩვენც მოვინდომებთ და ვეცდებით თავი არ შევირცხვინოთ" — თქვა გუშინდელ პრესკონფერენციაზე „ლიონის" მეკარე გრეგორი კუპემ.

ლიონელები ხერხს მიმართავენ. მათთვის ლიგის მეორე ჯგუფურ ეტაპზე თამაში უკვე დიდი მიღწევაა. ამიტომ ზედმეტს აღარ ნერვიულობენ და ფავორიტებად ერთთავად მოწინააღმდეგეს აცხადებენ, მაგრამ რაც მათ „სპარტაკს" დამართეს...

ბოლო დღეებში ლიონელებმა ორი რთული მატჩი გამართეს. ჩემპიონატში „მარსელს" დაუზავდნენ (1:1) და თასის მეთექვსმეტედფინალში „სენტ ეტიენს" პენალტებით მოუგეს (4:3). სათასო შეხვედრა გამოტოვეს მარკ ვივიენ ფოემ, ერიკ დეფლანდრემ და პატრიკ მიულერმა. დღეს ისინი ძირითადში იქნებიან. საბრძოლველადაა განწყობილი ლიონელთა კაპიტანი, ბრაზილიელი სონი ანდერსონიც.

ლონდონელებს კი ტიერი ანრის გამოჯანმრთელება ახარებთ. ფრანგს ბოლო დროს მსუბუქი ტრავმა აწუხებდა და მწვრთნელი არსენ ვენგერი შეგნებულად ასვენებდა. „იფსვიჩთან" შაბათის მატჩში კი ათამაშა და გაუმართლა კიდეც, მეთოფეებმა სწორედ ანრის გოლით გაიმარჯვეს: „ტიერიმ მხოლოდ რამდენიმე დღეა რაც სრულფასოვნად ვარჯიში დაიწყო და სასიხარულოა, რომ ასე ჩინებულად ითამაშა" — განაცხადა ვენგერმა და დაამატა, რომ „ლიონთან" მატჩი მათთვის უმნიშვნელოვანესი და ლამის გადამწყვეტიცაა.

დღეს მეთოფეებს არ ეყოლებათ დენის ბერხკამპი. მოგეხსენებათ, ჰოლანდიელს თვითმფრინავით მგზავრობისა ეშინია და ლიონში მანქანით წასვლას აპირებდა, მაგრამ ვენგერმა ის ლონდონში დატოვა და თქვა, ამჯერად თავდასხმაში ანრის მეორე ფრანგს, სილვენ ვილტორდს შევუწყვილებო.

ასე რომ, ფრანგები ფრანგების წინააღმდეგ...

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ლიონი:** კუპე, დეფლანდრე, მიულერი, ედმილსონი, ბრეშე, ლეგლი (ან მალბრანკი), ფოე, ვიოლო, დორასო, მარლე, ს. ანდერსონი

**არსენალი:** სიმენი, დიქსონი, ადამსი, სტეპანოვსი, სილვინიო, პარლოუ, ვიეირა, გრიმანდი, პირესი, ანრი, ვილტორდი

**მსაჯი:** ურს მაიერი (შვეიცარია)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| ლიონი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:1 | 3 |
| სპარტაკი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:4 | 3 |
| არსენალი | 2 | 0 | 1 | 1 | 3:6 | 1 |

### D ჯგუფი

**რეალი — ლაციო**

ერთი წაგებაც და „ლაციოსთვის" ჯგუფიდან გასვლა ეგებ აუხდენელ ოცნებად იქცეს, ამიტომ, თქმაც არ უნდა, რას ნიშნავს ეს მატჩი რომაელთათვის. მომხვდურთა (თან ასეთი ძალის გუნდის) ამგვარი განწყობა ბევრ მასპინძელს მუხლებს აუკანკალებდა, მაგრამ ეს „რეალზე" არ ითქმის — ასე რომ იყოს, „რეალი" „რეალი" არ იქნებოდა. სწორედ ეს სიტყვები თქვა დინო ძოფმა მადრიდში გამგზავრების წინ.

„ლაციოს" პრობლემები აქვს. გუნდს ვერაფრით დაეხმარებიან დინო ბაჯო და კარელ პობორსკი, რომლებსაც ამ სეზონში უკვე უთამაშიათ ევროტურნირზე სხვა გუნდებთან ერთად. იუგოსლაველი ნახევარმცველი დეიან სტანკოვიჩი კი დისკვალიფიცირებულია, მაგრამ რომაელთა უგრძელესი სათადარიგოთა სკამის ამბავიც ხომ მოგეხსენებათ. ბაჯოს დიეგო სიმეონე შეცვლის, რომელიც „რეალს" კარგად იცნობს, ერთ დროს „ატლეტიკოში" თამაშობდა, პობორსკის მაგიერ კი ძოფს არგენტინელი ახალწვეული ლუკას მარტინ კასტრომანი ეგულება. შეტევაში კიდევ ერნან კრესპო და მარსელო სალასი — რითი არაა „ლაციო" ძლიერი გუნდი?

ვისენტე დელ ბოსკეს უფრო სხვა ყაიდის პრობლემები აქვს — ვინ შეუწყვილოს რაულს? სანამ მორიენტესი დამტვრეული გახლდათ, პრობლემა არც არსებობდა, გუტი კარგად ირჯებოდა და გოლებიც ბლომად გაჰქონდა. მაგრამ ახლა როგორი საქმეა მორიენტესის შემადგენლობიდან ამოგდება. ყველაფერი ფიგუმ გადაწყვიტა. დელ ბოსკემ, ფიგუს და მორიენტესს უკეთ ესმით ერთმანეთისო, ვიდრე ფიგუს და გუტისო და არჩევანიც გააკეთა.

და კიდევ. გახსოვთ, როგორ ელოდებოდნენ ბილბაოელები „რეალის" ჩასვლას „ბარსელონასთან" შერცხვენის შემდეგ? ჰოდა, იკერ კასილიასიც ასევე ელის „ლაციოს". პრიმერადივიზიონის ბოლო ტურში გაშვებულ გოლს ყმაწვილ მეკარეს აბრალებენ, ჰოდა, ისიც ელის.

**სავარაუდო შემადგენლობები**

**რეალი:** კასილიასი, სალგადო, რობერტო კარლოსი, იერო, კარანკა, მაკელელე, ელგერა, მაკმანამანი, ფიგუ, რაული, მორიენტესი

**ლაციო:** პერუცი, ნეგრო, ნესტა, ფერნანდეშ კოუტუ, ბანკარო, კასტრომანი, სიმეონე, ნედვედი, ვერონი, კრესპო, სალასი

**მსაჯი:** ჟილ ვესიე (საფრანგეთი)

**ლიდსი — ანდერლეხტი**

რა კარგ დროს დაგვიბრუნდა ჰარიო, ამბობდნენ ბოლო პრემიერლიგური მატჩის შემდეგ ლიდსელები და ჩემპიონთა ლიგის მოახლოვებულ შეხვედრაზე ბჭობდნენ.

ჰარი კიუელმა, რომელსაც გაჭიანურებული ტრავმის გამო ექვსი თვე გაუცდა, დეკემბერში სცადა მინდორზე დაბრუნება, მაგრამ ისევ სამკურნალო შეიქნა, ახლა კი „დერბისთან" 30 წუთი ითამაშა. მისმა თანაგუნდელმა ოლივიე დაკურმა თქვა, უპრინციპულეს მატჩებს ჰარისნაირი ბიჭები იგებენ და „ანდერლეხტთან" მატჩი სწორედ ასეთიაო.

კიუელის დაბრუნებით დევიდ ოლირიც დიდად კმაყოფილი დარჩა და შეგირდზე განაცხადა, შედეგს მისი ინდივიდუალური გაბრწყინებით უნდა მივაღწიოთო, მაგრამ...

თუ თვალი სავარაუდო შემადგენლობებისკენ გაგექცათ, რამდენჯერმე გადაიკითხეთ და კიუელის გვარს მაინც ვერ მიაკვლიეთ, ნუ გაიოცებთ, ოლირი განმარტავს: „კიუელმა შაბათს მხოლოდ 30 წუთი ითამაშა და ჯერჯერობით ეს მისი მაქსიმუმია. შეუძლებელია, კაცს ამხელა შესვენების მერე 90 წუთი თამაში მოსთხოვო, მას ხომ ერთი საკონტროლო მატჩიც არ ჩაუტარებია, ტრავმა მოიშუშა და ეგრევე მინდორზე გავუშვით. ამიტომ ჰარი თავიდან სათადარიგოებში მეყოლება და ბოლოსკენ ვათამაშებ".

„ლიდსს" დღეს ტრავმირებული ჯონათან ვუდგეიტი და გარი კელი არ ეყოლება, ხოლო ლი ბოიერი შარშანდელი ჩხუბისთვის სასამართლოშია დაბარებული და ფიქრობენ, რომ თამაშამდე უსიამოვნო პროცედურას მოათავებს.

ინგლისელთა მეტოქეს დღეს ერთგვარი იუბილე აქვს — ევროტურნირებზე 250-ე მატჩს ჩაატარებს. ბელგიელების მთავარი პრობლემა მეკარე ფილიპ დე ვილდეს ტრავმაა, თუმცა ეს ძველი ამბავია და რა ხანია, მას ზვონკო მილოშევიჩი ცვლის. „ანდერლეხტის" მწვრთნელმა ემე ანტუნესმა კი თქვა, „ლიდსთან" ორი მატჩის ჯამში ოთხ ქულას ვეგმავთ, თუმცა სამი ქულაც არ იქნება ურიგო შედეგიო.

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ლიდსი:** მარტინი, ფერდინანდი, რადებე, მატეო, დაკური, ჰარტი, უილკოქსი, ბოიერი, ბეტი, ვიდუკა, სმიტი

**ანდერლეხტი:** მილოშევიჩი, კრასონი, ილიჩი, დე ბოეკი, დედენი, ვანდერეგე, ბ. ჰასი, სტოიკა, გოორი, კოლერი, რაძინსკი

**მსაჯი:** კარლ-ერიკ ნილსონი (შვედეთი)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 2 | 2 | 0 | 0 | 6:1 | 6 |
| ლიდსი | 2 | 1 | 0 | 1 | 1:2 | 3 |
| ანდერლეხტი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:4 | 3 |
| ლაციო | 2 | 0 | 0 | 2 | 0:2 | 0 |

**სოლომონ ბულისაშვილი**
**გიორგი დარჯანია**





AP ლიონიდან

„არსენალის" თავკაცი არსენ ვენგერი სონი ანდერსონისა და „ლიონის" წინააღმდეგ ხელებს იკაპიწებს

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80

ინფორმაცია 24 საათის განმავლობაში
ფეხბურთი, NHL, NBA
☎ 8 22 009 000, 8 22 009 001 (1წთ / 50 თეთრი)

# ოლ სტარი კვდებაო?!

## პოსტჯორდანული ეპოქის დასაწყისი

**ალმოსავლეთი 111:110 დასავლეთი**

**ალმოსავლეთი:** აივერსონი (25 ქულა, 5 პასი, 4 ჩაჭრა), მაკგრეიდი (2), კარტერი (16), მეისონი, დევისი (8 ქულა, 9 მოხსნა); ალენი (15), მარბერი (12), გ. რობინსონი (8), სტეკჰაუზი (7), სპრიუელი (7), მუტომბო (6 ქულა, 22 მოხსნა, 3 დაფარება), ჰიუსტონი (5)

**დასავლეთი:** კიდი (11 ქულა, 5 ჩაჭრა), ბრაიანტი (19 ქულა, 7 პასი), ვებერი (14 ქულა, 9 მოხსნა), გარნეტი (14 ქულა, 3 დაფარება), დანკანი (14 ქულა, 14 მოხსნა); ფინლი (12 ქულა, 5 პასი), მაკდაიესი (8) ქულა, 8 მოხსნა), დივაცი (8), დ. რობინსონი (8), ვოლესი (2), პეიტონი (5 პასი), მელოუნი

ჯერ „ოლ სტარის" რაობაზე ვთქვათ. ეს სრულიად ამერიკული კალათბურთის ზეიმად მონათლული შოუა, რომელსაც, მართალი რომ ითქვას, ამ ბოლო ხანებში ამგვარად ბევრიც არავინ აღიქვამს. ხვდებიან ყოველწლიურად ერთმანეთს ყოველდღიური სასეზონო თამაშებისგან თავგაბეზრებული ალმოსავლელ-დასავლელი ვარსკვლავები, ცოტას წაიღლაბუცებენ, ბევრ ბურთს ჩატენიან და წავლენ-წამოვლენ, თავთავიანთ სახლებს მიაშურებენ. ისე რომ, მეორე დღეს იქნებ აღარც გაახსენდეთ, მოიგეს, თუ წააგეს. უბრალოდ, ამ თამაშის ყოველ მონაწილეს პირად დოსიეში კიდევ ერთი „ოლ სტარი" წაემატება, ვთქვათ მესამე, ან მეათე, რაც ამა თუ იმ ვარსკვლავის სიძლიერეზე, სტაბილურობასა თუ არასტაბილურობაზე მიუთითებს. თავად ყველა ვარსკვლავთა თამაშმა კი ამ ბოლო წლებში აზრი დაკარგა. სადღაა ის ვარსკვლავური ჯახები და დამატებით დროში გადასული თამაშები, სეზონის მარგალიტებად რომ იქცეოდნენ ხოლმე, ამ ზეიმში თავგამოჩენილები კი ერთი წლით მოისხამდნენ დიდების მანტიასაბურველს. დღესდღეობით „ოლ სტარს" გაურბიან კიდეც, რისი ნათელი მაგალითიც „ლეიკერსის" 22 წლის სუპერვარსკვლავი კობი ბრაიანტია. მას, როგორც ლიგის პირველ მექულეს და საერთოდ, ერთ-ერთ უძლიერეს მოთამაშეს აუცილებლად უხმობდნენ „ოლ სტარზე" და ასეც მოიქცნენ, მან კი ლამის ყველაფერი აიტკივა, ოღონდ ამ უაზრო ლაზღანდარობიდან (მისი სიტყვებია) თავი დაეღწია და როცა ლიგის მამები დაემუქრნენ, თუ გადაწყვეტილებას არ შეიცვლი, ჯიბეს გვარიანად შეგითხელებთო, მერეღა გადაწყვიტა ვაშინგტონში ჩაფრენა. ბრაიანტის დარი არაერთია, ვინც ვაშინგტონში სათამაშოდ მიდიოდა და ფეხები შინ რჩებოდა.

და ყოველივე ამის შემდეგ ვიტყვით, რომ ვინც კი „ოლ სტარს" მომაკვდავ თამაშად თვლის, იმედი გაუცრუვდა. ეს არ იყო ულიმღამო, დეკორაციებით შელამაზებული შოუ, ბევრი ვარსკვლავის ზედაპირული და ასე მოსაწყენი შესრულებით. „შვიდი წელია, „ოლ სტარი" არ გამომიტოვებია და ასეთი არაფერი მახსოვს. თითქოს ჩემპიონის ბედი წყდებოდა, მოედანზე ბიჭები ერთმანეთს სიქას აცლიდნენ, სხვები კი სათადარიგოთა სკამიდან ყოველ ჩაგდებულ-ვერჩაგდებულზე ვღელავდით" — თქვა ნამატჩევს ალმოსავლელთა სათადარიგო ცენტრმა დიკემბე მუტომბომ. „დიდებული თამაში იყო, ისეთი, რომელიც რეპუტაციაშელახულ „ოლ სტარს" ძველ სახელს აღუდგენს და ისტორიაში არ მოხვდება, როგორც ერთ-ერთი რიგითი. ასეთი თამაშის ხილვა ყველას სიამოვნებს და ვფიქრობ, გულშემატკივრები კმაყოფილნი დარჩნენ, განსაკუთრებით შეხვედრის დასკვნითი ეტაპით" — ეს ალმოსავლელთა მწვრთნელ ლარი ბრაუნის სიტყვებია.

ისე კი მასპინძელმა (სიმბოლურად) ალმოსავლეთმა იმარჯვა და არცთუ იოლად, რაზეც შეხვედრის ანგარიში მიუთითებს. ფავორიტი კი მაღლებით გამოჭედილი დასავლეთი იყო, რომელსაც კანონით უნდა მოეგო, თუმც ალმოსავლელებმა ფილადელფიელი ალენ აივერსონის მეთაურობით თავგანწირვით იომეს და მცირე სასწაულიც მოახდინეს.

შეხვედრა „ოლ სტარისთვის" დამახასიათებელი ღლაბუცით დაიწყო, ეს ხომ მხოლოდ და მხოლოდ გასართობი შოუ იყო და თავსაც არავინ იკლავდა. ეგაა, დასავლელები ოდნავ ყურადღებით ირჯებოდნენ. ბრაიანტს მანამდე არ სურდა თამაში, თორემ მოედანზე რომ გამოჩნდა, თავისებურად შეუბერა. ვიცი, უამრავი ბავშვი გვიყურებდა და აბა, მათ როგორ გავაწბილებდიო. მან პირველ წუთებში ორჯერ მოპარა ბურთი აივერსონს და სწრაფ გარღვევაზე ჯერ გარნეტს გადასცა პასი, მერე დანკანს. ამ გიგანტებმაც მოძრაობაში იოლად ჩამოიცილეს მეისონი და დევისი და დასავლეთი 4:0 დაწინაურდა. „ოლ სტარში" პირველად და იქნებ უკანასკნელად მოთამაშე ალმოსავლელ მეფარეთა ამ დუეტს აშკარად უჭირდა დასავლელ გიგანტებთან გამკლავება. ვებერი, დანკანი და გარნეტი ფარს აწიოკებდნენ და პირველი სამი წუთი ისე მიილია, ალმოსავლელთ ქულაც არ ჰქონდათ აქტივში, მათ მეტოქეს კი ამ დროს 11 დაეგროვებინა. საერთოდ ალმოსავლელნი პირველ მეოთხედში ზერელედ ირჯებოდნენ, ყასიდად დარბოდნენ და ბურთს წარამარა კარგავდნენ — პირველ თორმეტწუთეულში 10-ჯერ დაკარგეს (აქედან სამი აივერსონის სინდისზეა) და ვერც ბურთს ისროდნენ რიგიანად. ასე რომ, მეოთხედი ლოგიკურად — 30:14 დასრულდა და ყველა დამსწრეს თუ ტელემაყურებელს გულში უკმაყოფილების გრძნობა დარჩა.

მეორე მეოთხედის დასწყისიც ვერ გამოუვიდათ მასპინძლებს, პირველი წუთის შემდეგ 2:4, ჯამში 16:34 აგებდნენ და ბევრმა ხელიც ჩაიქნია. თამაში წყნარად გაგრძელდა, აქეთ მხრიდან რეი ალენი და ვინს კარტერი, სტუმართაგან კი გარნეტი და ფინლი ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, ვინ უფრო ლაზათიანად ჩატენიდა ბურთს, ეს იყო და ეს. ალმოსავლეთმა ტაიმების გასაყარზე ოდენ ორი ქულით შეამცირა სხვაობა — 61:50, წინ დასავლეთია.

მესამე თორმეტწუთეულში კვლავ ჩაიძირა დაბალი ალმოსავლეთი მაღალ დასავლელთა ტყეში. „მასპინძლებმა" ბევრი ბურთი აცილეს და მათ შორის კვლავ აივერსონი გამოირჩეოდა. ამჯერად მას ბურთები არ უკარგია, მაგრამ ვერ ლიდერობდა ალმოსავლელებს, მის სისწრაფეს მეტოქე უფრო იყენებდა. ფილადელფიელი უტიფრად მიძვრებოდა მეტოქეთა კედელში და... კარგავდა ბურთს, რაც მისივე კალათში ხან ბრაიანტის და ხან მაკდაიესის მიერ ჩატენილი ბურთით მთავრდებოდა. მესამე მეოთხედი დასავლელთა 19-ქულიანი უპირატესობით მიიწურა და ბოლო მეოთხედის მესამე წუთზე მაიკლ ფინლიმ რომ ჩააგდო და 95:72 გახადა, ყველამ ხელი ჩაიქნია, თამაში მოთავებულად ჩათვალა.

მაგრამ იმ დღეს მოედანზე ლამის უთავბოლოოდ მორბენალ ერთ კაცს არ სურდა, ყველაფერი ასე ულაზათოდ და ულიმღამოდ დასრულებულიყო. „ჩვენ თავიდანვე გვინდოდა გამარჯვება. გვინდოდა, სხვები დაგვერწმუნებინა, რომ გამარჯვება ჩვენც შეგვიძლია. ჰოდა, ბიჭებს ვუთხარი, რას ვკარგავთ, მოდი, წავითამაშოთ და ვინ იცის, აქედან რა გამოვიდეს-მეთქი" — ამბობდა ალენ აივერსონი. დაბალმა ალმოსავლელმა ბიჭებმაც წაითამაშეს, აქედან კი ის გამოვიდა, რომ გამარჯვება მათ დარჩათ და მასთან ერთად მომაკვდავი „ოლ სტარის" გამომღვიძებლების სახელიც დაიგდეს. ალმოსავლელთა განავარდებას აივერსონმა შთაბერა სული და ხორციც მანვე შეასხა. 183-სანტიმეტრიანმა, იმ დღეს მოედანზე მყოფთაგან უდაბლესმა, ბოლო რვანახევარ წუთში 15 ქულა დაატეხა დასავლელებს და, ცხადია, „ოლ სტარის" უძვირფასესი მოთამაშის ტიტულიც ირგუ:ა. აივერსონს მხარში ამოუდგა მისი კბილა რეი ალენი და ოდნავ უმცროსი ვინს კარტერი და ამ მფრინავთა ტრიომ მეტოქის კალათის დაბომბვას მიჰყო ხელი. დასავლელები თავდაპირველად ამას ყურადღებას არ აქცევდნენ, მაგრამ დაცვაში ჩასაფრებულ მეტოქესთან რამდენიმე ბურთი რომ დაკარგეს და ორწუთიანი მონაკვეთი 0:8 წააგეს, იკადრეს თამაში. გვიან იყო. აივერსონს ვეღარავინ აჩერებდა. მის მიერ დაბრიყვებული გერი პეიტონი ჯეისონ კიდმა შეცვალა, თუმც მათმა გუნდმა ამით ვერაფერი ხეირი ნახა. სტეკჰაუზმა და კარტერმა ზედიზედ სამიანები ჩააგდეს და მატჩის დამთავრებამდე 5 წუთით ადრე ანგარიში 100:91 გახდა. დასავლელთა დამრიგებელმა რიკ ადელმანმა თავში ხელები შემოირტყა, არიქა, გამარჯვება ხელიდან გვეცლებაო და საშველად საუკეთესოებს უხმო, ვისაც კი სათადარიგოთა სკამზე თვალი ჰკიდა. გამოჩდნენ — ბრაიანტი, დანკანი, ვებერი და გარნეტი, თუმც იმ დღეს ვისაც არ უნდა ეთამაშა სტუმართა მხარეს, ვერაფერს გააწყობდა პატარა (ტანით) და სალერღელაშლილ ბიჭთან. აივერსონისთვის სულ ერთი იყო, ვინ დაიჭერდა პირველ შეტევაში და ფარქვეშ შესულს ვინ დააფარებდა. მან მოხდენილი ორიანი ჩაუშვა მეტოქის კალათში, რასაც ზედიზედ სამი საჯარიმო მიაყოლა. მერე მანამდე არაფრისმაქნისმა ოლსტარელმა ახალბედამ, ტრეისი მაკგრეიდიმაც იმარჯვა და ტაბლომ 100:98 აანთო. როგორც იქნა, დასავლელმა გარნეტმა გამოიღო ხელი და 102:98 გახადა, რასაც აივერსონმა სამქულიანით უპასუხა და მინიმუმამდე დაიყვანა სხვაობა. ვებერის ორიანსაც მანვე გასცა პასუხი ორი საჯარიმოთი, როცა მასზე ბრაიანტი დაჯარიმდა. ერთი სიტყვით, იგი მარტო ეთამაშებოდა დასავლელებს, რამაც ოციათასიანი პუბლიკა ფეხზე წამოაყენა, MVP, MVP-ს ღრიალი დააწყებინა, რაც ჩვენებურად უძვირფასესს ნიშნავს. აქ ბრაიანტი გამოენთო. აივერსონზე ნაკლები მგელმა შეჭამოსო და ზედიზედ ექვსი ქულა მიითვალა, რითაც ანგარიში 110:108 გახადა დასავლელთა სასარგებლოდ. მასპინძელთა ბოლო აკორდი კი ნიუჯერსელმა სტივენ მარბერიმ ჩამოჰკრა შორეული სამიანით და ალმოსავლეთი მთელ თამაშში პირველად და საბოლოოდ დაწინაურდა 11:110. დასავლელთ კიდევ რჩებოდათ ათი წამი და მათი იმედი კობი ბრაიანტს ემყარებოდა. მანაც ბურთი ატარა სამქულიანის ხაზთან, შემდეგ ცოტა შიგნით შეიწია და როცა მისგან ყველა გადამწყვეტ სროლას ელოდა, პასი მარტო მყოფ დანკანს იმდენად მოულოდნელად გადასცა, რომ წინა „ოლ სტარის" უძვირფასესი მოთამაშე დაიბნა და ისეთი ბურთი გააფუჭა, სხვა შემთხვევაში უცილობლად კალათში რომ მიუჩენდა ადგილს.

ალმოსავლეთმა მოიგო, უძვირფასესად კი, ცხადია, ყველამ აივერსონი დაასახელა. მანაც კუთვნილი ჯილდო მხოლოდ მას შემდეგ აღმართა, რაც სახეგაბრწყინებული ღედა ჩაკოცნა, შემდეგ კი თქვა: „თამაშამდე და შემდეგაც ყველა დამარცხებას ელოდა. რადგან პატარები ვართ და წინასწარ წაგებულად გვთვლიდნენ. მე კი ვიტყვი, რომ მნიშვნელობა არ აქვს, რამსიგრძე და რამხელა სხეული გაქვს, მთავარია, გული გქონდეს დიდი".

დასასრულ კი ვთქვათ, რომ ეს, რიგით 50-ე „ოლ სტარი" კალათბურთის ნამდვილი ზეიმი გახლდათ, რაც ხალხს ამ ბოლო წლებში აგრერიგ მოენატრა. და კიდევ, ეს იყო ახალგაზრდათა ზეიმი, რომლებიც ჯორდანის შემდგომ, ახალ და სრულიად განსხვავებულ ეპოქას ქმნიან.

**ირაკლი ფირუზშვილი**


REUTERS ვაშინგტონიდან
ალენ აივერსონი: „ოლ სტარის" უძვირფასესი მოთამაშე


REUTERS ვაშინგტონიდან
დასავლეთის სკამი: ჯეისონ კიდი, კობი ბრაიანტი და ტრავმირებული შაკილ ონილი

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

**გერმანია. II ბუნდესლიგა. გადადებული მატჩები**

**14 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 001 | ულმი-მიონხენგლადბახი | 3,0 | 2,9 | 2,3 |
| 22.00 | 002 | ობერჰაუზენი-არმინია | 1,75 | 3,0 | 4,4 |
| 22.00 | 003 | ზაარბრიუკენი-ქემნიცი | 1,4 | 3,6 | 6,5 |

**ინგლისი. I დივიზიონი. გადადებული მატჩები**

**13 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 004 | პორტსმუთი-ბოლტონი | 3,1 | 3,0 | 2,2 |
| 23.45 | 005 | უენსდი-ტრანმერი | 2,1 | 3,2 | 3,1 |
| 23.45 | 006 | სტოკპორტი-პრესტონი | 2,5 | 3,0 | 2,5 |

**ინგლისი. II დივიზიონი. გადადებული მატჩები**

**13 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 007 | ბრისტოლი-რექსემი | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 23.45 | 008 | ნოტსი-ლუტონი | 1,5 | 3,5 | 6,0 |

**ინგლისი. III დივიზიონი. გადადებული მატჩები**

**13 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 009 | სკანთორპი-როჩდეილი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 23.45 | 010 | ბლეკპული-კარდიფი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 23.45 | 011 | კარლაილი-ჰარტლპული | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 23.45 | 012 | მაკლსფილდი-შრიუსბერი | 1,85 | 3,0 | 3,8 |
| 23.45 | 013 | მენსფილდი-ჩელტენემი | 2,0 | 3,1 | 3,4 |

**ჰოლანდია. II დივიზიონი. გადადებული მატჩი**

**14 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 014 | დენ ბოსხი-ვენლო | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 015 | დენ ბოსხი-ვენლო 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |

**ინგლისი. თასის მე-4 ეტაპი. გადათამაშება**

**13 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 016 | უიმბლდონი-მიდლსბრო | 3,0 | 2,9 | 2,3 |

**ჰოლანდია. თასის 1/4 ფინალი**

**14 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 017 | ჰერენვენი-ფეიენოორდი | 3,8 | 3,1 | 1,8 |

**შოტლანდია. თასის მე-3 ეტაპი. გადათამაშება**

**13 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 018 | დანფერმლაინი-სენტ ჯონსტონი | 1,8 | 3,1 | 3,8 |

**ჩემპიონთა ლიგა**

**13 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 501 | ბაიერნი-სპარტაკი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 23.45 | 502 | ლიონი-არსენალი | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| 23.45 | 503 | ლიდსი-ანდერლეხტი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 23.45 | 504 | რეალი-ლაციო | 2,1 | 2,9 | 3,2 |

**14 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 505 | ვალენსია-მანჩესტერი | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| 23.45 | 506 | შტურმი-პანათინაიკოსი | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 23.45 | 507 | მილანი-პსჟ | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 23.45 | 508 | გალათასარაი-დეპორტივო | 2,4 | 2,9 | 2,8 |

**უეფას თასი. 1/8 ფინალი. I მატჩები**

**15 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.15 | 509 | სლავია-კაიზერსლაუტერნი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 22.30 | 510 | ალავესი-ინტერი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 23.00 | 511 | აეკ-ბარსელონა | 3,5 | 3,0 | 2,0 |
| 23.00 | 512 | პსვ ეინდჰოვენი-პარმა | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 23.30 | 513 | შტუტგარტი-სელტა | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 23.30 | 514 | რაიო ვალეკანო-ბორდო | 2,1 | 2,9 | 3,4 |
| 24.00 | 515 | რომა-ლივერპული | 1,65 | 3,1 | 4,7 |
| 01.30 | 516 | პორტუ-ნანტი | 2,0 | 2,9 | 3,6 |

**უეფას თასი. შემდეგ ეტაპზე გასვლა**

**15 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 601 | სლავია | -4,0 | კაიზერსლაუტერნი | -1,15 |
| 22.30 | 602 | ალავესი | -3,5 | ინტერი | -1,2 |
| 23.00 | 603 | აეკ | -7,5 | ბარსელონა | -1,05 |
| 23.00 | 604 | პსვ ეინდჰოვენი | -3,5 | პარმა | -1,2 |
| 23.30 | 605 | შტუტგარტი | -1,7 | სელტა | -1,7 |
| 23.30 | 606 | რაიო ვალეკანო | -1,8 | ბორდო | -1,6 |
| 24.00 | 607 | რომა | -1,4 | ლივერპული | -2,3 |
| 01.30 | 608 | პორტუ | -1,8 | ნანტი | -1,6 |

**1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო**

| | | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **13 თებერვალი** | | | | | | | | | |
| 23.45 | 701 | ბაიერნი-სპარტაკი | 1,8 | 12,0 | 30,0 | 2,5 | 5,0 | 12,0 | 20,0 | 9,0 | 12,0 |
| 23.45 | 702 | ლიონი-არსენალი | 4,4 | 10,0 | 15,0 | 5,3 | 4,7 | 5,3 | 15,0 | 10,0 | 4,7 |
| 23.45 | 703 | ლიდსი-ანდერლეხტი | 2,0 | 12,0 | 25,0 | 2,8 | 5,0 | 10,0 | 18,0 | 9,0 | 10,0 |
| 23.45 | 704 | რეალი-ლაციო | 3,3 | 10,0 | 18,0 | 5,0 | 4,7 | 6,0 | 15,0 | 10,0 | 5,3 |
| | | **14 თებერვალი** | | | | | | | | | |
| 23.45 | 705 | ვალენსია-მანჩესტერი | 4,4 | 10,0 | 15,0 | 5,3 | 4,7 | 5,3 | 15,0 | 10,0 | 4,7 |
| 23.45 | 706 | შტურმი-პანათინაიკოსი | 4,0 | 10,0 | 18,0 | 5,0 | 4,7 | 6,0 | 15,0 | 10,0 | 5,0 |
| 23.45 | 707 | მილანი-პსჟ | 1,8 | 12,0 | 30,0 | 2,5 | 5,0 | 12,0 | 20,0 | 9,0 | 12,0 |
| 23.45 | 708 | გალათასარაი-დეპორ. | 4,2 | 10,0 | 18,0 | 5,3 | 4,7 | 5,3 | 15,0 | 10,0 | 4,7 |
| | | **15 თებერვალი** | | | | | | | | | |
| 21.00 | 709 | სლავია-კაიზერსლ. | 4,7 | 10,0 | 15,0 | 5,3 | 4,7 | 5,3 | 15,0 | 10,0 | 4,7 |
| 22.30 | 710 | ალავესი-ინტერი | 4,7 | 10,0 | 15,0 | 5,3 | 4,7 | 5,3 | 15,0 | 10,0 | 4,7 |
| 23.00 | 711 | აეკ-ბარსელონა | 6,0 | 10,0 | 15,0 | 6,5 | 4,7 | 4,4 | 18,0 | 10,0 | 3,2 |
| 23.00 | 712 | პსვ-პარმა | 4,2 | 10,0 | 18,0 | 5,3 | 4,7 | 5,3 | 15,0 | 10,0 | 4,7 |
| 23.30 | 713 | შტუტგარტი-სელტა | 3,2 | 10,0 | 18,0 | 4,2 | 4,7 | 6,5 | 15,0 | 10,0 | 6,0 |
| 23.30 | 714 | რაიო ვალეკანო-ბორდო | 3,3 | 10,0 | 18,0 | 5,0 | 4,7 | 6,0 | 15,0 | 10,0 | 5,3 |
| 24.00 | 715 | რომა-ლივერპული | 2,3 | 12,0 | 20,0 | 3,6 | 5,0 | 8,5 | 16,0 | 10,0 | 7,0 |
| 01.30 | 716 | პორტუ-ნანტი | 3,2 | 10,0 | 18,0 | 4,2 | 4,7 | 6,5 | 15,0 | 10,0 | 6,0 |

**კალათბურთი**

**13 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 801 | ინდიანა-შარლოტი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 04.30 | 802 | კლივლენდი-ტორონტო | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 04.30 | 803 | მაიამი-კლიპერსი | 1,05 | 12,0 | 7,5 |
| 04.30 | 804 | ნიუ ჯერსი-ლეიკერსი | 3,5 | 12,0 | 1,15 |
| 05.00 | 805 | მილუოკი-ფილადელფია | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 05.00 | 806 | იუტა-საკრამენტო | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| 05.30 | 807 | ჩიკაგო-ატლანტა | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 05.30 | 808 | ჰიუსტონი-ვაშინგტონი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 05.30 | 809 | სან ანტონიო-დალასი | 1,25 | 12,0 | 3,1 |
| 06.00 | 810 | დენვერი-ნიუ იორკი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 07.00 | 811 | პორტლენდი-მინესოტა | 1,15 | 12,0 | 3,5 |
| 07.00 | 812 | ვანკუვერი-ბოსტონი | 1,9 | 12,0 | 1,5 |
| 07.30 | 813 | გოლდენ სტეიტი-ფინიქსი | 2,5 | 12,0 | 1,35 |

**14 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.30 | 814 | ატლანტა-მილუოკი | 2,3 | 12,0 | 1,4 |
| 04.30 | 815 | დეტროიტი-ნიუ ჯერსი | 1,3 | 12,0 | 2,5 |
| 04.30 | 816 | ორლანდო-კლიპერსი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 05.00 | 817 | ფილადელფია-ლეიკერსი | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| 06.00 | 818 | ფინიქსი-მინესოტა | 1,45 | 12,0 | 2,1 |
| 06.00 | 819 | იუტა-ნიუ იორკი | 1,35 | 12,0 | 2,5 |

**15 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 820 | ინდიანა-დეტროიტი | 1,2 | 12,0 | 2,8 |
| 05.00 | 821 | ტორონტო-მაიამი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 05.30 | 822 | დალასი-კლივლენდი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 05.30 | 823 | სან ანტონიო-ვაშინგტონი | 1,05 | 12,0 | 7,5 |
| 07.00 | 824 | პორტლენდი-საკრამენტო | 1,25 | 12,0 | 3,1 |
| 07.00 | 825 | სიეტლი-ბოსტონი | 1,2 | 12,0 | 3,1 |
| 07.00 | 826 | ვანკუვერი-გოლდენ სტეიტი | 1,5 | 12,0 | 2,0 |

**კალათბურთი. სუპროლიგა**

**14 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 827 | ირაკლისი-ოსტენდე | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 21.00 | 828 | ალბა-ვილერბანი | 1,55 | 12,0 | 1,9 |
| 23.30 | 829 | სპლიტი-რაანანა | 1,1 | 12,0 | 5,0 |

**15 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 830 | ულქერი-ცსკა | 1,45 | 12,0 | 2,1 |
| 21.00 | 831 | ლიეტუვოს რიტასი-პანათინაიკოსი | 3,1 | 12,0 | 1,2 |
| 21.00 | 832 | ცეპტერი-სიენა | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 23.00 | 833 | მაკაბი-ბაიერი | 1,05 | 12,0 | 6,0 |
| 23.30 | 834 | კრკა-სკავოლინი | 1,8 | 12,0 | 1,6 |
| 23.30 | 835 | პარტიზანი-პლანია | 1,05 | 12,0 | 6,0 |
| 23.30 | 836 | პო ორტეზი-ეფესი | 1,7 | 12,0 | 1,7 |

**კალათბურთი. ევროლიგა. 1/8 ფინალი. III მატჩი**

**15 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 837 | პაოკ-ოლიმპია | 1,45 | 12,0 | 2,1 |

**ჰოკეი**

**13 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.30 | 901 | მონრეალი-კოლორადო | 3,0 | 4,0 | 1,6 |
| 04.30 | 902 | ატლანტა-ბუფალო | 2,4 | 4,0 | 1,85 |
| 04.30 | 903 | ტამპა ბეი-ფინიქსი | 2,4 | 4,0 | 1,85 |
| 05.00 | 904 | ნეშვილი-დალასი | 2,3 | 4,0 | 1,9 |
| 05.30 | 905 | კალგარი-ვაშინგტონი | 2,1 | 4,0 | 2,1 |

**14 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.30 | 906 | ტორონტო-კოლუმბუსი | 1,35 | 4,0 | 5,0 |
| 04.30 | 907 | ნიუ ჯერსი-ოტავა | 1,7 | 4,0 | 2,7 |
| 04.30 | 908 | აილენდერსი-ფილადელფია | 2,8 | 4,0 | 1,65 |
| 04.30 | 909 | პიტსბურგი-მინესოტა | 1,4 | 4,0 | 4,4 |
| 04.30 | 910 | ფლორიდა-ფინიქსი | 2,7 | 4,0 | 1,7 |
| 04.30 | 911 | დეტროიტი-კაროლინა | 1.4 | 4.0 | 4.4 |
| 05.30 | 912 | ჩიკაგო-სან ხოსე | 2,4 | 4,0 | 1,85 |
| 05.30 | 913 | დალასი-ლოს ანჯელესი | 1,65 | 4,0 | 2,8 |
| 07.00 | 914 | ვანკუვერი-ვაშინგტონი | 1,65 | 4,0 | 2,8 |
| 07.30 | 915 | ანაჰაიმი-ედმონტონი | 2,2 | 4,0 | 2,0 |

**15 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 916 | ბუფალო-ატალანტა | 1,4 | 4,0 | 4,4 |
| 04.00 | 917 | ოტავა-კოლორადო | 2,1 | 4,0 | 2,1 |
| 04.30 | 918 | ფილადელფია-ტორონტო | 1,65 | 4,0 | 2,8 |
| 04.30 | 919 | ტამპა ბეი-ბოსტონი | 2,2 | 4,0 | 2,0 |
| 05.00 | 920 | სენტ ლუისი-კალგარი | 1,4 | 4,0 | 4,4 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

### კროკოს ბიუროთა მისამართები:

თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში;
№2 ცენტრალური ფოსტამტი ალმაშენებლის გამზირზე;
გლდანი, I სავაჭრო ცენტრი;
ვაჟა ფშაველას 46 (მეტრო დელისთან);
წინამძღვრიშვილის 200 (ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში)
გურამიშვილის გამზირი, 50 (მეტრო „ღრმაღელესთან“)
წერეთლის გამზირი №11
ქუთაისი — პუშკინის ქუჩა №16 (ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში)
გორში — სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი; სტალინის ქუჩა №30
თელავში — კოსტავას ქუჩა №23. რუსთავში — შარტავას ქუჩა №7
ბათუმში — მემედ აბაშიძის (ყოფილი სტალინის) ქუჩა №21;
ერას (ყოფილი გორკის) ქუჩა №61

**ხუთშაბათს, 15 თებერვალს კროკო ჩვეული განრიგით იმუშავებს**

## მსოფლიოს ჩემპიონატი. სანქტ ანტონი (ავსტრია)

# ნერვთამძლე



REUTERS სანქტ ანტონიდან

**სონია ნეფი**

დაიბადა 1972 წლის 19 აპრილს გრუბში (შვეიცარია). მსოფლიოს თასზე 9-ჯერ გაიმარჯვა, 8-ჯერ გიგანტურ სლალომში, ერთხელ — სლალომში. 2001 წლის გიგანტური სლალომის მსოფლიო ჩემპიონი. ცნობილია სპორტული ტრავმების სიუხვით. პირველ სათასო გამარჯვებამდე მუხლის 5 ტრავმა მიილო და 6 ოპერაცია გაიკეთა.

**28 წლის** სონია ნეფს ბოლო ორი სეზონია გამოკვეთილი აღმავლობის ჟამი უდგას. ადრეულ 1996-ში მან ერთადერთი ეტაპი მოიგო და მსოფლიოს თასზე მისი მონაგარი ბოლო დრომდე ამით შემოიფარგლებოდა. არ უმართლებდა მსოფლიოს ჩემპიონატებზეც. 5 წლის წინათ პირველობა ესპანურ სიერა ნევადაში შედგა. გიგანტური სლალომის პირველი დაშვება ნეფმა ლიდერის რანგში ჩაამთავრა, ხოლო მეორეზე დაწყებისთანავე „ჭიშკარს" დაეჯახა და პოტენციური ოქრო დაკარგა. იმის შემდეგ ნეფის მერყევ ნერვულ სისტემაზე ბევრი ითქვა და დაიწერა. საუკუნე ისე იწურებოდა, უდავოდ ნიჭიერი შვეიცარიელი ვერაფერს იგებდა და უცებ, 2000 წელს, სონიამ მკვეთრად მოუმატა. გასულ სეზონში გიგანტური სლალომის 3 ეტაპი მოიგო, მიმდინარეში — ექვსიდან ხუთი და ბროლის მცირე გლობუსი გაინაღდა. ცვლილების მიზეზად ჟურნალისტები ზვიგენის ქონის ინექციებს ასახელებენ, რომელსაც შვეიცარიელი რეგულარულად იყენებს და მისი კონკრეტული ეფექტებისა რა გითხრათ, მაგრამ ნეფის სრიალი ხარისხობრივად რომ გაუმჯობესდა, უდავოა. პარასკევის მაგალითი ავიღოთ. უკვე პირველ დაშვებაზე ნეფი ნახევარი წამით დაწინაურდა, ჯამში კი უახლოეს მდევარს 1,10 წამი მოუგო, რასაც სამთო თხილამურობაში, სადაც წამის მეასედებისთვისაც წეწვა-გლეჯვაა, ჰერმინატორულ შედეგს უწოდებენ, რაზან საერთოდ ამგვარ ფოკუსებს მარტო ჰერმან მაიერი აზერზებს.

გამარჯვებით აღფრთოვანებულმა ნეფმა ჟურნალისტები კარგა ხანს არ გაუშვა. თავიდან ასეთი სტანდარტული ფრაზა თქვა: „დღეს ჩემი ცხოვრების უბედნიერესი დღეა, ჩემნაირი ბედნიერი არსად მეგულება". მერე ტრასის სპეციფიკა აღწერა, ძლიერ ოღროჩოღრო იყო და შესაბამისად ძნელიო. დიდი დრო დაუთმო თავის სულიერ მდგომარეობას სტარტზე შედგომისას: „თავიდან ბევრი ვინერვიულე, მაგრამ რამდენიმე „ჭიშკარს" გავცდი თუ არა, დავწყნარდი და წესიერად მივყევი საქმეს". დაბოლოს, ნეფმა პოზიტიურად შეაფასა წინა დღეს მიხაელ ფონ გრუნინგენისგან კაცთა გიგანტური სლალომის მოგება და შენიშნა, რომ თვისტომის გამარჯვება მასაც წაადგა.

საერთოდ, შეჯიბრს უპრობლემოდ არ ჩაუვლია. მეორე სრიალი ერთი საათით გადაიდო. ფერდობს ხვავრიელად ათოვდა და ორგანიზატორებმა ტრასის გაწმენდა გადაწყვიტეს. მეორე რბოლა მაინც უფრო რთულად წარიმართა. კვლავ თოვდა, ხილვადობა ცუდი იყო და მოსრიალენი ხშირად ცდებოდნენ. მეორე შედეგი იტალიელმა კარენ პუტცერმა უჩვენა და კომბინაციის ადრეულ ბრინჯაოს ახლა ვერცხლის მედალი წაუმატა. ვერცხლითა და ბრინჯაოთი ჩემპიონატიდან წასვლა კატასტროფად ჰერმან მაიერს ჩაუთვალეს, თორემ პუტცერი კაიხანს ღიმილად ქცეული უჭვრეტდა ტელეკამერებს, ასეთ წარმატებაზე კი ვფიქრობდი, მაგრამ არ ველოდიო. დაახლოებით იგივე თქვა ანია პაერსონმაც. შვედი გიგანტურ სლალომზე უკვე სლალომის მსოფლიოს ჩემპიონის რანგში გამოვიდა და მესამე ადგილით დაკმაყოფილდა. ამჯერად შეჯიბრს არ დასწრებია ლეგენდარული ინგმარ სტენმარკი, ანიას მამის ექსშეგირდი და შვილის კერპი. ამ ალამიანი-თილისმის არყოფნისას პაერსონმა მესამე ადგილიც კარგ შედეგად მიიჩნია. იგი ჯერ ცხრამეტისაა და, ასე ვთქვათ, მოდის, ანიტა ვახტერი კი მიდის. ამ ავსტრიელი მანდილოსნის დოსიეში, რომელიც „როიტერის" ჟურნალისტმა, სამთო თხილამურობაზე რეგულარულად მომუშავე ადრიანა პონტიერიმ მოგვაწოდა, ვკითხულობთ, რომ მისი მეტსახელი „ტრასის ბუზი" ყოფილა, ფრიად მცირე მასისა და გაბარიტების გამო. კიდევ რა ვიცით? ვახტერმა მსოფლიოს თასის 19 ეტაპი მოიგო (1984 წლიდან მოყოლებული), კალგარის ოლიმპიადაზე კომბინაციაში ჩემპიონი გახდა, სულ ჩემპიონატებზე ყველა სინჯის 8 მედალი აულია, ხოლო გუშინ 34 წლისა მოიყარა. დაბადების დღე პარასკევს გვიან ღამით აღნიშნა, იქამდე კარიერის მაჟორულად ჩამთავრების მოსურნე ვახტერმა გიგანტურ სლალომზე მეტისმეტად ენერგიულად ისრიალა და წაიქცა, მერე კი ცხოვრებაში რომ არ უტირია, იმდენი იტირა. „კარგი, კარგი, თავი დამანებეთ! — მიმართა მან ცოტა ხანში მისი დამშვიდების მოსურნეებს — ახლა უკეთ ვარ, ეს ჩვეულებრივი რბოლა იყო და სხვა არაფერი".

„დილიდანვე ძლიერ ვღელავდი — უთხრა ვახტერმა ჟურნალისტებს მას შემდეგ, რაც ცრემლები მოიწმინდა — ღამე საერთოდ არ დამეძინა. შემეძლო, ჩემი კარიერის ყველაზე ჯადოსნური მომენტისთვის მიმეღწია, მაგრამ რას ვიზამ..."

დაბადების დღის აღსანიშნავ წვეულებაზე ბლომად განთქმულ სტუმრებში ბორის ბეკერი ერია, მაგრამ მარტო იყო თუ წყვილად, ამაზე სააგენტოებს არაფერი უთქვამთ, ხოლო ვახტერის გადაწყვეტილება წასვლის თაობაზე მკაფიოდ გადმოსცეს. წლეულს თასზე გამოვალ და ამით მოვრჩებიო, უთქვამს ვახტერს წვეულებისას. ნეფის არ იყოს, უიღბლობები არც მას ჰკლებია. ზედ ნაგანოს ოლიმპიადის წინ, მსოფლიოს თასის ეტაპზე, იტალიურ კორტინა დამპეცოში წაიქცა და 80 მეტრი იკოტრიალა. შედეგი მუხლის მძიმე ტრავმა და გამოტოვებული ოლიმპიადა იყო. ვახტერი გმირულად დაბრუნდა, უკვე მომდევნო სეზონში და გიგანტური სლალომის 4 ეტაპი დაინარჩუნა. შეიძლება, იმ ტრავმასაც მოთხილამურის გადაწყვეტილებაში თავისი წილი ედოს.

თხრობა რომ ამომწურავი იყოს, სონია ნეფს ერთხელაც უნდა დავუბრუნდეთ. შვეიცარიელმა ათწლიანი პაუზა გაწყვიტა: 1991 წლის შემდეგ, როცა შანტალ ბურნისენმა და ფრენი შნაიდერმა გაიმარჯვეს, ამ ნეიტრალურ ქვეყანას ქალთა მსოფლიოს ჩემპიონი არ ჰყოლია.

| ქალები. გიგანტური სლალომი |
|---|
| 1. სონია ნეფი (შვეიცარია) 2:19,01 |
| 2. კარენ პუტცერი (იტალია) 2:20,11 |
| 3. ანია პაერსონი (შვედეთი) 2:20,52 |
| 4. ლილიან კუმერი (შვეიცარია) 2:21,30 |
| 5. ბირგიტ ჰეები (ლიხტენშტაინი) 2:21,44 |







REUTERS სანქტ ანტონიდან

სონია ნეფს ჩემპიონობას ულოცავენ: შვეიცარიის პრეზიდენტი ადოლფ ოგი (1), მამა (2) და მეუღლე (3)

# პუტინის თვალწინ



REUTERS სანქტ ანტონიდან

ბრინჯაოს პრიზიორი მიტია კუნცი თანაგუნდელებმა აიტაცეს

**მსოფლიოს** სამთოთხილამურო ჩემპიონატი შაბათს საზეიმო ვითარებაში დასრულდა. მამაკაცთა სლალომზე ჩვეულებისამებრ არ ისრიალა ჰერმან მაიერმა, მაგრამ მაყურებელთა ოდენობაზე ამას არ უმოქმედია: ლამის ტიროლის მოსახლეობის ნახევარი იქ იყო და სტუმრებიც — ბლომად. სულ დაახლოებით 50 ათასი კაცი აღინუსხა მეტ-ნაკლები ჩინისა და საზოგადოებრივი მდგომარეობისა. ტურისტებსა და უბრალო მშრომელებს შორის არა მარტო ასკაციანი ამალით გამოირჩა რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი. იგი ავსტრიას ოფიციალური ვიზიტით სწვევია და მოცალეობის ჟამს ავსტრიის გოროზი მთები დაუთვალიერებია. პუტინს ორიგინალურად ეცვა, რუსეთის დროშის წითელი, თეთრი და ლურჯი ფერებით შემკობილ ქურთუკში გამოწყობილიყო და შეჯიბრის შემდეგ მის მონაწილეებთან სალამი გაცვალა. საერთოდ, რუსული ალამი მხოლოდ პრეზიდენტის ჩაცმულობაზე გამოჩნდა, თორემ რუსები რომ მთის თხილამურობაში ვერაფერი შვილები არიან, თქმა რად უნდა. ვერც სანქტ ანტონის მოწინავე ათეულებში დავლანდეთ სადმე რუსული გვარი.

შაბათს ძირითადი ფავორიტი ავსტრიელი ბენიამინ რაიხი იყო. მსოფლიოს თასზე ბოლო სამი ეტაპი მან მოიგო და სანქტ ანტონშიც პირველი რბოლა პირველმა ჩაამთავრა, მაგრამ კვანძი მეორე რბოლის ბოლოს გაიხსნა, როცა რაიხმა უხეში შეცდომა დაუშვა და წამის ძვირფასი ნაწილები წააგო. შედეგად კი ვერცხლის მედალი და ამნაირი გაწბილებული კომენტარი: „მხოლოდ ოქრო მინდოდა, მაგრამ შევცდი და ტიტული ხელიდან გავუშვი. ზუსტად ასე დამემართა შლადმინგში (თასის ეტაპზე), მაგრამ იქ მეპატია, აქ კი — არა".

მარიო მატი ფლირშელია, ჩემპიონატზე ათიოდე კილომეტრის სიშორიდან ჩამოვიდა. 17 წლისა იყო, როცა სანქტ ანტონმა მსოფლიოს პირველობის გამართვის უფლება მოიპოვა. მაშინ მარიო ძნელად თუ იფიქრებდა, რომ ოთხ წელიწადში თავად გახდებოდა აქაურობის პირველ კაცთაგანი. მატი გამარჯვების სიხარულით ლამის ცაში ფრინავდა. ორჯერ ახსენა სიტყვა „სიგიჟე" (კარგი გაგებით, რასაკვირველია). „საკუთარი თავისა ძნელად ვირწმუნე" — თქვა მან — თასის ეტაპებზე, კიცბუელსა და შლადმინგში ორჯერ წავიქეცი და მხოლოდ კომბინაციაში მოპოვებულმა მეორე ადგილმა (ეს რამდენიმე დღის წინ მოხდა) დამიბრუნა თავდაჯერება". თორმეტი წელია, ავსტრიელებს სლალომის ჩემპიონი არ ჰყოლიათ. ბოლო იყო რუდი ნირლიხი, რომელიც 1989 წელს გაჩემპიონდა და ორი წლის შემდეგ ავარიაში დაიღუპა. ბოლო ათწლეულში სლალომი რჩებოდა საზეობად, სადაც სხვა ქვეყნები ავსტრიას არამცთუ არ ჩამორჩებოდნენ, მეტწილად ჩაგრავდნენ კიდეც. ახლა ავსტრიელები ამ დანაკლისის ანაზღაურებასაც გულმოდგინედ შეუდგნენ. რაიხისა და მატის მიღწევები ამას ადასტურებს.

მესამე ადგილი სლალომში ტრადიციულად ძლიერი სლოვენიის შვილმა, მიტია კუნცმა დაიკავა და საერთოდ, პირველი ექვსი ადგილი სულ ავსტრიელებმა და სლოვენებმა გაიყვეს. ჩინებული მესლალომე და კომბინაციის მსოფლიოს ჩემპიონი, ნორვეგიელი კეტილ ანდრე ამოდტი მეშვიდე ადგილზე გავიდა, ხოლო კალე პალანდერისა და ჰანს პეტერ ბურაასისთვის ცხრილში საერთოდ ვერ მოიძებნა ადგილი, ისინი პირველივე დაშვებაზე გავარდნენ. ეს იმ დროს, როცა ფინელი მსოფლიოს თასის მოქმედი მფლობელია და ნოვეგიელი — ნაგანოს ოლიმპიადის ჩემპიონი. მოკლედ, სამართლიანად ჟღერს კუნცის სიტყვები: „ჩემი აზრით, ამ მომენტში ავსტრიელები სლალომშიც დაუმარცხებლები არიან". თამამი აზრია, მაგრამ საფუძვლიანი.

მსოფლიოს ჩემპიონატი კი სლალომით დასრულდა. სამივე სინჯის 30 მედლიდან მთავარი წილი, ცხადია, ავსტრიას ერგო, ხოლო ის ამბავი, თუ ვინ რამდენი ჯილდო აიღო და ვინ ვის აჯობა, ხვალის „სარბიელისთვის" იყოს.

**დავით გულუა**



REUTERS სანქტ ანტონიდან

**მარიო მატი**

დაიბადა 1979 წლის 9 აპრილს ფლირშში (ავსტრია). მსოფლიოს თასზე სამი ეტაპი მოიგო, სამივე სლალომში. მათგან პირველი, 2000 წელს კიცბიუელში, რეკორდით დაასრულა: გახდა მოთხილამურე უმაღლესი სასტარტო ნომრით, ვისაც სლალომის ეტაპი მოუგია (სასტარტო ნომრებს სამთოთხილამურობაში დიდი მნიშვნელობა აქვს). მისი ნომერი იყო 47. სანქტ ანტონში კომბინაციის ვიცე-ჩემპიონი და სლალომის ჩემპიონი გახდა.

| კაცები სლალომი |
|---|
| 1. მარიო მატი (ავსტრია) 1:39,66 |
| 2. ბენიამინ რაიხი (ავსტრია) 1:39,81 |
| 3. მიტია კუნცი (სლოვენია) 1:40,36 |
| 4. ჰაინც შილხეგერი (ავსტრია) 1:40,60 |
| 5. რენე მლეკუში (სლოვენია) 1:40,70 |

## დევისის თასი, მერვედფინალი

# მოლოდინის ასი წელიწადი

**გასულ უქმეებზე ჩოგბურთში გუნდური მსოფლიოს ჩემპიონატის, დევისის თასის მორიგი გათამაშება დაიწყო. შარშანდელი ჩემპიონის, ესპანეთისა და ყველაზე ტიტულიანი ნაკრების, აშშ-სთვის სეზონი იქვე დასრულდა კიდეც.**



REUTERS

შვეიცარიელმა როჯერ ფედერერმა ამერიკელთა ძლევით გაიხარა

### შვეიცარია 3:2 აშშ

**პარასკევი. ერთეულები: როჯერ ფედერერი (შვეიცარია) — ტოდ მარტინი (აშშ) 6:4, 7:6 (7:3), 4:6, 6:1; ჟან-მაიკლ გემბილი (აშშ) — მიხალ კრატოხვილი (შვეიცარია) 6:3, 7:5, 6:4.**

**შაბათი. წყვილები: ფედერერი და ლორენცო მანტა — გემბილი და ჯასტინ გიმელსტობი 6:4, 6:2, 7:5**

**კვირა. ერთეულები: ფედერერი — გემბილი 7:5, 6:2, 4:6, 6:2; ენდი როდიკი (აშშ) — გეორგ ბასტლი (შვეიცარია) 6:3, 6:4**

აშშ-ის დევისის თასის ახალი კაპიტნის, პატრიკ მაკინროისთვის ამ ფრიად საპასუხისმგებლო თანამდებობაზე დებიუტი ფრიად წარუმატებელიც გამოდგა: 1993 წლიდან პირველად, იანკები ასპარეზობას პირველივე წრიდან გამოეთიშნენ.

„თავიდანვე ვიცოდით, რომ ძალიან გაგვიჭირდებოდა. ჩემს მოთამაშეებს ვერ გავამტყუნებ, მათ ბოლომდე იბრძოლეს. ჩვენ, უბრალოდ, ისეთ ბიჭს შევეჩეხეთ, რომელმაც მარტომ მოგვილო ბოლო. ის შესანიშნავი მოთამაშეა და ამიერიდან მხოლოდ თუ მოუმატებს. ამ უქმეებზე მისი შეჩერება შეუძლებელი იყო“ — უმცროსი მაკინროის ეს სიტყვები მასპინძელთა ჯილა როჯერ ფედერერს ეხება.

19 წლის შვეიცარიელი, რომელმაც ერთი კვირის წინ კარიერის პირველი ტიტული მოიპოვა, მშობლიურ ბაზელში მართლაც მედგრად დაუხვდა მოძღურებს. პარასკევს ფედერერმა გამოცდილ ტოდ მარტინს აჯობა, შაბათს წყვილებში გამარჯვებაში ლომის წილი დაიდო და კვირას თავისიანებს გადამწყვეტი ქულაც მოუტანა.

5 000 თანაქალაქელის გულშემატკივრობითა და ტრადიციული ძროხის ზანზალაკების წკარუნით გამხნევებულმა ფედერერმა სტუმართა პირველი ჩოგანი ჟან-მაიკლ გემბილი მძლავრი მოწოდებებითა და უზუსტესი შემოვლებულ-აბრაგნებით დაჯაბნა, მატჩ-პოინტზე მორიგი ეისის მოწოდების შემდეგ კი მუხლებზე დაეცა და ტირილით გული იჯერა.

„ეს ჩემთვის განსაკუთრებული მატჩი იყო, ამდენი მეგობრის, მშობლების წინაშე. მაინცდამაინც კარგად ვერ ვთამაშობდი, რადგან დაღლილობისგან ფეხები მტკიოდა, ამიტომ როდესაც შეხვედრა დასრულდა, ენით გამოუთქმელი შვება ვიგრძენი. უნდა მეტირა, ასეთი სასიამოვნო გრძნობა ადრე არასოდეს მქონია“.

თანაგუნდელებმა და ტრიბუნებიდან გადმომხტარმა ნაცნობ-მეგობრებმა ამომავალი ვარსკვლავი ხელში აიტაცეს და კორტი შემოარბენინეს, ერთადერთი იაღლიში კი მოგვიანებით, ზეიმის დროს მოხდა, როდესაც უზარმაზარი შამპანურის საცობი უსაშველოდ დიდხანს გაუძალიანდა მოწყურებულ ტრიუმფატორებს.

### ბელგია 0:5 საფრანგეთი

**პარასკევი. ერთეულები: სებასტიან გროჟანი (საფრანგეთი) — კრისტოფ როშიუ (ბელგია) 4:6, 1:6, 6:1, 6:3, 6:3; არნო კლემანი (საფრანგეთი) — ოლივიე როშიუ (ბელგია) 6:7 (2:7), 3:6, 6:2, 6:4, 6:2**

**შაბათი. წყვილები: სედრიკ პიოლინი და ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) — კ. როშიუ და ტომ ვან ჰუდტი (ბელგია) 6:3, 6:2, 7:6 (7:3)**

**კვირა. ერთეულები: კლემანი — ფილიპ დევულფი 6:3, 7:6 (12:10); სანტორო — კ. როშიუ 6:4, 6:4**

### ჰოლანდია 4:1 ესპანეთი

**პარასკევი. ერთეულები: რაემონ სლუიტერი (ჰოლანდია) — ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი) 6:7 (5:7), 7:6 (9:7), 3:6, 7:6 (7:3), 6:4; სხენგ შალკენი (ჰოლანდია) — კარლოს მოია (ესპანეთი) 6:4, 7:5, 6:4**

**შაბათი. წყვილები: შალკენი და პოლ ჰაარჰიუსი — ალექს კორეჩა და ხუან ბალსელსი 4:6, 6:3, 7:6 (7:2)**

**კვირა. ერთეულები: იან სიმერინკი — ბალსელსი 6:7 (7:9), 6:4, 7:6 (7:5); მოია — სლუიტერი 6:4, 7:6 (7:2)**

შარშანდელმა ჩემპიონმა ესპანელებმა წლეულს თავიანთი ტიტულის კი არა, დევისის თასის გათამაშების უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებაზე უნდა იფიქრონ — ისტორიაში მხოლოდ მეხუთედ მოხდა, რომ გამარჯვებული მომდევნო სეზონის პირველივე წრეში გავარდნილიყოს.

ჰოლანდიელებმა სტუმრებს თავიანთი საუკეთესო ჩოგბურთელი, ტრავმირებული რიჩარდ კრაიჩეკი თუ ვერა, უსწრაფესი ხალიჩის საფარი დაახვედრეს და ნელ თიხნარზე თამაშის მოყვარულ ესპანელებს მაინც იოლად გაუსწორდნენ. კვირის მატჩებმა აზრიც დაკარგა, რადგან პირველი ორი დღის შემდეგ მასპინძლებს გამარჯვება განაღდებული ჰქონდათ.

„ასი წლის განმავლობაში დევისის თასი სულ ერთხელ მოვიგეთ, ასე რომ, ეს იოლი სულაც არ არის. შევეცდებით, რომ ტიტულის მეორედ მოსაპოვებლად ასი წელი არ დაგვჭირდეს — აღნიშნა გაწბილებულმა ალექს კორეჩამ — ახლა მთავარია, პლეი-ოფში ხეირიანად ვიასპარეზოთ და ქვედა ლიგაში არ დავეშვათ.“

### გერმანია 3:2 რუმინეთი

**პარასკევი. ერთეულები: ტომი ჰაასი (გერმანია) — იონ მოლდოვანი (რუმინეთი) 6:2, 6:0, 6:2; ანდრეი პაველი (რუმინეთი) — ნიკოლას კიფერი (გერმანია) 7:6 (7:3), 6:3, 5:7, 6:3**

**შაბათი. წყვილები: პაველი და გაბრიელ ტრიფუ — დევიდ პრინოშილი და მარკ კევინ-გელნერი 6:4, 6:4, 6:4**

**კვირა. ერთეულები: ჰაასი — პაველი 6:3, 6:4, 7:6 (8:6); კიფერი — ტრიფუ 6:3, 6:1, 6:4**

### სლოვაკეთი 2:3 რუსეთი

**პარასკევი. ერთეულები: კაროლ კუჩერა (სლოვაკეთი) — მარატ საფინი (რუსეთი) 3:6, 4:6, 6:3, 7:5, 6:2; ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი) — დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი) 6:2, 6:3, 7:5**

**შაბათი. წყვილები: კაფელნიკოვი და საფინი — ჰრბატი და იან კროშლაკი 6:4, 6:4, 2:6, 7:6 (9:7)**

**კვირა. ერთეულები: ჰრბატი — საფინი 6:3, 6:1, 6:4; კაფელნიკოვი — კუჩერა 4:6, 4:6, 6:3, 6:2, 6:2**

უჯიგრობის, ინდიფერენტულობისა და პატრიოტიზმის არქონისათვის ევგენი კაფელნიკოვს კარიერაში არაერთხელ და ორჯერ მოხვედრია შინ თუ გარეთ. მეორე მხრივ, როცა თამაშის გუნებაზეა, სოჭელ ჟენიას ბარე ერთი და ორი ვერ დაუდგება წინ. ჩვენი ჩრდილოელი მეზობლების გასახარად, გასულ უქმეებზე მსოფლიოს ყოფილ პირველ ჩოგანს არ აურევია და თავიდან ბოლომდე მოგებისათვის იბრძოლა.

სანამ თანაგუნდელი მარატ საფინი მცირე კრიზისში იმყოფება, სოჭელმა ყველაფერი თავის თავზე აიღო და სლოვაკებს მარტომ აჯობა. პარასკევს ჟენიამ 10 პირადი შეხვედრიდან ოდენ მეორედ მოუგო თავის ყველაზე უხერხულ მეტოქეს, დომინიკ ჰრბატის, მერე კი, კარიერაში ასევე მეორედ, ორსეტიანი ჩამორჩენაც აანაზღაურა კაროლ კუჩერასთან.

არანაკლებ მოულოდნელი გახლდათ კაფელნიკოვის განცხადებაც მოგების შემდეგ: „თუ რუსეთი დევისის თასს მოიპოვებს, შეიძლება სპორტს თავი დავანებო. ეს გათამაშება ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს. ჩემპიონი რომ გავხდე, მისაღწევი აღარაფერი დამრჩება და თუ სურვილი აღარ იქნება, თამაშს რაღა აზრი აქვს?“

### ბრაზილია 4:1 მაროკო

**პარასკევი. ერთეულები: გუსტავო კუერტენი (ბრაზილია) — ქარიმ ალამი (მაროკო) 6:7 (4:7), 6:4, 3:6, 6:1, 6:2; ფერნანდო მელიგენი (ბრაზილია) — ჰიშამ არაზი (მაროკო) 6:4, 5:7, 6:3, 4:3 — ტრავმა**

**შაბათი. წყვილები: ალექსანდრო სიმონი და ჟაიმე ონსინსი (ბრაზილია) — ალამი და არაზი 6:3, 6:3, 6:3**

**კვირა. ერთეულები: კუერტენი — მუნილ ელ არეჟი 6:2, 6:2; ალამი — სიმონი 6:4, 0:6, 6:3**

### ავსტრალია 4:1 ეკვადორი

**პარასკევი. ერთეულები: პატრიკ რაფტერი (ავსტრალია) — ნიკოლას ლაპენტი (ეკვადორი) 6:3, 6:0, 7:5; ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია) — ჯოვანი ლაპენტი (ეკვადორი) 6:3, 6:2, 6:2**

**შაბათი. წყვილები: ნ. ლაპენტი და ჯ. ლაპენტი — უეინ არტურსი და ტოდ ვუდბრიჯი 6:2, 2:6, 1:6, 7:6 (7:1), 12:10**

**კვირა. ერთეულები: ჰიუიტი — ნ. ლაპენტი 6:2, 6:1, 6:1; რაფტერი — ჯ. ლაპენტი 6:3, 6:1**

### შვედეთი 3:2 ჩეხეთი

**პარასკეთი. ერთეულები: ბოგდან ულირახი (ჩეხეთი) — ტომას იოჰანსონი (შვედეთი) 6:3, 5:7, 6:3, 7:5; მაგნუს ნორმანი (შვედეთი) — ირჟი ნოვაკი (ჩეხეთი) 7:6 (7:2), 6:1, 1:6, 2:6, 6:4**

**შაბათი. წყვილები: იონას ბიორკმანი და ნიკლას კულტი (შვედეთი) — ნოვაკი და დევიდ რიკლი 6:2, 4:6, 7:6 (8:6), 7:5**

**კვირა. ერთეულები: ულირახი — ნორმანი 6:3, 6:2, 6:1; იოჰანსონი — ნოვაკი 7:6 (7:0), 6:3, 6:7 (4:7), 6:2**

**ავთანდილ სვანიძე**



## NHL. რეგულარული ჩემპიონატი

9 თებერვალი

**აილენდერსი 2:5 ფილადელფია**
(0:2 1:1 1:2)
0:1 განიე 16(23), 0:2 მაკგილისი 20(10), 1:2 ჩერკავსკი 34(19), 1:3 ლენგკოუ 35(11), 1:4 ჯ. ჰალი 50(7), 1:5 ფედოტენკო 53(11), 2:5 ლოურენსი 59(3)

**ატლანტა 5:1 ბოსტონი**
(1:0 2:1 2:0)
1:0 ფერარო 9(20), 2:0 დონოვანი 35(10), 3:0 ფერარო 39(21), 3:1 აქსელსონი 39(7), 4:1 სვარტვადეტი 42(8), 5:1 სვარტვადეტი 60(9)

**ფლორიდა 2:4 რეინჯერსი**
(1:2 0:1 1:1)
0:1 იორკი 71(2), 0:2 ნედვედი 9(18), 1:2 ნიდერმაიერი 19(9), 1:3 მესიე 29(18), 2:3 კოზლოვი 59(7), 2:4 ნედვედი 60(19)

**დალასი 1:2 მინესოტა**
(0:1 1:1 0:0)
0:1 დაუდი 10(5), 1:1 მარშალი 23(7), 1:2 გაბორიკი 37(14)

**ფინიქსი 2:0 ედმონტონი**
(1:0 0:0 1:0)
1:0 ტკაჩუკი 12(24), 2:0 რენიკი 51(18)

**კოლორადო 3:5 კალგარი**
(1:2 2:1 0:2)
1:0 დედმარში 9(9), 1:1 ვ. ბურე 11(16), 1:2 სავარი 18(18), 2:2 დრური 27(15), 3:2 საკიკი 32(31), 3:3 გოტიე 34(1), 3:4 კოუენი 49(8), 3:5 ლოური 60(14)

**ანაჰაიმი 3:4 ვაშინგტონი**
(0:2 2:2 1:0)
0:1 ბონდრა 13(31), 0:2 გონჩარი 16(12), 0:3 ბონდრა 21(32), 1:3 კარია 26(14), 1:4 ზედნიკი 27(12), 2:4 კარია 28(15), 3:4 ტვერდოვსკი 58(8)

10 თებერვალი

**პიტსბურგი 5:4 ნიუ ჯერსი**
(1:3 3:0 0:1 1:0)
0:1 ბრილინი 8(16), 0:2 ბრილინი 11(17), 0:3 მაკეი 13(17), 1:3 ჰრდინა 17(12), 2:3 კოვალიოვი 24(31), 3:3 კოვალიოვი 25(32), 4:3 კ. სტივენსი 27(6), 4:4 ს. სტივენსი 56(6), 5:4 კოვალიოვი 61(33)

**ოტავა 1:2 ბუფალო**
(0:0 1:1 0:0 0:1)
0:1 შატანი 22(17), 1:1 იაშინი 38(24), 1:2 აფინოგენოვი 62(11)

**მონრეალი 5:3 აილენდერსი**
(2:2 2:0 1:1)
1:0 უეინრიჩი 9(6), 2:0 დარბი 11(8), 2:1 ისბისტერი 13(18), 2:2 ლაპუანი 17(5), 3:2 ლინდენი 26(11), 4:2 პულენი 38(7), 4:3 ჰამრლიკი 48(10), 5:3 კილგერი 60(11)

**ბოსტონი 6:2 ტამპა**
(3:1 1:1 2:0)
0:1 მოდინი 2(25), 1:1 ტორნტონი 8(17), 2:1 ჟირარი 9(2), 3:1 ჟირარი 11(3), 4:1 ელისონი 23(20), 4:2 ბარნაბი 27(2), 5:2 გერინი 41(29), 6:2 ელისონი 44(21)

**ატლანტა 3:7 ფლორიდა**
(2:2 1:3 0:2)
1:0 ოდეტი 8(27), 2:0 სვარტვადეტი 10(10), 2:1 კოზლოვი 15(8), 2:2 პ. ბურე 17(32), 2:3 ბოილი 30(2), 2:4 პ. ბურე 31(33), 3:4 შლეგრი 34(7), 3:5 სილინჯერი 39(12), 3:6 პ. ბურე 46(34), 3:7 პ. ბურე 50(35),

**ტორონტო 3:3 დეტროიტი**
(0:2 2:1 1:0 0:0)
0:1 დრეიპერი 2(4), 0:2 ფიოდოროვი 20(25), 1:2 დემპსი 25(1), 1:3 დიუშენი 31(4), 2:3 ტომასი 38(3), 3:3 ჰოგლუნდი 60(18)

**კოლუმბუსი 3:2 ნეშვილი**
(2:1 0:0 1:1)
1:0 სანდერსონი 7(24), 1:1 უოკერი 7(17), 2:1 სანდერსონი 20(15), 2:2 ტიმონენი 46(11), 3:2 სანდერსონი 52(26)

**კოლორადო 3:4 სენტ ლუისი**
(1:0 2:2 0:1 0:1)
1:0 ტანგეი 12(21), 1:1 იანგი 18(27), 1:2 რამზი 28(7), 2:2 ფორსბერგი 31(18), 3:2 საკიკი 40(32), 3:3 კონროი 44(10), 3:4 კორსო 61(6)

**ვანკუვერი 1:4 კალგარი**
(0:0 1:0 0:4)
1:0 ბერტუცი 32(19), 1:1 ალბელინი 47(1), 1:2 ლოური 47(15), 1:3 იგინლა 48(20), 1:4 კოუენი 52(9)

**ლოს ანჯელესი 3:4 ვაშინგტონი**
(1:0 0:4 2:0)
1:0 კორკამი 9(3), 1:1 ბონდრა 27(33), 1:2 გონჩარი 29(13), 1:3 კონოვალჩუკი 37(17), 1:4 ზედნიკი 40(13), 2:4 რობიტაილი 43(27), 3:4 კარალაჰტი 60(2)

**სან ხოსე 3:2 ჩიკაგო**
(0:1 1:0 1:1 1:0)
0:1 დაზე 51(7), 1:1 მარჩმენტი 31(5), 2:1 მარლო 56(21), 2:2 სალივანი 60(27), 3:2 მარჩმენტი 63(6)

11 თებერვალი

**რეინჯერსი 1:1 ნიუ ჯერსი**
(0:0 1:0 0:1 0:0)
1:0 ფლერი 35(10), 1:1 სტივენსონი 45(6)

**მინესოტა 4:2 პიტსბურგი**
(0:0 2:1 2:1)
1:0 დაუდი 24(6), 1:1 ლანგი 31(20), 2:1 რესტი 33(5), 3:1 ლეშაიშინი 50(2), 3:2 ლანგი 36(21), 4:2 უოლცი 60(12)

**ბუფალო 3:4 მონრეალი**
(0:1 3:1 0:2)
0:1 პეტროვი 9(9), 1:1 კალინინი 24(3), 2:1 ანდრეიჩუკი 27(12), 3:1 ვარადა 30(8), 3:2 რობიდასი 34(4), 3:3 პულენი 52(8), 3:4 პულენი 56(9)

**ანაჰაიმი 2:2 კაროლინა**
(1:0 0:1 1:1 0:0)
1:0 სელიანე 1(21), 1:1 დიმაიო 38(6), 1:2 ბრინდამორი 44(12), 2:2 ლეკლერკი 52(13)

**დალასი 3:3 სენტ ლუისი**
(1:0 1:3 1:0 0:0)
1:0 მოდანო 5(18), 1:1 ტარჯონი 23(24), 1:2 მელანბი 26(5), 1:3 ჰეხტი 30(15), 2:3 ნეუინდაიკი 37(20), 3:3 ზუბოვი 49(7)

**ფინიქსი 3:2 ჩიკაგო**
(1:0 1:0 1:2)
1:0 სალივანი 10(4), 2:0 გრინი 37(8), 2:1 ამონტე 43(28), 3:1 რენიკი 60(19), 3:2 დაზე 60(18)

### სატურნირო ვითარება

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ჩრდილო-აღმოსავლეთი** | | | | | | | |
| ოტავა | 54 | 29 | 8 | 2 | 15 | 174:137 | 68 |
| ტორონტო | 57 | 26 | 8 | 4 | 19 | 170:139 | 64 |
| ბუფალო | 55 | 28 | 5 | 1 | 21 | 142:128 | 62 |
| ბოსტონი | 56 | 24 | 6 | 5 | 21 | 144:163 | 59 |
| მონრეალი | 57 | 20 | 5 | 3 | 29 | 144:161 | 48 |
| **ატლანტა** | | | | | | | |
| ნიუ ჯერსი | 55 | 28 | 11 | 3 | 13 | 190:134 | 70 |
| ფილადელფია | 56 | 28 | 9 | 1 | 18 | 168:156 | 66 |
| პიტსბურგი | 55 | 27 | 6 | 2 | 29 | 182:171 | 62 |
| რეინჯერსი | 56 | 22 | 4 | 1 | 29 | 173:197 | 49 |
| აილენდერსი | 55 | 14 | 5 | 3 | 33 | 124:176 | 36 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | | | | | |
| ვაშინგტონი | 5: | 27 | 9 | 2 | 19 | 154:142 | 64 |
| კაროლინა | 54 | 24 | 7 | 2 | 21 | 141:147 | 57 |
| ატლანტა | 56 | 17 | 9 | 2 | 28 | 154:195 | 45 |
| ფლორიდა | 57 | 14 | 8 | 7 | 28 | 130:171 | 43 |
| ტამპა | 56 | 15 | 5 | 3136:19838 | | | |
| **ცენტრი** | | | | | | | |
| სენტ ლუისი | 56 | 36 | 7 | 2 | 11 | 187:122 | 81 |
| დეტროიტი | 57 | 32 | 5 | 4 | 16 | 164:145 | 73 |
| ნეშვილი | 58 | 24 | 7 | 2 | 25 | 140:149 | 57 |
| ჩიკაგო | 56 | 22 | 5 | 3 | 26 | 152:160 | 52 |
| კოლუმბუსი | 55 | 18 | 6 | 4 | 27 | 122:161 | 46 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | | | | | |
| კოლორადო | 56 | 35 | 8 | 2 | 11 | 180:129 | 80 |
| ვანკუვერი | 56 | 28 | 5 | 4 | 19 | 176:163 | 65 |
| ედმონტონი | 57 | 25 | 8 | 1 | 23 | 148:154 | 59 |
| კალგარი | 55 | 20 | 10 | 4 | 21 | 139:156 | 54 |
| მინესოტა | 55 | 21 | 8 | 3 | 23 | 123:130 | 53 |
| **წყნარი ოკეანე** | | | | | | | |
| სან ხოსე | 55 | 30 | 10 | 0 | 15 | 152:123 | 70 |
| დალასი | 55 | 30 | 5 | 1 | 19 | 149:132 | 66 |
| ფინიქსი | 55 | 25 | 12 | 2 | 16 | 139:129 | 64 |
| ლოს ანჯელესი | 55 | 24 | 8 | 1 | 22 | 185:169 | 57 |
| ანაჰაიმი | 58 | 16 | 7 | 4 | 31 | 134:179 | 43 |

*შენიშვნა: ახალი წესის თანახმად, ოვერტაიმში მარცხის შემთხვევაში წაგებული გუნდი 1 ქულას მაინც იღებს ძირითად დროში მიღწეული ფრის ხარჯზე, რაც ცხრილის მეოთხე გრაფაშია აღნიშნული. პირველ სამ ადგილზე დივიზიონების ლიდერები იმყოფებიან.*

**ეგნატე ფიფიას სახელობის სამედიცინო ინსტიტუტი**

აცხადებს მსურველთა მიღებას

**ინგლისური ენის გაძლიერებული შესწავლის ჯგუფში**

მისამართი: ვაჟა-ფშაველას 6ა

დამატებითი ცნობებისთვის დარეკეთ: 98 53 62 (11-დან 14 საათამდე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში. 11-12 თებერვალი

# სითბო, სინათლე, ოლიმპიელები...

## საქართველოს ჩემპიონატს ფასი დაედება



გოჩა კირკიტაძე



ზვიად გვილავა



ოთარ თუშიშვილი



დავით ლეჟავა



რევაზ მინდორაშვილი



გოჩა ჩიხრაძე



ელდარ კურტანიძე



ლექსო მოდებაძე

გურამ წულუკიძის ფოტოები

**სიდნეის** ოლიმპიურ თამაშებზე საქართველოს მოჭიდავეთა წარმატებამ იმედი ჩაგვისახა. როგორი ამბავია, ოლიმპიადაზე 3 ბრინჯაოს მედალი მოიპოვო მაშინ, როდესაც სპორტის იმავე სახეობის ეროვნული ჩემპიონატი ორწლიან იძულებით „შვებულებაშია". ასეთი რამ მხოლოდ ჩვენთან თუ შეიძლება მოხდეს. არადა, ერთ დროს საჭიდაო ასპარეზობანი ჩვენთვის ეროვნული დღესასწაულის ტოლფასი იყო.

თუმც შეიძლება ყველაფერი შეიცვალოს. გვაიმედებს ის, რომ საქართველოს უბრუნდება ჩემპიონატები ბერძნულ-რომაულ და თავისუფალ ჭიდაობაში. ერთ-ერთი მათგანი კვირასა და ორშაბათს ჩატარდა — ჭიდაობის მოყვარულებმა კვლავაც იხილეს თავისუფალი სტილის ფალავნები. არმიის სპორტულ კომპლექსში 115 მოჭიდავემ თავი მოიყარა. მათგან ჩემპიონობისკენ ყველაზე გრძელი გზა 69 კგ წონით კატეგორიაში მოასპარეზეთ ჰქონდათ გასავლელი. საქმე ის იყო, რომ ამ წონაში ყველაზე მეტი, 25 მოჭიდავე გამოდიოდა, ყველაზე ნაკლები (5) კი მძიმეწონოსნები იყვნენ.

ასპარეზობა, რომელიც ჩვენთვის უჩვეულო, თბილ და განათებულ დარბაზში მიმდინარეობდა, იმითაც იყო საინტერესო, რომ მასში სიდნეის ოლიმპიური თამაშების მონაწილენი გამოდიოდნენ. ოლიმპიელთა გამოსვლამ პაექრობებს მეტი ელფერი და დაძაბულობა შეჰმატა. მათ შორის იყო ორგზის ოლიმპიური ბრინჯაოსანი ელდარ კურტანიძე, რომელსაც, როგორც 2000 წლის საუკეთესო ფალავანს, ჩემპიონატის გახსნის ცერემონიალზე ეროვნული დროშის აღმართვის პატივი ხვდა წილად. ამის მერე დამსწრე საზოგადოებას, რომელიც, სხვათა შორის, საკმაოდ წარმომადგენლობითი გახლდათ, XXI საუკუნის პირველი ეროვნული ჩემპიონატი საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტმა გოჩა ძასოხოვმა მიულოცა. „სარბიელთან" საუბრისას მან თქვა:

„თამამად შემიძლია გითხრათ, რომ სანამ ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტის იურიდიული უფლებამოსილება მექნება, საქართველოს ჩემპიონატები ტრადიციული იქნება. ვიმედოვნებ, რომ ამ პერიოდში შეიქმნება ისეთი სისტემა, რომელიც ხელს შეუწყობს ჩემპიონატების გამართვას. გარდა ამისა, ჩემი მიზანია, რომ საქართველოს პირველობაზე მიღწეული წარმატება ამა თუ იმ სპორტსმენმა ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ გამარჯვებად აღიქვას. ამით იმის თქმა მსურს, რომ საქართველოს ჩემპიონატში წარმატების გარეშე, ისევე როგორც ეს აშშ-შია, მოჭიდავეს უფლება არ ექნება, მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო ტურნირზე, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე თუ ოლიმპიურ თამაშებზე. მწამს, თუ ეს დაკანონდება, მეტი პერსპექტიული და ღირსეული ფალავანი გამოჩნდება.

მიუხედავად იმისა, რომ დღეს სპორტს ისევე უჭირს, როგორც ქვეყანას, გამოინახა სახსრები, გამოჩნდნენ პიროვნებები, რომელთა ძალისხმევითაც შესაძლებელი ხდება გადავარჩინოთ ჭიდაობა და ის გენოფონდი, რომელსაც ქართული სპორტის ეს სახეობა წარმოაჩენს. მე მგონი, რომ ერიც და ბერიც გაერთიანდება და გადავარჩენთ ჭიდაობას."

რაც შეეხება თავად შეჯიბრებას, აქ, ბუნებრივია, ყველაზე დიდ ინტერესს იწვევდა ელდარ კურტანიძის გამოსვლა, ვინც ყველა შეხვედრა აშკარა უპირატესობით მოიგო და მერვედ გახდა საქართველოს ჩემპიონი. ამგვარი შეჯიბრება რეგულარულად რომ გამართულიყო, კურტანიძე ახლა, ალბათ, ათგზის ჩემპიონი იქნებოდა.

**— როგორ ფიქრობთ, ამ ჩემპიონატში მონაწილეობით თქვენ მეტი მოიგეთ თუ თქვენმა მეტოქეებმა?**

— მე ვიტყოდი, რომ საქართველოს ჭიდაობამ მოიგო, რადგან ჩემი კარიერის მანძილზე ჯერ არ მახსოვს, ეროვნული ჩემპიონატი ასე შესანიშნავად ჩატარებულიყო. დიდი სურვილი მაქვს, ეს სვლა გაგრძელდეს და ათენის 2004 წლის ოლიმპიურ თამაშებზე, როგორც ჩვენმა სახელოვანმა ფალავანმა ლევან თედიაშვილმა ბრძანა, ბრინჯაოს ხანიდან ოქროს ხანაში გადასვლით დაგვირგვინებულიყოს. დაე, ეს შეჯიბრება ამის საწინდარი ყოფილიყოს.

**— ოლიმპიური თამაშების მერე, თუ არ ვცდები, ეს თქვენი პირველი შეჯირება იყო.**

— დიახ, ოლიმპიადის მერე პირველად ვიასპარეზე. მეამაყება, რომ XXI საუკუნის პირველი შეჯიბრება ჩემპიონობით აღვნიშნე.

**— წლევანდელ სეზონში რა გეგმები გაქვთ?**

— ეს შეჯიბრება ნიუ იორკის მსოფლიოს პირველობისთვის მზადების პროცესის საწყისი ეტაპი გახლდათ. ასე რომ, ყველაფერს გავიღებ, რათა 2001 წელი მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულით ჩავამთავრო.

სხვათა შორის, როდესაც ელდარი ოლიმპიადიდან ახალდაბრუნებული იყო, სიდნეურ პერიპეტიებზე, კერძოდ საგიდ მურთაზალიევთან გამართულ პაექრობაზე ვკითხე. მაშინ ჩვენმა ფალავანმა ერთი ამოიგმინა, სიდნეური ოქრო მაგის სინდისზე იყოს, სეირს შემოდგომაზე, ნიუ იორკის მსოფლიოს ჩემპიონატზე ვუჩვენებო.

გუშინდელი დღე, ალბათ, არასდროს დაავიწყდება თბილისელ ზვიად გვილავას, რომელმაც 58 კგ წონით კატეგორიაში გამარჯვებით ყველაზე ახალგაზრდა ჩემპიონის სახელი მოიპოვა. სხვათა შორის, 1982 წელს დაბადებულმა სპორტსმენმა ამ წარმატებისთვის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის მიერ დაწესებული სპეციალური ჯილდო, ოლიმპიური იმედის პრიზი დაიმსახურა.

„სიმართლე გითხრათ, ჩემპიონობას ველოდი — გვითხრა ახალგამომცხვარმა ჩემპიონმა — მიუხედავად იმისა, რომ აქამდე ჩემს მეტოქეებს არ შევხვედრივარ, მაინც იმედიანად ვიყავი. ისე, ძალიან გამიხარდა, როდესაც სეოკ-ის სპეციალური პრიზი გადმომცეს. ახლა უფრო მეტი შემართებით ვივარჯიშებ, რათა იმედები გავამართლო. მით უმეტეს, რომ ოლიმპიადაზე გამოსვლის დიდი სურვილი მაქვს."

ასპარეზობის დასრულების შემდეგ კომენტარი ვთხოვეთ ეროვნულ ნაკრების მთავარ მწვრთნელ ზაზა თურმანიძეს:

„ჩემპიონატმა დიდი სიხარული მოგვანიჭა. თურმე რაოდენ მოგვნატრებია ასეთი ასპარეზობანი. ნოსტალგიასაც კი განვიცდიდით. ისე, ბევრი საინტერესო და ემოციური შეხვედრის მოწმენი გავხდით. მთლიანობაში ასპარეზობით კმაყოფილი ვარ. მალე ევროპის ჩემპიონატისთვის გუნდს დავაკომპლექტებთ."

თამამად შეიძლება ითქვას, რომ დღესასწაული შედგა. თავისუფალი სტილით მოჭიდავეებმა ორი დღით მართლაც გამოაცოცხლეს ჩვენი ულიმღამო სპორტული ცხოვრება.

**გიგა გურასაშვილი**

### ჩემპიონები და პრიზიორები

**54 კგ.** 1. გოჩა კირკიტაძე, 2. ბესიკ გუჩაშვილი, 3. აკაკი კუნჭულია
**58 კგ.** 1. ზვიად გვილავა, 2. ვალერი კოლუაშვილი, 3. გიორგი გაჯაიშვილი
**63 კგ.** 1. ოთარ თუშიშვილი, 2. გიორგი ხარებავა, 3. შალვა მუზიაშვილი
**69 კგ.** 1. დავით ლეჟავა, 2. გელა საღირაშვილი, 3. გიორგი იანტბელიძე
**76 კგ.** 1. რევაზ მინდორაშვილი, 2. მიხეილ ჩიქოვანი, 3. გიორგი გობეჯიშვილი
**85 კგ.** 1. გოჩა ჩიხრაძე, 2. მალხაზ ჯორბენაძე, 3. ზვიად ბიძიშვილი
**97 კგ.** 1. ელდარ კურტანიძე, 2. მიხეილ ტურაშვილი, 3. ზვიად სისაური
**130 კგ.** 1. ლექსო მოდებაძე, 2. შოთა სპანდერაშვილი, 3. ლევან ვაჭარაძე

ძიუდო

# პარიზიდან ერთი ვერცხლით

ამ უქმეებზე პარიზში დასრულდა საერთაშორისო ტურნირი, რომელსაც ძიუდოს სამყაროში დიდი ფასი აქვს და ამ რანგის შეჯიბრებებს შორის ყველაზე ავტორიტეტულია. საქართველოდან ტურნირში ექვსი ძიუდოისტი მონაწილეობდა. ჩვენებურთა მონაგარი ერთი ვერცხლის მედალია, რომელიც 100 კგ წონით კატეგორიაში ივერი ჯიქურაულმა მოიპოვა.

ჯიქურაული ოთხი მოგებით მივიდა ფინალამდე, სადაც 1992 წლის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, უნგრელი ანტალ კოვაჩი ელოდა. ქართველმა ძიუდოისტმა სამჯერ დააგდო მეტოქე იუკოზე, მაგრამ კოვაჩმა ამოსმულით ვაზარი მიითვალა და ჩემპიონიც გახდა.

ლაშა სარდანაშვილმა (60კგ) ორი შეხვედრა მოიგო, მერე კი ფრანგ იასინ დუმასთან დამარცხდა და ტურნირს გამოეთიშა. გიორგი რევაზიშვილმა (73კგ) სამი გამარჯვება მოიპოვა, შემდეგ ფრანგ ფერიდ ხედერთან წააგო. იგი სანუგეშო წრეშიც ჩაერთო, მაგრამ უზბეკ შტურბაბინთან ვერაფერს გახდა. დავით ნადარაიასაც (73კგ) ფრანგმა, კრისტოფ გალიანომ გადაუკეტა გზა, თუმცა მანამდე ქართველს ერთი შეხვედრა მოგებული ჰქონდა.

მსოფლიოს ჩემპიონებმა ახალგაზრდებში, გრიგოლ მამრიკიშვილმა (81კგ) და ზურაბ ზვიადაურმა (90კგ) პირველივე წრეში დაასრულეს ასპარეზობა.

### პარიზის ტურნირის ჩემპიონები

**ვაჟები:** კაზუჰიკო ტოკუნო (იაპონია), ისლამ მაციევი (რუსეთი), დანიელ ფერნანდესი (საფრანგეთი), კენძო ნაკამურა (იაპონია), მასატოში ტობიცუკა (იაპონია), ანტალ კოვაჩი (უნგრეთი), ჟერომ დრეიფუსი (საფრანგეთი).
**ქალები:** სარა ნიშილოროსო (საფრანგეთი), რაფაელა იმბრიანი (გერმანია), კიე კუსაკაბე (იაპონია), ლუსი დეკოსი (საფრანგეთი), ულა ვერბრუკი (ბელგია), სელინ ლებრუნი (საფრანგეთი), მიდორი შინტანი (იაპონია)



ანტალ კოვაჩის და ივერი ჯიქურაულის (მარცხნივ) ფინალური ორთაბრძოლა

ეროვნული ბიბლიოთეკა



REUTERS სანქტ კრისტოფიდან

# პუტინი ტიროლში

ავსტრიაში პოლიტიკურ საქმეებზე მყოფი რუსთა პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი იქ სპორტულ ამბებშიც ჩართულა. სპორტის მოყვარე კაცი გახლავთ ეს პუტინი და ტიროლის მთებისკენაც გაუწევია. ჯერ სანქტ ანტონში ასულა, სადაც მოთხილამურეთა მსოფლიოს ჩემპიონატის ბოლო დღეს შეჯიბრს დასწრებია, მერე კი ავსტრიის კანცლერ ვოლფგანგ შუსელთან ერთად უსრიალია სანქტ კრისტოფის თოვლიან გზებზე.



REUTERS ბუდაპეშტიდან

# მეექვსეც ეყო

გერმანელი ანი ფრაიზინგერი შექნილა მსოფლიოს ჩემპიონი ციგურაობის მრავალჭიდში. უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტში მიმდინარე მოციგურავეთა მსოფლიოს ჩემპიონატზე ფრაიზინგერი ყველაზე სტაბილური მრბოლი ყოფილა ქალთა შორის. 5000 მეტრზე გაქრიალებისას გერმანელს მეექვსე ადგილი დაუჭერია, რაც საკმარისი შექნილა მრავალჭიდის ოქროს მედლის მოსაპოვებლად.

# აქვე, ახლოს

სან ანტონში გასრულდა მოთხილამურეთა მსოფლიოს ჩემპიონატი. სამომავლოდ, მოთხილამურეთა მასპინძლობა შორს არ გადაიწევს, 2003 წლის ჩემპიონატის მასპინძელი შვეიცარიული სენტ მორიცი იქნება. მთებს გადაღმა გადავალთ და იქა ვართო, ამას გვაუწყებს დროშა, რომელსაც თხილამურობის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტ ჯანფრანკო კასპერს უპყრია ხელთ.



REUTERS სანქტ ანტონიდან

# ჰა, თუ სროლა, ჰა, თუ სრიალი

სლოვენიურ პოკლიუკაში მსოფლიოს საუკეთესო ბიატლონისტები ებრძვიან ერთმანეთს. ჰა, თუ სროლა, ჰა, თუ სრიალი. ვაჟთა ესტაფეტაში ფრანგებს უმარჯვიათ — ყველაზე სწრაფად გაუვლიათ 4×7,5 კილომეტრიანი გზა და ყველაზე უკეთესად უსვრიათ. ოთხ ჩემპიონთაგან სამს, ამ ფოტოებზე ვხედავთ. ვენსან დეფრანსი რობერჟულიენს შეუცვლია, რაფაელ პუარე კი მეოთხე ყოფილა და ხარობს კიდეც. ვერცხლის მედლები ბელარუსებს მოუგიათ, ბრინჯაოსი კი ნორვეგიელებს.


REUTERS პოკლიუკადან





REUTERS ვაშინგტონიდან

# შაკის ლექცია

გასულ უქმეებზე ამერიკული კალათბურთის „ოლ სტარი“ რომ გაიმართა ვაშინგტონის „ემსიაი სენთერში“, შაკილ ონილს არ უთამაშია. ფეხმტკივანი შაკი დასავლეთის გუნდის ცენტრად კი იყო დასახელებული, მაგრამ ტრავმამ მოედანზე არ გაუშვა. სანაცვლოდ, გოლიათი დიდი მონდომებით ჩაერთო მოედანსგარეთა ღონისძიებებში და ბავშვებს ერთი-ორი მსუბუქი საკალათბურთო ლექციაც ჩაუტარა. თამაში კი აღმოსავლეთის ნაკრებმა 111:110 მოიგო.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ვანო ოქროპირიძე კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ბიკაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ავთანდილ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, თინათინ შიოლაშვილი, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge